ნანა პარინოსი

# ჰილარი კლინტონის

# პოლიტიკური იმიჯის თავისებურებანი

**რედაქტორი**: ციცინო ბუკია, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

**რეცენზენტი**: ნინო ჭალაგანიძე, ჟურნალისტიკის დოქტორი

# სარჩევი

შესავალი------------------------------------------------------------------------------------ 5

I თავი

საკითხის თეორიული ასპექტი

§ 1.1 იმიჯის თეორიული პრინციპები --------------------------------------------------- 8

§1.2 ჰილარი კლინტონის სახე მონოგრაფიებში------------------------------------------ 26

II თავი

ჰილარი კლინტონის იმიჯი

§ 2.1 ჰილარი კლინტონის იმიჯის ძირითადი მახასიათებლები----------------------- 37

§2.2 ჰილარი კლინტონის „ცოცხალი ისტორია"------------------------------------------ 57

§2.3 ჰილარი კლინტონი ორი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის ფონზე----------- 62

(შედარებითი ანალიზი)

§2.4 სოციოლოგიური კვლევა------------------------------------------------------------ 76

§2.6 ინტერვიუ--------------------------------------------------------------------------- 82

დასკვნა---------------------------------------------------------------------------------- 84

გამოყენებული ლიტერატურა ---------------------------------------------------------- 89

# შესავალი

მონოგრაფიაში **“ჰილარი კლინტონის პოლიტიკური იმიჯის თავისებურებანი“** ყურადღება ეთმობა ქალბატონი კლინტონის იმიჯს, მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ დავინტერესდით ამ საკითხით. პასუხი მარტივია. არჩევანი შევაჩერეთ წმინდა ამერიკულ დარგზე - საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) განხორციელების, იმიჯის ტექნოლოგიებზე და მას მოვარგეთ წმინდა ამერიკული ღირებულებებით შემკული ქალბატონი - ჰილარი როდემ კლინტონი, რომელიც გარკვეული სახის ფენომენსაც კი წარმოადგენს, შეიძლება ითქვას ე.წ. ბრენდია.

ნაშრომის აქტუალურობას განსაზღვრავს ქალთა პრობლემების სიმწვავე თანამედროვე მსოფლიოში, კერძოდ, მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხი. ეს თემა აქტიურად განიხილება აშშ-სა და საქართველოშიც, მეტადრე, თუ საკითხი უკავშირდება ისეთ პიროვნებას, როგორიც არის ჰილარი როდემ კლინტონი. იგი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური პერსონაა, რომელმაც საკუთარი თავი წარმოაჩინა რამდენიმე ამპლუაში. ამერიკის ისტორიამ ბევრი ღირსეული საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ქალბატონი იცის, მაგრამ ჰილარი კლინტონის ფენომენი, როგორც მრავალწლიანი მოღვაწისა, გამორჩეულია. ქართული სინამდვილისათვის ნაშრომის საკითხის მნიშვნელობა შეიძლება განვსაზღვროთ ასევე რამდენიმე ფაქტორით. ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი პარტნიორი ქვეყანაა და მისდამი ქართული საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებულია. მეორე მხრივ, წარმატებული ქალბატონის იმიჯის შესწავლა-გააზრება სასარგებლო იქნება ქართველი პოლიტიკოსი ქალბატონებისათვის.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ჰილარი კლინტონის იმიჯის ძირითადი მახასიათებლების შესწავლა; მისი პოზიციონირების წარმოჩენა და თეორიულ ასპექტებზე დაყრდნობით, წარმატებული პოლიტიკოსი ქალბატონის იმიჯის ჩვენეული ხედვის ჩამოყალიბება; უკანასკნელი პერიოდის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობის ფარგლებში ცალკეული იმიჯური პარალელის დაფიქსირება.

მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ კვლევის ოთხი მეთოდი: სპეციალური ლიტერატურის შესწავლა, დაკვირვება, შედარებითი ანალიზი, სოციოლოგიური კვლევა და ინტერვიუ.

ნაშრომში გამოყოფილია მისი მოღვაწეობის სამი ძირითადი ეტაპი:

- ჰილარი კლინტონი - ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედი;
- ჰილარი კლინტონი - სენატორი ქალბატონი;
- ჰილარი კლინტონი - სახელმწიფო მდივანი;

სწორედ ჰილარი კლინტონის იმიჯისა და მისი თავისებურებების შესასწავლად გავეცანით არა მხოლოდ საჭირო ლიტერატურას, არამედ ღრმად შევისწავლეთ ის სოციოლიგიური კვლევები, რომელიც ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამასთან ერთად, თავად ჩავატარეთ მინი-კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ორივე სქესის, სხვადასხვა ასაკის, ეროვნებისა და პროფესიის წარმომადგენლებმა. კვლევა მიზნად ისახავდა გამოერკვია, რამდენად იცნობენ ჰილარი კლინტონს საქართველოში, როგორ აფასებენ მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, როგორია ჰილარი კლინტონის ქართული სინამდვილიდან დანახული იმიჯი. აღნიშნული საკითხის შესახებ ვესაუბრეთ პიარექსპერტს, ელდარ პირმისაშვილს, რადგან დავინტერესდით, რას ფიქრობენ ჰილარი კლინტონის იმიჯზე ამ დარგის სპეციალისტები.

თავად ნაშრომი **„ჰილარი კლინტონის პოლიტიკური იმიჯის თავისებურებანი“** დაყოფილია ორ თავად.

პირველი თავი „**საკითხის თეორიული ასპექტი**“ მოიცავს ორ პარაგრაფს (**იმიჯის თეორიული პრინციპები**; **ჰილარი კლინტონის სახე მონოგრაფიებში**). პირველ პარაგრაფში განხილულია იმიჯის რაობა, იმიჯის სახეები და რა გავლენას ახდენენ ისინი პოლიტოკოსის კარიერაზე. მეორე პარაგრაფში გაანალიზებულია ჰილარი კლინტონზე დაწერილი მონოგრაფიები. მეორე თავი - **„ჰილარი კლინტონის იმიჯი“** დაყოფილია ხუთ პარაგრაფად. პირველი პარაგრაფი - **„ჰილარი კლინტონის იმიჯის ძირითადი მახასიათებლები“** - მოიცავს ქალბატონი კლინტონის იმიჯის განხილვას მისი პოლიტიკური ცხოვრების ეტაპების მიხედვით. მეორე პარაგრაფში განხილულია ჰილარი კლინტონის მემუარი „ცოცხალი ისტორია“. მესამე პარაგრაფში - **„ჰილარი**

**კლინტონი ორი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის ფონზე (შედარებითი ანალიზი)“** _ იკვეთება სამი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის მსგავსება-განხვავებები.

მეოთხე პარაგრაფში მოცემულია ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, ხოლო მეხუთეში - წარმოდგენილია ინტერვიუ პიარექსპერტთან.

დასკვნა წარმოჩენილია იმ მოსაზრებების საფუძველზე, რომელიც საკითხების შესწავლის შედეგად მივიღეთ.

# I თავი

# საკითხის თეორიული ასპექტი

## § 1.1 იმიჯის თეორიული პრინციპები

იმიჯის თეორიები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. უცხოელ სპეციალისტთა გარკვეული წრე განიხილავს იმიჯოლოგიის ძირითად ასპექტებს და ასაბუთებს კონკრეტული მასალით. კვლევის ობიექტის შესასწავლად გავეცანით ვრცელ თეორიულ მასალას, ცხადია, ყველა მათგანის განხილვა სცილდება ნაშრომის ფორმატს. ჩვენ გამოვყავით რამდენიმე ავტორის მიერ შემოთავაზებული პრინციპები, რომლებიც სრულად გამოხატავს იმიჯოლოგიის, როგორც დარგის სპეციფიკას.

ამ მხრივ საგულისხმო აღმოჩნდა: პოჩეპცოვი, შეპელი, კუზინი და სხვ. რომლებიც იმიჯოლოგიის დადგენილი სტანდარტების მიხედვით გვაცნობენ უცხოურ გამოცდილებას და პოსტსაბჭოური იმიჯის ტექნოლოგიებს.

ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში იმიჯის საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი. სისტემურად იმიჯის, კერძოდ, პოლიტიკური იმიჯის, საკითხები განხილული აქვს მკვლევარ ვაჟა შუბითიძეს მცირეფორმატიან წიგნში - „რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს" (იმიჯმეიკერი და პოლიტიკოსის იმიჯი).

ამასთან იმიჯის ცალკეული ასპექტები განხილულია მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებში (მარინე ლომიძე, ხათუნა კაჭარავა „კავკასიელ პოლიტიკოსთა იმიჯის ძირითადი აქცენტები"; მ. ლომიძე „პოლიტიკური რეკლამის ზოგიერთი ასპექტი ამერიკულ მედიაში"; მ. ლომიძე „პოლიტიკური რეკლამის მთავარი შტრიხები"; მ. ნადარეიშვილი „შუქჩრდილები პრეზიდენტის გარშემო"; მ. ნადარეიშვილი „პრესა და პოლიტიკური სიმბოლოები"; ე. მეძმარიაშვილი „ამერიკელი ქალების ბრძოლა ოფისისათვის"; ტ. დენისოვა, ე. მეძმარიაშვილი „ქალის როლი თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში", ა. გიორგობიანი „ჰილარი კლინტონი შეერთებული შტატების სენატორი", თ. მაისაშვილი „კონდოლიზა რაისის გზა ძალაუფლებისაკენ", ლ. კაპანაძე, ე. ხახუტაშვილი, „საზოგადოებასთან ურთიერთობა", ტ. დენისოვა, „მედელინ ოლბრაიტის ფენომენი", და სხვ.).

რაც შეეხება თავად ჰილარი კლინტონს, მისი იმიჯის ამსახველი უცხოურენოვანი მასალა საკმაოდ ვრცელია. ქართველ სპეციალისტთა ინტერესი, ისევე, როგორც იმიჯის საკითხებისადმი, ჰილარი კლინტონის იმიჯისადმიც მხოლოდ ცალკეული ასპექტის წარმოჩენით შემოიფარგლება (მაგ., მ. ნადარეიშვილი „ჰილარი კლინტონი და ამერიკული მედია" და სხვ.).

საკითხის თეორიულ ასპექტს წარმოვაჩენთ ორი მიმართულებით: განვიხილავთ იმიჯის თეორიულ პრინციპებს და ჰილარი კლინტონის ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველ სამ მონოგრაფიას. ისინი წარმოაჩენენ იმიჯის ცალკეულ მხარეებს.

იმიჯი – პიროვნების შეჯამებული პორტრეტია, რომელიც იქმნება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის შეხედულებებით. იგი ყალიბდება საზოგადოებრივ ან ინდივიდუალურ ცნობიერებაში, გარკვეული ემოციური დამოკიდებულებებით, იმისდა მიუხედავად, თუ რას ამბობს და აკეთებს პიროვნება.

*„იმიჯი - რთული მრავალდონიანი სისტემაა, რომელიც მოიცავს ადამიანის მრავალწახნაგოვან ხატებას, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენას. იგი ასევე, ასახავს იმ თავისებურებას, რომელიც კონკრეტული ადამიანისთვისაა დამახასიათებელი"* [В. М., Шепель, 2002, 387].

*„პირველ შემთხვევაში საუბარი ეხება იმიჯის დონეების ცივილიზებული, მენტალური, სოციალური და პროფესიული თვისებების ნაკრებს, რომელიც ასახულია კონკრეტულ იმიჯზე. მეორე შემთხვევაში, ინდივიდუალური იმიჯი წარმოგვიდგება პიროვნების ინდივიდუალობის, მისი განუმეორებლობის უმნიშვნელოვანესი გამოვლინების სფეროს სახით"* [В. М., Шепель, 2002, 387].

*„სწორედ პიროვნულობის დონეზე მიმდინარეობს ფორმისა და შინაარსის მეტად „მჭიდრო ურთიერთქმედება. იმიჯის (ჰუმანისტური), ცივილიზებული, ეპოქალური, მენტალური, სოციალური, პროფესიული ასპექტები გენერალიზაციის პროცესში გარდაიქმნებიან საერთო და განსაკუთრებულიდან ცალკეულად. სწორედ ამ დროს ისინი იძენენ ექსკლუზიურობას, განუმეორებლობას, და ასახავენ პიროვნების ინდუვიდუალურ თავისებურებას. რაც უფრო კაშკაშაა იმიჯურ თავისებურებათა პალიტრა, მით უფრო მიესადაგება ის პიროვნების სულიერ, მორალურ, პიროვნულ, პროფესიულ მოწიფულობას; მით უფრო მდიდარია, კოლორიტულია, მომხიბლველია*

*მისი პოზიტიური იმიჯი; მით მეტია ზემოქმედების ხარისხი ადამიანის ბედსა და ცხოვრებისეულ წარმატებებზე. პროფესიული იმიჯი იმიჯის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ცხოვრებისეული სტრატეგია შრომით სფეროში, ადამიანს ცხოვრებისეული წარმატებების მიღწევას უსახავს მიზნად. პროფესიული კარიერა მეტწილად დამოკიდებულია პოზიტიური პროფესიული იმიჯის განვითარების დონეზე“* [В. М. Шепель, 2002, 387].

*„იმიჯი არის მრავალფაქტორული ფენომენი. ერთი მხრივ, ზემოქმედება ადამიანზე ხორციელდება სხვადასხვაგვარი მეთოდით, მეორე მხრივ, იგი შეჩვეულია მრავალსაფეხურიანი სტრუქტურების ოპერირებას, რომლებიც შეიძლება ცალკეულად იყოს დამუშავებული. პოლიტიკოსის იმიჯი, ყველა პარამეტრით, უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის მოლოდინს. ეს მხოლოდ პოპულარობისკენ სწრაფვას როდი გულისხმობს. შეიძლება იყო საყვარელი, მაგრამ, როგორც დასავლელი ანალიტიკოსები ამბობენ, გაცილებით მნიშვნელოვანია, იმყოფებოდე სრულ ჰარმონიაში დროსთან, ამომრჩევლის შეფასებასა და წარმოდგენასთან“*[Г. Г., Почепцов, 2002, 52].

სპეციალისტები იმიჯთან მიმართებით სამ მიდგომას გამოყოფენ:

1. ***ფუნქციური*** *- რომლის დროსაც გამოიყოფა სხვადასხვა დანიშნულებიდან გამომდინარე სხვადასხვა ტიპი;*
2. ***კონტექსტური*** *- რომლის დროსაც ფუნქციონირების ეს ტიპი თავს იჩენს რეალიზაციის სხვადასხვა კონტექსტში;*
3. ***შეპირისპირებითი (შედარებითი),*** *რომლის დროსაც ხდება ახლომდგომი იმიჯების შედარება.* [Г. Г., Почепцов, 2002, 37]

ფუნქციური მიდგომისათვის დამახასიათებელია შემდეგი ვარიანტები:

1. ***„სარკისებური*** *- ესაა იმიჯი, რომელიც შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას საკუთარ თავზე. იმიჯის ეს ვარიანტი უფრო დადებითია, რადგან ფსიქოლოგიურად ჩვენ წინ ვწევთ პოზიტიურს. მისი ნაკლი ისაა, რომ მინიმალურად არის გათვალისწინებული სხვისი აზრი ჩვენ შესახებ. ამ იმიჯმა შეიძლება განსაზღვროს, როგორც ლიდერთა, ისე ორგაზაციათა მახასიათებლები“* [Г. Г., Почепцов, 2002, 37].
2. ***„მიმდინარე*** *- იმიჯის ამ ტიპს განსაზღვრავს სხვისი შეხედულება და აზრი ჩვენზე. სწორედ ამ სფეროში პოულობს გამოყენებას საზოგადოებასთან ურთიერთობა (პიარი). ეს*

*შეიძლება იყოს ამომრჩეველთა, კლიენტთა, ჟურნალისტთა და სხვათა აზრი და შეხედულებანი"*[Г. Г., Почепцов, 2002, 37].

3. ***„სასურველი*** *- იმიჯის ეს ტიპი ასახავს იმ იდეალს, რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით. ის განსაკუთრებით საჭიროა ახლადშექმნილი სტრუქტურებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ უცნობია საზოგადოებისათვის"*[Г. Г., Почепцов, 2002, 37].
4. ***„უარყოფითი*** *- იმიჯის ამ ტიპს გვიქმნის ოპონენტი, მოწინააღმდეგე, მტერი - იგი სპონტანურად კი არ წარმოიქმნება, არამედ მისი ჩამოყალიბება შეგნებულად ხდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პრობლემის სათანადოდ უარყოფა, რაც, ცხადია, ძალზე ძნელია. პრაქტიკოსთა აზრით, მიჩნეულია სჯობს დავნერგოთ ახალი პოზიტიური სტერეოტიპი, ვიდრე უარვყოთ უკვე არსებული"*[Г. Г., Почепцов, 2002, 37].
5. ***„შეპირისპირებითი ანუ შედარებითი იმიჯი*** *- ახლო მდგომ იმიჯებს ადარებს. იმიჯის ეს სახე მომგებიანია საარჩევნო პიარ-კამპანიისათვის"* [Г. Г., Почепцов, 2002, 37].

ინგლისელი მკვლევარი ელერო სემპსონი განასხვავებს იმიჯის სამ ტიპს:

- ***თვითიმიჯს;***
- ***აღსაქმელ იმიჯს;***
- ***საჭირო იმიჯს;*** [Почепцов, Г. Г., 2002, 36]

მისი აზრით, პირველი - პიროვნების წარსულსა და თვითშეფასებას უკავშირდება, მეორე - გარემოს მიერ ინდივიდის აღქმას, ხოლო მესამე ვარიანტი პროფესიულ საქმიანობაზეა გათვლილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მკლევარი ყურადღებას ამახვილებს გარეგნულ იერსახეზე, კერძოდ, ჩაცმულობაზე. მაგალითად: პოლიციელს სჭირდება ფორმა, პოლიტიკოსს - ჰალსტუხი (Г. Г., Почепцов, 2002).

ქართველი მკვლევარის ვაჟა შუბითიძის აზრით, დადებითი იმიჯის შექმნა სათუთი საქმეა. ერთი მხრივ, ლიდერი მიისწრაფვის წარმოჩნდეს ისეთი, როგორიც ყველა ჩვენგანია. ამ კუთხით თვით ამერიკაშიც კი სიმდიდრე არ ითვლება ერთმნიშვნელოვნად დადებით მახასიათებლად (შუბითიძე, ვ., 2000).

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის ბილ კლინტონის ბიოგრაფიის დასაწყისი: *„ - მე დავიბადე პატარა ქალაქ ნორში მამაჩემის გარდაცვალებიდან 3 თვის შემდეგ“* [შუბითიძე, ვ., 2000, 39] - ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. იგი მაშინვე ადამიანური კუთხით წარმოჩნდა, თავისი ბედით ამომრჩევლები სიახლოვისკენ განაწყო, ანუ დასავლური ლიდერი, ცდილობს დემოკრატიული მახასიათებლების დემონსტრირებას (შუბითიძე, ვ., 2000).

იმიჯოლოგია ეძებს აუდიტორიაზე ეფექტური ზემოქმედების მეთოდებს. შესაბამისად, ის იყენებს შემდეგ ხერხებს:

*„**პოზიციონირება** - ობიექტის სასიამოვნო გარემოში მოთავსება. პოზიციონირება ნიშნავს იმ მახასიათებლების გამოტანას, რომელშიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული მომხმარებელი. ის უნდა გამოიხატებოდეს ამა თუ იმ ლოზუნგში. პოზიციონირება იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთი და იგივე ფაქტი წარმოვაჩინოთ ახლებური და სხვადასხვა ინტერპრეტაციით. პოზიციონირება მოიცავს ტრანსფორმირებასა და უტრირებას“* [Почепцов, Г. Г., 2002, 129].

*„**მანიპულირება** - კომუნიკაციური ზემოქმედების საკმაოდ გავრცელებული ხერხია, რომლის მეშვეობითაც ხდება ყურადღების გადატანა ერთი ობიექტიდან მეორეზე, ხშირად ინტუიციურად“*[Почепцов, Г. Г., 2002, 141].

*„**მითოლოგიზაცია** იმიჯოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია, რომელიც ცდილობს აიცდინოს აუდიტორიის ფილტრი და მასზე ზემოქმედებას ახდენს ქვეცნობიერის დონეზე. მითოლოგიზაცია არის ის საჭირო ელემენტი, რომელიც არ ექვემდებარება ნებისმიერი კომუნიკაციური მოქმედებების კრიტიკულ განხილვას. თუ მითი არ არსებობს, ის უნდა მოიგონო. ხშირ შემთხვევაში, მითებს იყენებენ ბრენდინგის შესაქმნელად“* [Г. Г., Почепцов, 2002, 148].

*„**ემოციონალიზაცია** - ემოციურად შეფერადებული ინფორმაცია გაცილებით მარტივად გადის ფილტრს და აუდიტორიას უკეთ ამახსოვრდება“* [Г.Г., Почепцов, 2002, 165].

*„**ფორმატი** - ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება კომუნიკაციისათვის მომგებიანი კონტექსტების შექმნის პროცესები“* [Г. Г., Почепцов, 2002, 168].

*„**ვერბალიზაცია** - იმიჯმეიკერი მოხერხებულად ახდენს სინამდვილის*

*ვერბალიზებას. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ლიდერს შეუძლია ლამაზ ფერებში აღწეროს სიტუაციები. ვერბალური ლოზუნგები თითოეული საარჩევნო კამპანიისათვის მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება“*[Г.Г., Почепцов, 2002, 180].

***„დეტალიზაცია*** *- ზემოქმედების დონე იზრდება ინფორმაციის მიწოდების გარკვეული დეტალიზაციისას. წარმატებით შერჩეული დეტალი სიმბოლოს როლს ასრულებს, რადგან დეტალს არა მხოლოდ კარგი ზემოქმედების უნარი აქვს, არამედ მეხსიერებაშიც უკეთ რჩება“* [Г. Г., Почепцов, 2002, 187].

***„ინფორმაციის აქცენტირება*** *- არის ინფორმაციის დამალვა ან, პირიქით, მისი გამოაშკარავება (ყურადღების გამახვილება)“* [Г. Г., Почепцов, 2002, 190].

***დისტანცირება*** *- პოლიტიკოსისათვის უმთავრესი ამოცანაა განეშოროს ნეგატიურ სიმბოლოებს. ასევე, პოლიტიკოსებს ახასიათებთ ზოგიერთი პრობლემისგან დისტანცირება“* [Г. Г., Почепцов, 2002, 196].

***„მეტაფორიზაცია*** *- წარმოადგენს ზემოქმედების არსებით მეთოდს, რომელიც არათუ მხოლოდ გვეხმარება ადამიანის ცნობიერების გადაწყობაში, არამედ, ამავდროულად, წარმოადგენს ცნობიერებაში შემღწევ ძლიერ მექანიზმს. მეტაფორა განსაკუთრებით მოსახერხებელია ახალი საქმიანობის საჩვენებლად, რომლის ასაღწერად შესატყვისი ფორმის მისადაგება რთულია“* [Г.Г., Почепцов, 2002, 197].

***„ვიზუალიზაცია*** *იმიჯოლოგიის მთავარ მახასიათებლად ითვლება. იგი რამდენიმე არხის მეშვეობით ერთდროული ზემოქმედებაა. მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანია არა ვერბალური, არამედ ვიზუალური. ვიზუალური მხარე არ უნდა განირჩეოდეს იმისგან, რასაც ამომრჩეველი რეალურად ხედავს.* ადამიანის ვიზუალური მხარე რჩება უცვლელი და არც უნდა დაირღვეს“ [Г. Г., Почепцов, 2002, 200].

***„აღქმის მოდელების დანერგვა*** *- საზოგადოებრივი მართვისათვის საჭიროა არა მხოლოდ ინფორმაციის შემოტანა, არამედ მისი პოზიტიური შეფასებისა და აღქმის მოდელების დანერგვა. მასების ცნობიერება საჭიროებს გარკვეულ მინიშნებებს, რომლებიც მათ ეხმარება საკუთარი აზრის გამომუშავებაში.*

*ლიდერის იმიჯი გამარჯვებულის იმიჯია, ხოლო მეორე შემადგენელს წარმოადგენს ლიდერის, როგორც ერის მამის სიმბოლიზირება, ანუ გარკვეული*

*პატრიარქალური სიმბოლო. მამას აქვს დასჯის უფლებაც, მაგრამ მისი მთავარი უფლებაა საკუთარ „შვილებზე" ზრუნვა და მათი დაცვა* [Г. Г., Почепцов, 2002, 216] *".*

*„ლიდერის იმიჯი მოსახლეობის წარმოდგენაში საკმაოდ მკაფიოდ ფორმირდება. მაგ., დასავლეთში ლიდერის უპირატესი მახასიათებლების სიაში პირველ ადგილი უჭირავს ისეთ განმარტებებს, როგორიცაა: „პირდაპირი", „სამუშაოში ჩაფლული", „გულწრფელი", „ძლიერი", „თავდაჯერებული" და ა.შ.* [Г. Г., Почепцов, 2002, 46]. *"*

*იმიჯის შექმნა ნიშნავს ყველაფრის აღრიცხვას: რა და როგორ ილაპარაკო, ვის შეხედო, როგორ გამოიყურებოდე და ა.შ.* [Г. Г., Почепцов, 2002, 100]. *"*

პოლიტიკური იმიჯი არის ცნება, რომელიც გამჯდარია მასების ცნობიერებაში და ატარებს სტერეოტიპულ ხასიათს. იმიჯი პოლიტიკოსის ემოციურად გაფერადებული ხატია.

იმიჯის ფორმირება წარმოებს როგორც სტიქიურად, ასევე შეგნებულად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამომრჩევლების მიერ პოლიტიკოსის მიღებას და ყოველ ჯერზე ხდება ხელსაყრელი იმიჯის სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირების გათვლა.

*„იმიჯის შექმნა შეუძლებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გარეშე, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფოკუსს წარმოადგენენ. არსებობს ისეთ პოლიტიკოსთა კატეგორია, რომლებსაც „არ აჩვენებენ", „არ ბეჭდავენ" და ისინი არც არსად გამოდიან. შეუძლიათ კი მათ პოლიტიკაში დიდი ხნით დარჩენა? პოლიტიკა ვერ იარსებებს იმ სახეების გარეშე, რომლებიც პოლიტიკურ სცენაზე საკუთარ მიზნებსა და ამოცანებზე გახსნილად იუწყებიან და მიისწრაფვიან საკუთარი გავლენის გაძლიერებისაკენ. იმიჯის შესახებ ცოდნა ყველას სჭირდება. იმიჯი, როგორც ცნება ითვალისწინებს სისტემურ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვრო ადამიანებს შორის, როგორ მიაღწიო მიზნებს, როგორ გახდე ლიდერი. მასობრივი ცნობიერება პოლიტიკური ლიდერის პიროვნებას ყოველთვის სათანადოდ არ ღებულობს* [О.Ф Потемкина, 2002, 5] *".*

*„იმიჯური კომუნიკაცია თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს, რადგან იმიჯი შეტყობინების ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომლის რეალიზებაც ხდება ინფორმაციის დეფიციტის, დროის უქონლობის ან, თუნდაც მოსაუბრის უყურადღებობის პირობებში. თუ გავაანალიზებთ ფაქტორების მოქმედების დონეს, ადამიანის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, აღმოვაჩენთ, რომ ის ასპექტები, რომლებიც მოქმედებენ პირველი ათი წუთის განმავლობაში და რომლებიც მეტად მნიშვნელოვანი გვეგონა, პროცესში ჩართვასაც კი ვერ ასწრებენ. მონაცემები ასე გამოიყურება: შინაარსი - 7%, ხმა- 38%, გარეგნობა - 55%* [И. Резепов 2009,9].

*ზემოთქმული ადასტურებს ცნობილ გამოთქმას „ტანსაცმლის მიხედვით გხვდებიან...", ხოლო მისი გაგრძელება - „.... ჭკუის მიხედვით გაცილებენ" - უფრო იშვიათად მოქმედებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტელევიზიის ტიპის ახალი კომუნიკაციის არხები გათვლილია, სწორედ რომ, ამ გამოთქმის პირველ ნაწილზე* [И. Резепов 2009,9] *".*

*„იმიჯი ადამიანის საჯარო „მე-ს" წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში, ადამიანი თავის თავს იდეალურ არსებად აღიქვამს, მაგრამ აუდიტორიისა და ხალხის თვალთახედვა ამ დროს შეიძლება სრულიად სხვა იყოს. ლიდერის იმიჯი პოლიტიკოსს ქვეყნის მართვაში ეხმარება. საქონლის პროდუქციის კარგი იმიჯი უწყობს ხელს მის სწრაფ და წარმატებულ რეალიზაციას (მაგალითად, როგორი ენთუზიაზმით ეძებთ კოლა-კოლას ან თუნდაც მაკდონალდსის „ბიგ-მაკს"). მომხმარებლები ფაქტობრივად ყიდულობენ იმ იმიჯს, რომელიც აქვს ამ პროდუქციას მსოფლიოში და არა მის რეალურ მახასიათებლებს* [ვ. შუბითიძე,2000, 7] *".*

სტაბილური და კეთილსინდისიერი ქვეყნის იმიჯი ხელს უწყობს იმ სახელმწიფოში ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვას.

მკვლევარ ვაჟა შუბითიძეზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმიჯი შეიძლება ასევე გავიგოთ, როგორც ადამიანის დახმარება ინფორმაციის გადამუშავებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული რეცეპტი იმისა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ იმიჯისათვის შერჩეული მახასიათებლების რეალიზაცია უნდა მოხდეს უტრირებული ფორმით, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვმუშაობთ მასის შეგნებაზე (ისევე, როგორც კლოუნი ხალხის წინაშე გამოსვლისას

იცვლის თავის ჩაცმულობასა და ვარცხნილობას, რათა ხალხმა იგი სხვანაირად აღიქვას). (ვ. შუბითიძე 2000 ).

*„ამასთან, იმიჯის შემუშავებისას არ დაიშვება შემთხვევითი მომენტები და პროცესები. მაგალითად, პრეზიდენტ ნიქსონისთვის შესახვედრად იწერებოდა 100 სიტყვიანი განცხადებები, რათა გაზეთებს საშუალება არ მისცემოდათ მათი რედაქტირებისა. ტექსტი ისე იყო „დაწურული" და სრულყოფილი, რომ გამორიცხავდა შემთხვევით ჩარევას სხვისი მხრიდან. თუნდაც ასეთი მაგალითი, რომელიც დაკავშირებულია პრესკონფერენციასთან: აშშ-ს პრეზიდენტი ყოველი პრესკონფერენციის წინ ხვდება პრესმდივანს და პოლიტიკურ თანაშემწეს. ისინი უსვამენ პრეზიდენტს შეკითხვებს ყველა აქტუალურ თემაზე. ამასთან, არის წინასწარ „ჩაწყობილი" შეკითხვები, რომლებსაც ჟურნალსიტები თეთრი სახლის თხოვნით აძლევენ პრეზიდენტს. ამ კითხვებზე პასუხები უკვე დიდი ხნის მომზადებულია. ყველაფერი ეს ქმნის თავის თავში დარწმუნებული ლიდერის იმიჯს, რომლისთვისაც უცხოა მერყეობა და მზადაა პასუხი გასცეს ნებისმიერ შეკითხვას. ცნობილია მარგარეტ ტეტჩერის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში და მისი ცნობილი ინტერვიუ სამ საბჭოთა „ჟურნალისტთან" (სინამდვილეში პროფესორებთან). ჟურნალისტთა ყოველი ცდა, რომ იდეურად დაემარცხებინათ „რკინის ლედი", სრული კატასტროფით დამთავრდა. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი აღმოჩნდა ის, რომ მარგარეტ ტეტჩერს სერიოზული რეპეტიციები ჰქონდა გავლილი შესაძლო კითხვებზე და მას „ავარჯიშებდა" მისი პრესმდივანი, ცნობილი პროფესიონალი ბერნარდ ინგჰემი* [ვ. შუბითიძე, 2000, 9] *".*

თავდაჯერებულობა ლიდერისათვის ძალზე საჭიროა, როგორც პოლიტიკაში, ასევე ბიზნესში, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისთვის სასურველი დამოკიდებულების მოდელირება. აუცილებელია, ადამიანი თავად გრძნობდეს თავს კომფორტულად და ეს თავდაჯერება გადაედოს აუდიტორიას (Г. Г., Почепцов, 2002).

*„პროფესიონალი იმიჯმეიკერების გამოყენების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ნიქსონისა და კენედის დებატები 1960 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში, როცა გამარჯვების დროს პირველი ადგილი დაიკავა ისეთმა ფაქტორებმა, რომელთაც ადრე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ჯ. ჩესტარა წერდა: „ნიქსონისა*

*და კენედის  დებატები, საყოველთაო აღიარებით, ნიქსონმა წააგო (ამასთან მომავალი არჩევნებიც) შემდეგი მიზეზის გამო: გარკვეული იერის (პოზები, რომელსაც ის იღებდა), ქცევის მანარების (თვალები, ნერვიული ოფლის დასხმა შუბლზე), მისი ხმის (ნერვიული ხმის) გამო და არა იმ არგუმენტის გამო, რომელიც მას მოჰყავდა. როგორც შემდეგ ექსპერტები აღნიშნავდნენ, სატელევიზიო კამერა უმოწყალოდ აფიქსირებდა ნიქსონის ნაკლოვანებებს. კენედის ჰყავდა ძალზე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაეხმარნენ მას უფრო მომგებიანი იმიჯის შექმნაში. და, მართლაც, იმ დროს, როცა რადიომსმენელებმა უპირატესობა მიანიჭეს ნიქსონს, ტელემაყურებლებმა ადვილად შეამჩნიეს ნიქსონის არსებითი ნაკლოვანებები, რამაც ხელი შეუშალა მათ გამოსვლის შინაარსის აღქმაში. შედეგად, უპირატესობა მიანიჭეს კენედის* [ვ. შუბითიძე, 2000, 9] *".*

*„წარუმატებელი სატელევიზიო გამოსვლის კიდევ ერთი ნიმუშია აშშ-ს პრეზიდენტის ჯერალდ ფორდის (1973-76წწ) მეუღლის ბეტი ფორდის გამოსვლა ტელევიზიით. ჟურნალიტების კითხვაზე, რა რეაქცია ექნებოდა, თუკი გაიგებდა, რომ მისი 17 წლის გოგონა სექსუალურ კავშირშია მამაკაცთან, მან უპასუხა, რომ მისი გოგონა სხვებისგან არაფრით განირჩევა, ამიტომ ამ დროს მას მისცემდა რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას და შეეცდებოდა, მეტი გაეგო ამ მამაკაცზე. შეკითხვაზე მარიხუანას შესახებ მან აღნიშნა, რომ თუ  მის ახალგაზრდობაში ეს ნარკოტიკი ისე იქნებოდა გავრცელებული, როგორც დღესაა, თვითონაც გასინჯავდა. პირველი კითხვის პასუხზე ფორდმა თქვა, რომ დაკარგა 10 მილიონი ამომრჩევლის ხმა, ხოლო მეორე კითხვის პასუხმა მას კიდევ 20 მილიონი ამომრჩევლის ხმა დააკარგვინა. თეთრ სახლს საპროტესტო წერილების ნიაღვარი მოაწყდა. ამ უსიამოვნებას დაემატა ისიც, რომ ბეტი ფორდის სატელევიზიო გამოსვლა მასობრივი ტირაჟით დაბეჭდეს გაზეთებში, რამაც ეს სკანდალი და ხმაური კიდევ უფრო გაზარდა. ბეტი ფორდი და აპარატის თანამშრომლები მიხვდნენ, რომ ბეჭდური სიტყვის წინააღმდეგ იგივე ფორმატი უნდა გამოეყენებინათ. ერთი კვირა მუშაობდნენ საპასუხო ტექსტზე, სადაც უკვე შესწორებული, დახვეწილი ფორმით იყო გადმოცემული პრეზიდენტის მეუღლის თვალსაზრისი. ბეტი ფორდის იმიჯის გადასარჩენად ეს ტექსტი სათითაოდ გაეგზავნა იმ 28000 ათას ადამიანს, რომლებმაც საპროტესტო წერილები გამოაგზავნეს თეთრ სახლში. ამის შედეგად პეზიდენტის*

*ცოლის პოპულარობის მაჩვენებელმა აიწია 50- დან 75 პროცენტამდე* [ვ. შუბითიძე. 2000, 10] ".

ცნობილი ფაქტია, რომ აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი ედგარ ჰუვერი თავის დროზე თვითონ ხელმძღვანელობდა თავისი ორგანიზაციის იმიჯის შექმნას. მან იცოდა, რომ პრესა კომენტარებსა და დასკვნებს აფუძნებს იმ ინტერპრეტაციებზე, რომელსაც მიაწვდის უმაღლესი რანგის პირველი ოფიციალური პირი. ამიტომაც იგი ყოველთვის პირველი აწვდიდა ჟურნალისტებს ახალ ამბებს, მასვე მიეწერებოდა ყოველი ჩატარებული ოპერაციის წარმატება, რის შედეგადაც ამაღლდა მისი და მისი ორგანიზაციის იმიჯი.

პოლიტიკა საზოგადოებაში ძალაუფლების მნიშვნელოვნად გადანაწილების ერთგვარი ხელოვნებაა. გავიხსენოთ, არჩევნებში მონაწილეობისას, რაოდენ ხშირად გვდომებია იმ კანდიდატის უარყოფა, რომელიც უკვე იყო ძალაუფლების სადავეებთან ნამყოფი. ჩვენ გაცილებით უფრო გვესიმპატიურება ახალბედა პოლიტიკოსები. ისინი ცდილობენ გაამახვილონ ყურადღება არა წარსულში თავიანთი ხელმძღვანელობის გამოცდილებაზე, არამად სხვა მახასიათებლებზე, როგორიცაა: პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, რომელიც ხელისუფლების ცნების სინონიმად განიხილება. პოლიტიკოსი ცდილობს გაამაგროს თავისი სახე პოპულარული ადამიანების იმიჯით, მაგ. ქართულ საზოგადოებას კარგად ახსოვს საპრეზიდენტო არჩევნების პიარკამპანიაში ცნობილი სახეების მონაწილეობა (სუხიშვილების ანსამბლი, მერაბ სეფაშვილი და ა.შ).

იმიჯს ჩვენ განვიხილავთ როგორც საჯარო „მე"-ს, როგორც მის სიმბოლურ გარდატეხას, მაგრამ შინარსობრივად სწორედ ასე ახასიათებენ თავიანთ გმირებს ძველი დროიდან. აი, ასე წარმოგვიდგება ჩინური ავანტიურული პროზის გმირი: *„ის გულადია, უხეშია, თავშეუკავებელი, იმპულსური, მრისხანე და ულმობელი". მისი ემოციები ჰიპერტროფირებული და ხანმოკლეა. ჩვენი წარმოდგენით, ავანტიურული პროზის ავტორების კეთილგანწყობა თავიანთი გმირების მრისხანებისა და ულმობლობისადმი აიხსნება ძველი ჩინური პროზის ტენდენციით, ასახოს არა პიროვნება, არამედ სოციალური ტიპი. ამიტომ ადამიანი „ცუდია" ან „კარგია" იმდენად, რამდენადაც ის სრულყოფილია თავის „სოციალურ როლში* [Г. Г., Почепцов, 2001, 11] ".

პრეზიდენტ რეიგანის მეუღლეზე წერენ, რომ მან ძალიან კარგად იცოდა რონალდ რეიგანის ყველა ღირსების შესახებ და როგორც ყველა ცოლმა - მისი ნაკლის შესახებაც. რონალდ რეიგანს უჭირდა უარის თქმა. ეს სისუსტე ახასიათებს ბევრ პოლიტიკოსს. „არას“ თქმისას იძენ მტრებს. ამიტომ ყველა ადმინისტრაციას ჰყავს თავისი თანამშრომელი უმადური საქმეებისთვის, რომელიც დაკავშირებულია გათავისუფლებებთან, საკადრო ცვლილებებთან და ა. შ. (Г. Г., Почепцов, 2002).

თეთრ სახლში ამგვარ საქმეებს ნენსი აგვარებდა. ლიდერი ყოველთვის უნდა იყოს საინტერესო მოსაუბრე. ის ყოველთვის უნდა უწევდეს დემონსტრირებას თავის კეთილგანწყობას აუდიტორიის მიმართულებით. ჯორჯ ბუში უფროსი კლინტონთან ტელედებატების დროს დაისაჯა იმის გამო, რომ იგი საათს უყურებდა, რაც ტელეაუდიტორიის უპატივცემულობას ნიშნავდა. როგორც პროფესიონალები წერენ: „როცა თქვენ იცინით, თქვენი ხმაც იცინის.“ გქონდეთ ცოცხალი და დამაინტერესებელი ინტონაცია (Г. Г., Почепцов, 2002).

*„ჩინური ანდაზა ამბობს, რომ თუკი ადამიანი არ იღიმის, მან მაღაზია არ უნდა გახსნას. იდეა მკაფიოა: არის ისეთი პროფესიები, მათ შორის პოლიტიკოსი და გამყიდველი, რომლებიც ადამიანებისათვის პრინციპულად ღია არიან, რაც შესაბამისადაც უნდა მოდელირდებოდეს. ვერა ბირკენბილი ცდილობს ღრმად ჩასწვდეს ამ შემთხვევას: „ადამიანი, რომელიც არ იღიმის, უკვე ნიშნავს რომ „ცუდი“ ადამიანია. მას საკუთარ თავთან არა აქვს თანხმობა, არა აქვს სულიერი სიმშვიდე, ის რაღაცით გამუდმებით უკმაყოფილოა. ამგვარი დამოკიდებულებით, სადაც არ უნდა იმუშაო, ყველგან გაგიჭირდება წარმატების მიღწევა* [Г. Г., Почепцов, 2001, 36] *“.*

რონალდ რეიგანის სიტყვით გამოსვლა ეყრდნობოდა გამოცდილებას, რომელიც მან მიიღო ილინოისში სპორტულ კომენტატორად მუშაობისას. მეგობრებთან ყოფნისას ის იყენებდა ენას, გამოთქმასა და სლენგს. ამას ეფუძნებოდა მის მიერ საუბრისას ხუმრობებისა და ანეკდოტების გამოყენება, რითაც მაყურებელს აინტერესებდა. ის ხელმძღვანელობდა შემდეგი წესით: *„უთხარით მათ, რის თქმას აპირებთ, თქვით ეს, ხოლო შემდეგ აუხსენით ზუსტად რა იგულისხმეთ“.* ანუ, რაც უფრო ახლოს ხარ საკუთარ ამომრჩეველთან, მით მეტია წარმატების მიღწევის შანსი [Г. Г., Почепцов, 2002, 328].

ლიდერი ყველასგან გამოირჩევა. ჩვენ მას ვაძლევთ ხმას, რადგან ის ჩვენგან განსხვავდება. ლიდერი საკუთარი საქციელისათვის ბოდიშს არ უნდა იხდიდეს. მისი დადანაშაულება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ის თავად აღიარებს საკუთარ დანაშაულს. სწორედ ესაა ცნობილ პიროვნებათა საიდუმლო. ისინი გარკვეული ფასეულობებით იპყრობენ ადამიანთა ცნობიერებას.

ლიდერის გარეგნობა, სიტყვით გამოსვლა მისი მანერები - ყოველივე გამოხატავს მის განსაკუთრებულ ავტორიტეტს საზოგადოებაში. ლიდერი სხვებზე მეტს საუბრობს, სხვებს კი მისი იქ ყოფნისას, მხოლოდ მისი მოსმენის უფლება ეძლევათ.

შუბითიძის აზრით, ლიდერის გარეგნობა მარტო მისი საქმე აღარ არის. იმიჯმეიკერებმა შეუცვალეს ჰელმუტ კოლს სათვალე, ვარცხნილობა, პიჯაკი, რათა მსუქანი არ გამოჩენილიყო. ასეთივე საინტერესო მეტამორფოზა განიცადა დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა. იგი ხშირად იმეორებდა, რომ არ აინტერესებდა საკუთარი გარეგნობა და სურს დარჩეს ისეთი, როგორსაც იცნობდნენ. მაგრამ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც ნახა, რომ გაზეთები აანალიზებდნენ არა მის სიტყვას, არამედ გარეგნობას. ამის შემდეგ მან შეიცვალა თვალსაზრისი - გამოეწყო ახალ სამოსში, შეიცვალა ვარცხნილობა, სათვალე და ახალი გარეგნული იმიჯი შეიქმნა ( ვ. შუბითიძე, 2000).

თანამედროვე ლიდერი თანამემამულეების ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს და ნებისმიერ მომენტში სწორად უნდა განსაზღვროს მათი გუნება-განწყობა. მან ათასობით ადამიანთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება და მათი ინტერესების დაკმაყოფილება უნდა შეძლოს.

ამდენად, პირადი ავტორიტეტი მნიშვნელოვანი საფუძველია პოლიტიკოსის სტატუსისათვის. მაგალითი ისტორიიდან: ყველას, ვინც კი შედიოდა ჩინეთის იმპერატორის მოსასვენებელში, თავის დაბლა დაწევა უწევდა, რადგან დერეფნებში ჭერის ზომა სპეციალურად გათვლილი იყო.

*„ახალ პოლიტიკოსთა თაობამ, რომელიც ჯონ კენედისთან ერთად დაიწყო, მოდაში ახალი ტენდენციები დანერგა. მაგალითად, ჯონ კენედი ქუდებს არ ატარებდა* [Г. Г., Почепцов, 2002, 44] *“.*

*„ლიდერები ცდილობენ მათი მნიშვნელობის ხაზგასმას მრავალრიცხოვანი მდივნებით, თანაშემწეებითა და დაცვით. მათთან შეხვედრაზე მოხვედრა საკმაოდ რთულია* [Г. Г., Почепцов, 2002, 44] *“.*

ლიდერი იძულებულია დამალოს საკუთარი დაავადებები. მაგ., არავინ იცოდა კენედის დაავადებების შესახებ.

იმიჯი, ამასთან, ეს არის პუბლიკისადმი  ნამდვილი პატივისცემის გამოხატულება. ეს არის პოლიტიკოსის ქმედების კორექცია  იმის გათვალისწინებით, თუ რას ითხოვს და ელის ხალხი მისგან.

იმიჯის შემქმნელი დამატებითი ფაქტორები არის ის პარამეტრებიც, რომლებიც დაკავშირებულია ლიდერის ალტერნატიულ (არაძირითად) ფუნქციონირებასთან. ესენია:

- *წარსული;*
- *ოჯახი;*
- *სპორტი;*
- *შინაური ცხოველები;*
- *ჰობი;*
- *სისუსტეები;*
- *ლიდერი და ცნობილი ადამიანები;* [Г. Г., Почепцов, 2002; 312]

*„**წარსული** - ადამიანის წარსულს ამ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ჯორჯ ბუში თავის დროზე საზღვაო მფრინავი იყო. კარგია ეს იმიჯმეიკერისათვის თუ ცუდი? ცალსახად რაიმეს თქმა არ შეიძლება: ერთი მხრივ, ჩვენ წარმოგვიდგება ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: მობილიზებულობა, დისციპლინა, გმირული ხასიათი* [Г. Г., Почепцов, 2002; 313] *“.*

„ეს უდავოდ პლუსია, მაგრამ ვინაიდან დრომ ძალზე დაგვაშორა მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებს, ზემოჩამოთვლილი თვისებები მის ასაკზე ყურადღების გამახვილებასაც ნიშნავს [ვ. შუბითიძე, 2000, 64]“.

*„**ოჯახი** - ამერიკაში პირველმა ქალბატონებმა დიდი როლი შეასრულეს მეუღლეების გაპრეზიდენტებასა და მათ შემდგომ საქმიანობაში. საქვეყნოდ ცნობილია ბილ კლინტონის გაპრეზიდენტებასა და ზოგადად იმიჯის ფორმირების პროცესში ჰილარი კლინტონის როლი, რასაც შემდეგ თავებში კონრეტულად განვიხილავთ* [Г. Г., Почепцов, 2002; 314] “.

ბარბარა ბუში მთელ ამერიკას უყვარდა. უელსის ა.წ გარდაცვლილმა პრინცესა დიანამ ძალზე დადებითი შტრიხები შემატა სამეფო ოჯახის იმიჯს. „პირველი ლედის“ დადებით იმიჯს დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ლიდერისათვის.

*„**სპორტი** - ჯონ მეიჯორს თავის დროზე სპორტი დაეხმარა ხელისუფლებაში მოსასვლელად. იმიჯმეიკერები აქტიურად იყენებდნენ მის სპორტულ ფოტოებს, რითაც ხაზს უსვამდნენ მის ახალგაზრდულ ასაკსაც* [ვ. შუბითიძე, 2000, 65] “.

*„**ჯანმრთელობა** - ეს ძალიან მნიშვნელოვანი პარამეტრია პოლიტიკოსისათვის. იგი დაკავშირებულია პიროვნების ჯანმრთელი ცხოვრების წესთან. რონალდ რეიგანი ყოველ დილით 5 საათზე დგებოდა და სიმძიმეებით ვარჯიშობდა წონის პრობლემის მოსაგვარებლად* [ვ. შუბითიძე, 2000, 66] “.

*„**შინაური ცხოველები** - თეთრ სახლში დაბრუნებულ აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ვერტმფრენთან მისი ორი ძაღლიც დაახვედრეს, რომელთაც პატრონი სათუთად და სიყვარულით მიეალერსა. იმიჯმეიკერებმა ეს ბუნებრივი სიუჟეტი ძალზე მოხერხებულად აარჩიეს და ამიტომაც იგი ბევრს დარჩა მეხსიერებაში. აშშ-ს 42 პრეზიდენტიდან ძაღლები ჰყავდა 33-ს, კატები კი მხოლოდ 3-ს ( მათ შორის ბილ კლინტონს). შინაური ცხოველების სიყვარულის დემონსტრირება პოლიტიკოსს ბევრ ქულას მატებს, განსაკუთრებით დასავლეთში* [Г. Г., Почепцов, 2002; 320] “.

*„**ჰობი** - დუაიტ აიზენჰაუერი ხატავდა, ჯორჯ ბუშს თევზაობა იტაცებდა, ლინდონ ჯონსონს დიდი სიჩქარით უყვარდა თავისი „ლინკოლნის“ ტარება.*

*უნდა გავიმეოროთ, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ასპექტები მხოლოდ დამატებითი მახასიათებლებია, რომლებსაც არ შეუძლიათ ლიდერის ძირითადი თვისებების შეცვლა. ამიტომ ბილ კლინტონის სიყვარული საქსაფონისადმი, მხოლოდ ერთ დამატებით პასაჟს მატებს მის იმიჯს და იგი ძირითად მახასიათებლად ვერ იქცევა* [ვ. შუბითიძე, 2000, 67] *".*

*„**სისუსტეები** - პრეზიდენტ ტრუმენის ქალიშვილმა მ. ტრუმენმა წიგნი მიუძღვნა ამერიკელ პრეზიდენტთა ურთიერთობას ქალთა სქესთან („პრეზიდენტები და სექსი"). ამ წიგნის მიხედვით კენედი-ნიქსონის ტელედებატების დაწყების წინ კენედიმ იკითხა, არიან თუ არა აქ „გოგონები". ეთერში გასვლამდე ნახევარი საათით ადრე ის განმარტოვდა სასტუმროში ერთ ქალბატონთან, რომელსაც ფული გადაუხადეს. პრეზიდენტმა ისე გახალისებულად და ახალგაზრდულად იგრძნო თავი, რომ მოითხოვა ყოველი ტელეგადაცემის წინ მისთვის პროფესიონალი მეძავი მიეყვანათ* [ვ. შუბითიძე, 2000, 67] *".*

*"**ლიდერები და ცნობილი ადამიანები.** ამომრჩევლის კეთილგანწყობის მოპოვების და მასთან დაახლოების მიზნით, პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ თავიანთ ნაცნობობას ან ურთიერთობას საზოგადოების საყვარელ, ცნობილ ადამიანებთან: მსახიობებთან, კინორეჟისორებებთან, სპორტსმენებთან, მათთან, ვის მიმართაც ხალხი გულგრილი არაა. ამ გამოცდილებას ეფექტურად იყენებენ ამერიკაში"* [Г. Г., Почепцов, 2002; 323].

*„მაგალითად, რონალდ რეიგანი დიდი სიამოვნებით ჩნდებოდა საზოგადოებაში ცნობილ მსახიობებთან, მომღერლებთან და შოუ-ბიზნესის სხვა წარმომადგენელბთან ერთად. პუბლიკის სიყვარული ვარსკვლავებისადმი პრეზიდენტზეც გადადიოდა და მის იმიჯს ქულებს მატებდა* [Г., Мехлер, 2004, 76] *".*

ბარაკ ობამას სამ შტატში, წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში თან ახლდა ოპრა უინფრი (ტოქშოუს ცნობილი წამყვანი), რამაც ობამას უპირობო გამარჯვება მოუტანა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სიტუაციაში იმიჯმეიკერის ამოცანას ლიდერის ხალხთან დაახლოებისა და მისი პიროვნების „გაადამიანურების" უზრუნველყოფა წარმოადგენს.

მკვლევარ პოჩეპცოვის აზრით, იმიჯი ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია პოლიტიკოსსა და საზოგადოებას შორის. მისი მიზანია ერთმანეთს შეუსაბამოს პიროვნებისა და აუდიტორიის ინტერესები (Г. Г., Почепцов, 2002).

პოლიტიკური იმიჯის ოპტიმალური მოდელი სამ ძირითად ფსიქოლოგიურ პარამეტრს ითვალისწინებს:

- ***გარეგნული მონაცემები*** *(მოვლენების სტრუქტურები, შინაგანი ღირსებების დემონსტრირება);*
- ***პოლიტიკური მახასიათებლები*** *(შეხედულება, პოზიცია, პარტიულობა, კავშირები);*
- ***საზოგადოებისადმი კანდიდატის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩანერგვა*** [Д. В., Ольшанский, 2002, 555]

როგორც ინგლისელი მკვლევარი ელერო სიმპსონი ამბობს, ჩვენ ყველანი ჩვენი საქმით ვართ დაკავებული და ცხოვრების უსწრაფესი რიტმი არ გვაძლევს საშუალებას ჩავუღრმავდეთ თითოეულ პიროვნებას, რომელსაც ყოველ სამუშაო დღეს ვხვდებით. ამდენად, თავდაპირველად, სანამ მასთან საუბარს დავიწყებდეთ, ჩვენ მის ვიზუალურ მხარეებს აღვიქვამთ (Г. Г., Почепцов, 2002).

*„გარეგნულ მონაცემებზე საუბრისას ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმიჯის შექმნა კოლექტიური საქმიანობაა და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. მისი ჩამოყალიბების პროცესში ჩართულია, როგორც თავად პოლიტიკოსი, აგრეთვე სხვა სპეციალისტებიც: კოსმეტოლოგები, გრიმიორები, სცენარისტები, მოდელიერები, ორატორული ხელოვნების ოსტატები და სხვ. შინაგანი ღირსებების წარმოჩენა ფსიქოლოგების, ფსიქოლინგვისტების, რეჟისორებისა და სცენარისტების დახმარებით მიიღწევა. კანდიდატიც მათი რჩევების და რეკომენდაციების გათვალისწინებით მოქმედებს* [Д. В., Ольшанский, 2002, 555]*“.*

*„პოლიტიკური მახასიათებლებიდან გამოიყოფა სამი კონკრეტული კრიტერიუმი: ავტორიტეტი, ნდობა და პროფესიონალიზმი. თავდაჯერებულობა პიროვნების ავტორიტეტის შემადგენელი ნაწილია. მაგ., დასავლელ პოლიტიკოსებს სასტიკად ეკრძალებათ ტელეკამერების წინ დაბნეული გამომეტყველება. ამიტომაც,*

*იმიჯმეიკერები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან პრესკონფერენციებზე სავარაუდო კითხვებზე პასუხებს* [Г. Г., Почепцов, 2002, 511] *“.*

ამ მოსაზრებით, არიდებენ თავს პოლიტიკოსები სპონტანურ გამოსვლებს. ამაზე ფსიქოთერაპევტებიც მუშაობენ. ისინი უნერგავენ პოლიტიკოსებს საკუთარი თავისადმი რწმენას.

*„პოლიტიკოსი არა მხოლოდ თავად წარმოადგენს სიმბოლოს, არამედ ის ცხოვრობს სიმბოლოების სამყაროში, ის მათი ტყვეა. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკელები „ჰყიდიან“ თავიანთ მომავალ პრეზიდენტებს, როგორც სარეკლამო პროდუქტს. ამით ისინი პოლიტიკოსებს სასურველ იმიჯს უქმნიან* [Г. Г., Почепцов, 2002, 45] *“.*

*„ექსპერტთა შეფასების მიხედვით, პოლიტიკოსის ცხოვრების 70-75% - ს შეადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR) და სასურველი კონტაქტების დამყარება. პოლიტიკოსი, რომლის უპირველეს მოვალეობას ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა წარმოადგენს, ამ საკითხს სულ რაღაც 20-25% უთმობს* [Г., Мехлер, 2004, 79] *“.*

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რაოდენ რთულია იმიჯის ფენომენის გააზრება, ხოლო შემდეგ მისი პრაქტიკაში გონივრულად გამოყენება. სწორად შერჩეულმა იმიჯმა შეიძლება პოზიტიურად შეცვალოს ადამიანისადმი საზოგადოების დამოკიდებულება, ხოლო არასწორმა იმიჯმა, პირიქით, დამანგრეველი როლი ითამაშოს მის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. იმიჯოლოგია არის მეცნიერება და ამავდროულად ხელოვნება, რომელიც გასწავლის, თუ როგორ უნდა მოაწონო თავი საზოგადოებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმიჯს ბევრი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი აქვს. შესაბამისად, ყველა დეტალი უნდა იქნეს ზედმიწევნით გათვალისწინებული, რადგან რომელიმე მათგანის დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა, მთლიანი იმიჯი დაინგრეს. იმიჯი მეცნიერებისა და ხელოვნების ის დარგია, სადაც თითოეული დეტალი გადამწყვეტია და თავისი ფუნქცია აქვს. *„მიქელანჯელო ბუანაროტი ამბობდა: „წვრილმანებს სრულყოფილებისაკენ მივყავართ, მაგრამ სრულყოფილება არ არის წვრილმანი* [О.Ф., Потемкина, 2002, 67] *“.*

შესაბამისად, სწორი იმიჯის შექმნა სჭირდება ყველას, ხოლო პოლიტიკოსებს ყველაზე მეტად. სწორი იმიჯი არის საზოგადოების კეთილგანწყობის საწინდარი, ხოლო საზოგადოების კეთილგანწყობა - წარმატების საწინდარი. *„მაკიაველი ამბობდა: „ხელმწიფეს არ ევალება ყველა ჩამოთვლილი კეთილშობილური თვისების ქონა, მაგრამ მას პირდაპირ ევალება გამოიყურებოდეს ისე, თითქოს ის მათ ფლობს* [Шепель, В. М., 2002, 87]*".*

ასევე პოლიტიკოსის იმიჯისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ზუსტად განსაზღვროს - ლამაზად მოსვლა და ლამაზად წასვლა, ხოლო თუკი ეს ქალბატონს ეხება, ის ნამდვილად უნდა გრძნობდეს მოსვლისა და წასვლის დროს. იმ ქალბატონმა, რომელზეც საუბარი შემდეგ თავებში გვექნება და ვისაც ეს კვლევა მთლიანად ეთმობა, ყოველივე ზუსტად გათვალა. მოვიდა ლამაზად და ლამაზადაც წავიდა, იმისათვის, რომ, შესაძლოა კიდევ ერთხელ მოვიდეს.

### §1.2 ჰილარი კლინტონის სახე მონოგრაფიებში

ჰილარი კლინტონის პერსონას მკვლევართა ინტერესი არ მოჰკლებია. მისი პიროვნებისა და ცხოვრების შესახებ ბევრი წიგნია დაწერილი. ზოგიერთი ავტორი მას ობიექტურად წარმოაჩენს, სხვები მის შეცდომებს, ხოლო ბევრიც მის ღირსებებს აღნიშნავს.

საკითხის შესასწავლად გავეცანით ჰილარი როდემ კლინტონისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებს და ყურადღება შევაჩერეთ რამდენიმე მათგანზე, რომელსაც ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ამასთან, შერჩევის პრინციპი განაპირობა სამივე ავტორის ჰილარისადმი განსხვავებულმა დამოკიდებულებამ.

პირველი წიგნი, რომელსაც განვიხილავთ არის *Extreme Makeover of Hillary Rodham Clinton* (2006 წ), რომელიც შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „ჰილარი როდემ კლინტონის მკვეთრად შეცვლილი იმიჯი".

*„წიგნი რამდენიმე თავად არის დაყოფილი და თითოეული მათგანი თავისებური ხიბლით გამოირჩევა. მაგალითად, თავი პირველი, რომელიც ჰილარის პერსონაზე საუბრობს. „ცოტა ვინმე თუ მუშაობს კაპიტოლიუმში ჰილარი კლინტონზე უფრო*

*მუყაითად და ცოტა ვინმე თუ უთმობს საკითხის შესწავლას ამდენ დროს. ჰილარი სწავლობს საკითხს მანამ, სანამ ყველა ფაქტს არ დაეუფლება და სანამ მათი განხილვის შესაძლებლობა ყველასთან არ მიეცემა. მისი მიზანია არა მხოლოდ პრობლემის გააზრება, არამედ ექსპერტის დონეზე შესწავლა. ჰილარი საკმაოდ მარჯვეა სწავლაში, მეტად ცნობისმოყვარეა და სხვა პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, დეტალებში ჩაძიებისას სიამოვნებას პოულობს* [B., Buchanan, 2006, 13]. “

*„ჰილარი ყოველთვის კარგადაა ინფორმირებული იმაზე, რის შესახებაც კითხვა არავის ებადება; მაგრამ რამდენადაც უყვარს დეტალებში ჩაძიება, იმდენად სჭირდება კიდეც ეს დეტალები. ჰილარის არ გააჩნია სამომავლო ხედვა, ამიტომ ის ამ ყველაფერს ფაქტების ცოდნით ანაზღაურებს* [B., Buchanan, 2006, 15]“. წიგნის ავტორის განცხადების თანახმად, ბილ კლინტონისაგან განსხვავებით, ჰილარი კლინტონს საზოგადოების მონუსხვის ნიჭი არ გააჩნია.

*„მათ სჯეროდათ ბილ კლინტონის, რადგან ბილ კლინტონს სჯეროდა მათი, ის ხალხთან კომუნიკაციას გულით ამყარებდა და, არა გონებით. ჰილარის ამგვარი ნიჭი არა აქვს. მოგვიანებით მაიკლ კელიმ, საკმაოდ გამჭრიახმა პოლიტიკურმა მკვლევარმა, აღნიშნა: „ბილ კლინტონი პოლიტიკის შექმნაში შეუდარებელია, გორი _ ნაკლებად კომპეტენტური, ხოლო ჰილარი საშინლად არაკომპეტენტურია* [B., Buchanan, 2006, 13]“.

ბეი ბიუქენენის აზრით, ჰილარი კლინტონი ცივი ადამიანია, ის ნაკლებად იმსახურებს ხალხის სიმპატიას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ბარაკ ობამას ასპარეზზე გამოჩენა და ჰილარის პერსონის გადაფარვა გამოწვეულია ჰილარის არაკომუნიკაბელურობით. „ჰილარი აჯადოვებს მაყურებელს თავისი ცნობადობითა და ცოდნით, მაგრამ ის ვერ ამყარებს კონტაქტს დამსწრე საზოგადოებასთან. სამწუხაროდ, ჰილარისათვის ეს არის ის, რასაც ის ვერ ისწავლის, სხვა შემთხვევაში ის ამ დარგის ექსპერტიც კი გახდებოდა (B., Buchanan, 2006).

*„ობამას გამოჩენას და ჰილარის ჩრდილში გადანაცვლებას ავტორი თავად ჰილარის აბრალებს. „ობამას გამოჩენა არის მისი კომუნიკაბელურობის დამსახურება. მან იცის, როგორ მონუსხოს აუდიტორია* [B., Buchanan, 2006, 16]“. ბიუქენენი პირდაპირ ამბობს იმას, რომ ობამას ჰქონდა ყველაფერი ის, რის დეფიციტსაც ჰილარი განიცდიდა.

წიგნში განხილულია ჰილარი კლინტონის იმიჯის ასპექტები, კერძოდ, პირველი თავის ერთ-ერთი ქვეთავი - სათაურით: „საკუთარი თმის მეშვეობით მესიჯის გაგზავნა“, აღწერს ჰილარის ვარცხნილობებს და ამ ფაქტს უწოდებს ყველაზე სპეციფიკური ხასიათის განვითარებას მისი პოზიციის ქალბატონისათვის.

წიგნის მომდევნო თავს ავტორი ჰილარის ბუნების განხილვას უთმობს. მისი განცხადებით, თავად ბუნება კანდიდატის გამარჯვებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. *„ეს საკმოდ ლოგიკურია. თუ კი ადამიანს ვერ ენდობი, რაში გაინტერესებს მისი უნარები, გამოცდილება ან ხედვა?* [B., Buchanan, 2006, 46]*“.* როგორც ბიუქენენი გვაუწყებს, კანდიდატის ბუნება მისი კამპანიის ნაწილია.

ავტორის აზრით, „მთავარი ის კი არ არის, რამდენად მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა ჰილარის ცხოვრებაში, არამედ ის, თუ როგორ გაუმკლავდა მათ. ჰილარი საკმაოდ თანმიმდევრული ადამიანია, რომელმაც ჩამოიყალიბა მეტად დინჯი ხასიათი არკანზასიდან დაწყებული, პირველი ლედობით დამთავრებული. ჰილარი ამას ვერსად გაექცევა. ეს არის მისი ბუნება, რომელსაც იგი მთელი ცხოვრება ავითარებდა (B., Buchanan, 2006)“.

მეტად საინტერესოდ აღწერს ბეი ბიუქენენი ჰილარის შესვლას თეთრ სახლში. პირველი, რასაც ავტორი ხაზს უსვამს ისაა, რომ ჰილარიმ თეთრი სახლის კარები შურისძიების გრძნობით შეაღო. მან დაამტკიცა, რომ ის ბოსია. ბიუქენენი ჰილარის თანაპრეზიდენტს უწოდებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ჰილარი იღებდა გადაწყვეტილებებს თეთრი სახლის პერსონალიდან ვინ დაეთხოვათ სამსახურიდან და ვინ დაექირავებინათ. ჰილარის მეორე თვისება, რომელსაც ბიუქენენი არცთუ დადებითად აფასებს, ისაა, რომ ის ჰილარის „პარანოიკს“ უწოდებს. ბიუქენენი ამბობს, რომ თუკი თეთრ სახლში ვინმეს ვინმესადმი ერთგულება გამოუჩენია (და ეს ერთგულება არ იყო მასა და ბილისადმი მიმართული) ჰილარი ამ ერთგულებასაც ალმაცერად უყურებდა (B., Buchanan, 2006).

ამის დასამოწმებლად წიგნში მოყვანილია მაგალითი, თუ როგორ გაათავისუფლა პირველმა ლედიმ პროგრამისტი ქრის ემერი თანამდებობოდან, მხოლოდ იმიტომ, რომ მან, ყოფილი პირველი ლედის - ბარბარა ბუშის - ზარს უპასუხა. ქალბატონმა ბუშმა

პროგრამისტს საკუთარ კომპიუტერში არსებული პრობლემის მოგვარება სთხოვა (B., Buchanan, 2006).

წიგნში ბეი ბიუქენენი საკმაოდ საინტერესოდ აფასებს ჰილარის დამოკიდებულებას თეთრი სახლის მოხელეებისადმი: *„ჰილარის სამყაროში, სადაც იგი ორგულობის შიშით ცხოვრობდა, ყოველგვარი შიში, წარმოსახვითი თუ ნამდვილი, უნდა ყოფილიყო თავიდან აცილებული* [B., Buchanan, 2006, 55]". მისი პარანოია არ იყო არგუმენტებით გამყარებული. იმ ამერიკელი მოხელეების ბედი კი, ვინც თეთრ სახლში თავის უფლება-მოვალეობებს სიყვარულით ასრულებდა, ჰილარის სრულებით არ ადარდებდა. მათ მიერ გაწეული სამსახური მას უმნიშვნელოდ მიაჩნდა. ის მათზე საკუთარ ძალაუფლებას ახორციელებდა და თავს მათი პერსონისაგან ათავისუფლებდა (B., Buchanan, 2006).

წიგნში ასევე, მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციაა იმის შესახებ, თუ როგორ უთვალთვალებდა ჰილარი კლინტონი ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირეოდენ საშიშროებას მაინც წარმოადგენდა მისთვის და მისი მეუღლისათვის. ბიუქენენი აღნიშნავს, რომ ჰილარიმ იმ ადამიანების პირადი ცხოვრების თითოეული დეტალი იცოდა. მან სრულად გამოიყენა საკუთარი ძალაუფლება, გამოძიების ფედერალური ბიუროდან სასურველი ჩანაწერების გასაცნობად. მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჰილარი ქირაობდა დეტექტივებს, რათა დაედგინა იმ ადამიანების ოჯახის წევრების, ბოიფრენდების, თუ მათთან დაკავშირებული სხვა ადამიანთა ვინაობა და მისამართები.

წიგნში „ჰილარი როდემ კლინტონის მკვეთრად შეცვლილი იმიჯი", ავტორი გარკვევით ამბობს იმასაც, რომ ჰილარი მეუღლის ყველა სასიყვარულო ინტრიგის საქმის კურსში იყო. ის მშვენივრად იყო ინფორმირებული დასაწყისშივე და თავიდანვე ცდილობდა სიტუაცია კონტროლიდან არ გამოსულიყო. ბიუქენენი მკაფიოდ აცხადებს, რომ განსაკუთრებული ჰილარის არაფერი გაუკეთებია, რადგან ის ბილს იცავდა იმიტომ, რომ საკუთარი კარიერა გადაერჩინა. ბილი ჰილარის კარიერული წინსვლის „ბილეთი" იყო (B., Buchanan, 2006).

ბიუქენენი მძაფრად აკრიტიკებს ჰილარი კლინტონის საქციელს. ჰილარი, რომელიც გამუდმებით ქალთა უფლებების უზენაეს დამცველად გვევლინებოდა, ყველა ქალს მოუწოდებდა ხმა ამოეღოთ, არ შერიგებოდნენ სექსუალურ ძალადობას და ყველას

გვერდით დგომას ჰპირდებოდა, არ დაინდო ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელე პაულა ჯონსი. მან სწორედ ის გააკეთა, რასაც ჰილარი ქადაგებდა. რატომ წუთით მაინც არ წარმოიდგინა ჰილარიმ ოცდაშვიდი წლის გოგონასათვის რაოდენ დიდი გამბედაობა იყო საჭირო შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის ბრალის წასაყენებლად (B., Buchanan, 2006).

*„პაულა ჯონსი არანაირ ფულად კომპენსაციას არ ითხოვდა. მას უბრალოდ სურდა, რომ მის რეპუტაციას ჩირქი არ მოსცხებოდა. ის მხოლოდ იმ ფაქტის დადასტურებას ითხოვდა, რომ მას არანაირი მიუღებელი საქციელი არ ჩაუდენია* [B., Buchanan, 2006, 65] *“.*

*„ჩვენ გვეგონა, რომ ეს სკანდალიც სხვა ცრუ სკანდალებივით ჩაივლიდა, - მოგვიანებით დაწერა ჰილარიმ თავის მემუარებში* [B., Buchanan, 2006, 66] *“.* საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბეი ბიუქენენი ბილ კლინტონის სასიყვარულო ინტრიგებს საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. მისი მიზანია ყოველი ინტრიგის ცენტრში წარმოაჩინოს ჰილარი კლინტონი და პრობლემისადმი მის დამოკიდებულებას გაუსვას ხაზი. ავტორი ასახელებს ყველა ქალბატონს, ვინც პრეზიდენტი კლინტონი უმსგავს საქციელში დაადანაშაულა და მათი ისტორიები დეტალურად აღწერა. ყველაზე საინტერესო ის ეპიზოდია, როდესაც ბიუქენენი აშკარად რიტორიკულ კითხვებს სვამს.

მას აინტერესებს, რას მოელოდა მსოფლიოში ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფემინისტი ქალბატონი - ჰილარი კლინტონი პაულა ჯონსისა და მის მდგომარეობაში მყოფი სხვა ქალებისაგან? ფიქრობდა თუ არა, რომ ამ ქალბატონებს უნდა ეპატიებინათ პრეზიდენტისათვის ჩადენილი ქმედებები და თუ ასე ფიქრობდა, რატომ? რატომ არ უნდა ეგო პასუხი ბილს, რით განსხვავდებოდა ის სხვა მამაკაცებისაგან? რატომ არ ვრცელდებოდა კანონი ბილ კლინტონზე? თუ კანონი ჰილარიზე არ ვრცელდებოდა? - ეს სწორედ ის კითხვებია, რომელიც ავტორს თითქოს მოსვენებას უკარგავს (B., Buchanan, 2006).

წიგნში გარკვეული ყურადღება ეთმობა სენატორის პოზიციაზე ყოფნისას ჰილარის შეფასებას. ისევე როგორც სხვაგან, ავტორი აქაც მკაცრად მიუდგა ჰილარი კლინტონის პერსონას. ის ამბობს: *„ჰილარის ბუნების ერთ-ერთი ყველაზე მაკომპრომენტირებელი ასპექტი არის მისი დამოკიდებულება სიმართლისადმი. ჰილარისათვის ის მენიუზე*

*მეტს არ წარმოადგენს. მას შეუძლია დღეს ერთი შეუკვეთოს, ხოლო ხვალ სულაც არ იყოს ამის ხასიათზე. ჰილარი ტყუის, ცვლის, უარყოფს, ამართლებს ტყუილს. ის ტყუის ყველაფერში და ყველასთან. იქნება ეს გარემო პირობებით გამოწვეული მდგომარეობა, ყოველდღიური მიზეზით თუ ფიცით. ის ტყუის მიზეზით, თუ უმიზეზოდ. ჰილარისათვის ტყუილი გახდა კომუნიკაციის ცენტრალური საშუალება* [B., Buchanan, 2006, 78] ".

ავტორის განცხადების თანახმად, ჰილარის ხასიათი სულაც არ გამოიყურება მომხიბვლელად. ის ნებისმიერ რამეზეა წამსვლელი საკუთარი მიზნის მისაღწევად. ის მზადაა ტყუილი თქვას, გაჭოროს, ცრუ მოწმის სტატუსი მიისადაგოს და გაანადგუროს უდანაშაულო ადამიანთა ცხოვრება, რეპუტაცია და სიცოცხლეც კი, ამის გამო, როგორც ავტორი ამბობს, მას დარდი და სინდისი არ შეაწუხებს (B., Buchanan, 2006).

მესამე თავი „The Woman Who Would Be The President" („ქალი, რომელიც შეიძლება პრეზიდენტი გახდეს") იწყება რამდენიმე კითხვაზე გაცემული პასუხებით. ბუქენენი ამბობს ვინ არის ჰილარი კლინტონი და შეიძლება თუ არა მას ვენდოთ. ავტორი მიიჩნევს, რომ ჰილარის ხატი სულაც არ არის მომხიბლველი. ბიუქენენი ასევე დასძენს: *„ის არის კომპეტენტური, ამბიციური, შრომისმოყვარე, ცნობისმოყვარე ქალბატონი სხარტი გონებით, მაგრამ ამავე დროს ის ანგარებიანია, ყველაფერი კონტროლის ქვეშ აქვს, ის არის პოლიტიკურად არასანდო ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობს ბარიერი არც ღირებულებების, არც იდეალების და არც პრინციპების წინაშე. ერთი სიტყვით, ის გააკეთებს ყველაფერს, იტყვის ყველაფერს,რათა მიაღწოს იმას, რაც მიზნად დაისახა* [B., Buchanan, 2006, 80] ".

ბიუქენენი აღნიშნავს, რომ ჰილარი დღესაც ის არის, რაც გუშინ იყო. ავტორს მიაჩნია, რომ საქმე იმიჯმეიკერების ნაკლებ მონდომებაში არ არის. იმიჯმეიკერთა გუნდი ყოველდღიურად ზრუნავს, რათა ის უფრო ნაზ ქალბატონად წარმოაჩინოს, მაგრამ ისინი ვერაფერს უხერხებენ მის ნამდვილ ბუნებას (B., Buchanan, 2006).

ეტაპობრივად ავტორი უახლოვდება კითხვას, თუ რამდენად შეძლებს ჰილარი კლინტონი გახდეს ქვეყნის მთავარსარდალი - შეერთებული შტატების პრეზიდენტი? ხოლო იმათ, ვინც დადებითად შეხვდება ჰილარის გაპრეზიდენტებას, ბიუქენენი უსვამს

შემდეგ კითხვას: *„მომიყვანეთ ერთი მაგალითი მაინც, სადაც ჰილარიმ ბოლომდე იტვირთა პასუხისმგებლობა იმაზე, რაც საკუთარ თავზე აიღო?* [B. Buchanan, 2006, 85]“.

„ჰილარი როდემ კლინტონის მკვეთრად შეცვლილი იმიჯი“ საკმაოდ საინტერესოდ შედგენილი წიგნია. მასში განიხილება არა მხოლოდ წარსული ან აწმყო, არამედ შესაძლო მომავალიც. ავტორი მიგვითითებს, რომ საკმაოდ ბევრი რამ გავარკვიეთ ჰილარის შესახებ. თუმცა ისმის კითხვა: *„რისი სჯერა ჰილარის? რას გააკეთებდა, ხელი რომ მიუწვდებოდეს საგარეო პოლიტიკაზე? ასევე განხილულია მისი შესაძლო გაპრეზიდენტება. ამ შემთხვევაში საგულისხმოა თავად ჰილარის განაცხადი ამ საკითხის შესახებ: „ჩვენ გვჭირდება გამჭრიახი გონების მქონე ადამიანი, მძლავრი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ჩვენ მხოლოდ ახალ მეგობრებს კი არ შეგვძენს და ჩვენს მოკავშირეებს პატივს სცემს, არამედ ისეთი, როგორიც ესმის ხალხს და როგორსაც მხარს უჭერს ამერიკელი ხალხი* [B. Buchanan, 2006, 85] “.

შემდეგი წიგნი, რომელსაც განვიხილავთ არის „Can She Be Stopped?” („მისი შეჩერება შესაძლებელია?“).

წიგნის ავტორი ჯონ პოდჰორეცი ამბობს: *„უბედურება, რაც შეიძლება ჰილარიმ თეთრ სახლს თავს დაატეხოს გაცილებით უფრო დამანგრეველი ძალისა იქნება ქვეყნისათვის, ვიდრე ის, რაც კი უკეთებიათ მასა და ბილს თეთრ სახლში 1990- იან წლებში* [J.Podhoretz, 2006, 7] “.

წიგნში ჩანს ბილ კლინტონის დამოკიდებულება საკუთარი მეუღლისადმი. 2005 წელს მან ისრაელის ტელევიზიას უთხრა, რომ ჰილარი *„რაღაც მოსაზრებით უკეთესი პრეზიდენტი იქნებოდა, იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ ბევრი გვაქვს ერთად გაკეთებული. პირველი, მას აქვს სენატში მუშაობის გამოცდილება, რაც მე არ მქონია. მეორე, ის რვა წელი ცხოვრობდა თეთრ სახლში. მე ვფიქრობ, ის არ ჩაიდენს ამდენ შეცდომას, რადგან ახლა მეტისანი ვართ, ვიდრე მაშინ და ჰილარის გაცილებით მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე მე, როდესაც ოფისში შევდგი ფეხი* [J. Podhoretz, 2006, 7] “.

ჰილარი აღნიშნულ წიგნშიც მძაფრად არის გაკრიტიკებული. წიგნის ერთი თავი _ „ყველაფრის მიუხედავად რატომ უნდა აირჩიონ ჰილარი პრეზიდენტად?“ - განიხილავს რამდენად იმსახურებს ქალბატონი ჰილარი კლინტონი პრეზიდენტობას.

ავტორის განცხადების თანახმად, ჰილარიმ თავისი საპრეზიდენტო კამპანია დაიწყო მაშინ, როდესაც მისი საქმიანობით უკმაყოფილო ადამიანთა რიცხვი 40 პროცენტს შეადგენდა. ამის შესახებ საკმაოდ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ლი ეთუოთერმა (რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ბუშ უფროსის მრჩეველი, რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე): *„თუ კი კანდიდატისადმი ნეგატიური განწყობა აღწევს 40 პროცენტს, ეს კანდიდატი მოიგებს იმ კამპანიას* [J. Podhoretz, 2006, 15] *“.*

ჯონ პოდჰორეთცის აზრით, ჰილარის კანდიდატურის წამოყენებით დემოკრატები უკეთესს ვერაფერს გაუკეთებდნენ რესპუბლიკელებს, რადგან საზოგადოებას კარგად ახსოვს, ვინ არის ჰილარი კლინტონი, ხოლო თუ არ ახსოვს, უცებ გაიხსენებენ, როგორც კი ამას შეახსენებ (J. Podhoretz, 2006).

ძალზე საინტერესოა ის მომენტი, როდესაც ავტორი ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე თუ როდის გაიცნო ამერიკელმა ხალხმა ჰილარი კლინტონი. ამერიკელებმა ჰილარი კლინტონი გაიცნეს 1992 წელს გადაცემაში „60 წუთი“, სადაც ბილ კლინტონს ვინმე ჯენიფერ ფლაუერსთან ურთიერთობაში ედებოდა ბრალი. ეს იყო ბილის ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი, რომელიც წარმატებულად ვერ ჩაივლიდა ჰილარის გარეშე. აქამდე მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, რადგან აქამდე არავის ახსოვდა პრეზიდენტობის კანდიდატის, ჰილარის მსგავსი მეუღლე (J. Podhoretz, 2006).

ჰილარი კლინტონი აღმოჩნდა ის პირველი ქალბატონი, რომლისთვისაც ბილ კლინტონმა თეთრ სახლში კაბინეტის გამოყოფაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ხალხმა მას უნდა მისცეს ხმა, რადგან *„ერთს იყიდი, ერთი კი უფასოდ მოჰყვება* [J. Podhoretz, 2006, 36] *“.*

საგულისხმოა ის ფაქტორი, რომ ჯონ პოდჰორეცმა თავის წიგნში მოიყვანა ერთ-ერთი არატრადიციული ორიენტაციის აქტივისტი ქალბატონის კარენ ბურსტაინის მოსაზრება ჰილარი კლინტონზე: *„ჰილარი კლინტონი არის ის ადამიანი, რომელიც*

*პატარა გოგონებს სთავაზობს გარკვეული ცხოვრების მოდელს, ხოლო პატარა ბიჭებს იმ მიცემული პირობებისა და შესაძლებლობების გააზრებას, რაც განკუთვნილია ქალებისათვის", ის დიდი გონებრივი შესაძლებლობების ქალბატონია. ქალბატონი კლინტონი გამუდმებით ამტკიცებდა, რომ შენ გაქვს არჩევანი და თუნდაც შენი არჩევანი არასწორი იყოს, შეგიძლია უკან დაიხიო და სხვა მიმართულებით წახვიდე* [J. Podhoretz, 2006, 59]". ავტორის აზრით, არის უამრავი ქალბატონი, რომელიც ჰილარიზე აბსოლუტურად განსხვავებული წარმოდგენისაა და რომელთაც მიაჩნიათ, რომ მისი მაგალითი მათი შვილების ამბიციებისათვის დამღუპველია (J. Podhoretz, 2006).

ავტორს ჰილარის შესახებ საკუთარი ხედვა აქვს. ის მიიჩნევს, რომ ჰილარი არ არის ჯერალდინ ფერარო. ერთი მხრივ, მან იცის როგორ აკონტროლოს საკუთარი ხასიათი ხალხთან, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი საჯარო გამოსვლები სულაც არ არის ეფექტური და გონებამახვილური. პოდჰორეცის აზრით, ჰილარის პრობლემა, როგორც ყველა ქალის, ვისაც პრეზიდენტად გახდომა სურს, ისაა, რომ ეს თანამდებობა ყოველთვის მამაკაცებთან ასოცირდება (J. Podhoretz, 2006).

თავად ავტორს აქვს მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა სჭირდება ჰილარის პრეზიდენტობისათვის. მისი აზრით, ჰილარი უნდა იყოს ცივი და მას გაუმტარი გარსი უნდა ჰქონდეს. ის ყოველთვის ცალსახა პოზიციას უნდა იჭერდეს. ის უნდა აშინებდეს ადამიანებს, ხანდახან ადამიანებს უხერხულ მდგომარეობაშიც უნდა აგდებდეს. ამით შეიქმნის იმიჯს, რომ შეუძლია გაუმკლავდეს ნებისმიერი ტიპის კრიზისსა და კატასტროფას, რაც შეიძლება პრეზიდენტს შეხვდეს. ანუ ქალმა, პრეზიდენტი რომ გახდეს, უნდა წარმოაჩინოს პიროვნული სიძლიერე, რათა დაანახოს ყველას, თუ რამდენად შეუძლია სძლიოს ქალურობას (J. Podhoretz, 2006).

შემდეგი წიგნი, რომელსაც განვიხილავთ არის *Hillary's Choice* („ჰილარის არჩევანი", 1999 წელი), იგი 17 თავისაგან შედგება და საკმაოდ საინტერესო მასალას მოიცავს. მასში აღწერილია ჰილარი კლინტონის ცხოვრების ყველა ნიუანსი. დეტალურადაა მოთხრობილი მისი სიყვარულის ისტორია ბილ კლინტონთან და ასევე, რაც ყველაზე საინტერესოდ მეჩვენა, ერთი თავი მიძღვნილია მისი და ელეონორა რუზველტვის ვირტუალური საუბრებისათვის.

ჰილარი კლინტონს ეკუთვნის ფრაზა: *„სწორედ ახლა მქონდა წარმოსახვითი საუბარი პირველ ლედისთან - ელეონორა რუზველტთან და ის ფიქრობს, რომ ეს შესანიშნავი იდეაა* [G. Sheehy,1999, 255] *“.*

ასევე წიგნში ერთ-ერთი თავი ეხება ჰილარის ჩასვლას ჩინეთში და ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მის მიერ ჩინეთის მთავრობის გაკრიტიკებას. სწორედ იქ წარმოთქვა ჰილარიმ თავისი ცნობილი სიტყვები: „ქალთა უფლებები არის ადამიანის უფლებები, ხოლო ადამიანის უფლებები - ქალთა უფლებებია, დაიმახსოვრეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ [Sheehy, 1999, 275]“.

წიგნში ასევე დეტალურადაა აღწერილი ბილ კლინტონის ყველა სასიყვარულო ისტორია. წიგნი ძირითადად მოგვითხრობს და შედარებით ნაკლებ ანალიზს მოიცავს, ვიდრე ზემოხსენებული ორი წიგნი. გეუფლება შეგრძნება თითქოს რომანს კითხულობ. ავტორი დაჯილდოებულია წერის უნიკალური ნიჭით, მაგრამ წიგნი არ შეიცავს სიღრმისეულ ანალიზსა და დასკვნებს.

განხილული სამი მონოგრაფიიდან ორი მძაფრად აკრიტიკებს ჰილარი კლინტონს, ხოლო მესამე - შედარებით ნეიტრალურია. ისმის კითხვა - არის თუ არა ჰილარი კლინტონი ასეთი სინამდვილეში თუ ავტორები არიან ზედმეტად სუბიექტურები? მონოგრაფიის წერისას შეუძლებელია არ იყო სუბიექტური, თუმცა დიდ საშიშროებას წარმოადგენს ობიექტურობას ამოფარებული აბსოლუტური სუბიექტურობა. ვფიქრობ წიგნებში: „ჰილარი როდემ კლინტონის მკვეთრად შეცვლილი იმიჯი“ და „მისი შეჩერება შესაძლებელია?“ ავტორთა შეფასებები დაუბალანსებელია.

ბიუქენენის შეხედულებები ძალიან საინტერესოა, მაგრამ მეტად რადიკალური. თუმცა, ერთი შეხედვით, არგუმენტირებული. ყველა ავტორს თავისი ხედვა აქვს და თითოეული სხვადასხვაგვარად აღიქვამს დეტალებს. ბიუქენენისეული ხედვა კი ასეთია _ ის არ აკნინებს ჰილარის დადებით თვისებებს, თუმცა არც წინა პლანზე გამოაქვს, ხოლო უარყოფითზე _ გაცილებით მეტს საუბრობს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ იმიჯზე ვსაუბრობთ. რადიკალურად განწყობილი ავტორის მიერ მოწოდებული ჰილარი როდემ კლინტონის იმიჯი კი გაცილებით უფრო მომხიბლავად გამოიყურება

მკითხველისათვის. ამიტომ, არ ვიცით, თუ რამდენად სარწმუნოა ავტორის დაუფარავი რადიკალიზმი.

# II თავი

# ჰილარი კლინტონის იმიჯი

## § 2.1 ჰილარი კლინტონის იმიჯის ძირითადი მახასიათებლები

ჰილარი კლინტონის იმიჯი სხვადასხვა რანგში ყოფნისას გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე იმიჯის ესა თუ ის აპსექტი აქტუალური ხდებოდა და გარკვეული პრიორიტეტიც ენიჭებოდა.

ამ თავში განვიხილავთ ჰილარი კლინტონის იმიჯის ზოგად მახასიათებლებს იმიჯოლოგიის ასპექტების გათვალისწინებით.

ნაშრომში ჰილარი კლინტონის იმიჯის თავისებურებებს ვაანალიზებთ შემდეგი სქემით: იმიჯის თეორიულ ასპექტებზე დაყრდნობით წარმოვაჩენთ ჰილარი კლინტონის პერსონას მთლიანად და ყურადღებას ვამახვილებთ მისი იმიჯის დამახასიათებელ მხარეებზე, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტატუსის შესაბამისად.

ჰილარი კლინტონი არის ის უიშვიათესი ქალბატონი, რომელიც თანმიმდევრულ და გათვლილ გადაწყვეტილებებს იღებს. თუმცა, ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე არათანმიმდევრულობაც გამოუჩენია. სწორედ ეს არათანმიმდევრულობა აინტერესებს ამერიკულ მედიასა და კრიტიკას.

დიდი ტვირთია იყო პირველი ლედი, სენატორი ქალი და სახელმწიფო მდივანი, მაგრამ საქმე გაცილებით უფრო რთულდება, თუკი ამ ყველაფერთან ერთად ხარ ჰილარი კლინტონი. ჰილარი კლინტონს ხშირად აკრიტიკებენ. კრიტიკა თავს იჩენდა მონოგრაფიებში, პრესის ფურცლებზე თუ მასზე შექმნილ კარიკატურებში.

მრავალი მასალაა იმის შესახებ თუ როგორი სიმკაცრე გამოუჩენიათ კრიტიკოსებს ჰილარის მიმართ, გაუკრიტიკებიათ მისი იმიჯი, პოლიტიკური ნაბიჯი თუ პირადი ცხოვრება, თუმცა გვაქვს საპირისპირო მაგალითიც, სადაც ჰილარი კლინტონი

დასახელდა მთავარ მოქმედ ფიგურად ბ. კლინტონის გაპრეზიდენტებისას და მისი იმპიჩმენტის თავიდან აცილების საქმეში.

ჰილარი კლინტონი დღემდე მეტად მომხიბლველ და გავლენიან ფიგურად რჩება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჰილარი ყოველთვის სოციალურად აქტიურია. ის აღწევდა ერთ წარმატებას, რომ შემდეგ მიეღწია მეორისათვის. გახდა პირველი ლედი იმ პირობით, რომ შემდეგ სენატორად გვეხილა, გახდა სენატორი იმ პირობით, რომ შემდეგ სახელმწიფო მდივანი გამხდარიყო. მის ცხოვრებაში ყოველთვის იყო ეტაპი, რომლისკენაც მიილტვოდა. მისი ამბიციები ყოველთვის პირდაპირაა დაკავშირებული საკუთარი პოტენციალის რეალიზაციასთან. ის თამამად მიჰყვებოდა საკუთარ ამბიციებს და ხაზგასმით ამბობდა, რომ ამას აკეთებდა ადამიანების კეთილდღეობისათვის.

ჰილარი კლინტონის ფენომენალურობას მის არაპროგნოზირებადობას უკავშირებენ. ეს ერთ-ერთი ყველაზე საჭირო თვისებაა, განსაკუთრებით საჯარო პირებისათვის, რადგან, როდესაც არაპროგნოზირებადი ხარ - გარკვეულწილად ხელშეუხებელი ხდები.

ადამიანებს აცვიფრებს, როგორც მისი სიმტკიცე და წარბშეუხრელობა ცხოვრებისეული სიძნელეებისა და სკანდალების წინაშე, ასევე მისი მკაცრი ლაკონიურობა, თავშეკავებულობა და მისი გარდერობი.

ცნობილი ფაქტია, რომ პოლიტიკოსი უნდა განასახიერებდეს სტაბილურობას და უნდა იყოს სანდო ადამიანი, თუმცა სწორედ ბეი ბიუქენენის „ჰილარი როდემ კლინტონის მკვეთრად შეცვლილი იმიჯი“ - ს მიხედვით, ჰილარი კლინტონს სწორედ ეს თვისება აკლია, რადგან, ავტორის აზრით, ის არასანდო ადამიანია.

ჰილარი კლინტონის გარეგნულ იმიჯზე სხვადასხვა დროს ძალიან ბევრ სპეციალისტს უმუშავია. ამ ეტაპზე მისი პირადი დალაქი იზაბელ გეტსია, რომელიც, ასევე ბევრი სხვა ამერიკელი პოლიტიკოსის ვარცხნილობითაა დაკავებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს მრავალგვარი იმიჯი. ჩვენ შევეცდებით სწორედ არსებულ თეორიულ ასპექტებს მოვარგოთ ჩვენი შესწავლის ობიექტი - ქალბატონი ჰილარი კლინტონი. როგორც I თავში განვიხილეთ, არსებობს იმიჯის სხვადასხვა

კატეგორია. შესაბამისად, ამა თუ იმ ადამიანის იმიჯი შესაძლოა დროის სხვადასხვა პერიოდში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს. ერთ-ერთი საყურედღებო კი ისაა, რომ იმიჯი სხვადასხვა გადმოსახედიდან სხვადასხვაგვარი ჩანს. იმიჯის კვლევის საკითხი შორს არის თეორემისაგან, რომლის დამტკიცება შესაძლებელია და ასევე აქსიომისაგან, რომელიც უკვე დამტკიცებულია. ჩვენ ვერასოდეს დავამტკიცებთ, რომ ამა თუ იმ ადამიანის იმიჯი შეიძლება იყოს გადაჭრით ასეთი ან ისეთი. ყველაფერი დამოკიდებულია, იმიჯის რომელი სახეობით ფასდება ადამიანი და რომელ სოციუმს მიეკუთვნებიან მისი იმიჯის შემფასებლები.

კონკრეტულ შემთხვევაში ვიკვლევთ ჰილარი კლინტონის იმიჯს. იმიჯზე არსებული თეორიული მასალა კი შემდეგი განხილვის საშუალებას გვაძლევს:

**სარკისებური იმიჯი** ჰილარი კლინტონის შემთხვევაში შეინიშნება საკმაოდ ბევრ ადგილას. მაგალითად, მის გამოთქმებში გამოსჭვივის მისი შეხედულება საკუთარ თავზე. მაგ: *„თუ კი მომესურვება რომელიმე კონკრეტული ამბავი ჩამოვიდეს გაზეთის ფურცლებიდან, მე ვარცხნილობა უნდა შევიცვალო* (156)*“.* ამ ფრაზაში ნათლად ჩანს, რამდენად პოპულარულ პერსონად მიიჩნევს ჰილარი კლინტონი საკუთარ თავს. ის ცალსახად აღნიშნავს, რომ ამერიკაში მომხდარ ნებისმიერ ამბავზე მეტად ამერიკულ საზოგადოებას მისი თმის ვარცხნილობის ცვალებადობა ხიბლავს. ამით ჰილარი კლინტონი ხმამაღლა აცხადებს, რომ ის მაღალრეიტინგული პოლიტიკოსია. სწორედ ამ გამონათქვამით შეიძლება ვიმსჯელოთ ჰილარი კლინტონზე, როგორც ლიდერზე, რაც 2008 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო მდივნის პოზიციაზე დანიშვნის შემდეგ დაამტკიცა. სწორედ ბარაკ ობამამ განაცხადა საჯაროდ, რომ „ჰილარი კლინტონი ერთ-ერთი საუკეთესო სახელმწიფო მდივანია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში [108]“. გამოდის, რომ ჰილარი კლინტონი არც თუ ისე უსაფუძვლო ამბიციების მატარებელია.

ჰილარი კლინტონის **მიმდინარე იმიჯის** მაგალითი ბევრია. ისმის კითხვა, როგორია ჰილარი სხვის თვალში?

ჟურნალში *People* (1997) ბ. კლინტონის ორი ფოტოსურათი დაიბეჭდა: ერთ-ერთ მათგანზე პრეზიდენტი გოლფის მოედანზე მიწისკენაა დახრილი და ფიქრობს რომელ

ბურთს დაარტყას. მეორეში - ნაყინის დიდი ულუფა უჭირავს და ბედნიერი გამომეტყველება აქვს. ფოტოს საგულისხმო მინაწერი ახლავს *„ჰილარი, როგორც ჩანს, დიეტის დარღვევის წინააღმდეგი არაა* (მ. ლომიძე, 2005)*"*. ცხადია, ამ მასალის მიზანია აჩვენოს პრეზიდენტის ადამიანური სახე. მესიჯი ასეთია - პრეზიდენტი ჩვეულებრივი ადამიანია, ისეთივე, როგორც ამომრჩეველი. ეს კარგი მაგალითია მისი იმიჯისათვის, მაგრამ ასევე კარგი მაგალითი ჰილარი კლინტონის იმიჯისათვის - კარგი ალტრუისტი მეუღლე, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს პრეზიდენტის ჯანმრთელობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე. უდავოა, ამგვარი მასალის ზემოქმედების ძალა განუზომლად დიდია, რაც პრეზიდენტის ოჯახის ჰარმონიული იმიჯის დამკვიდრებას ემსახურება.

რაც შეეხება პრესას ისიც არაერთგვაროვანია ჰილარის შეფასებისას, რადგან მას ჰილარისა და ბილის ურთიერთობა აბსოლუტურ ბლეფად ეჩვენება. პაპარაცებს არაერთხელ აღუნიშნავთ ის ფაქტი, რომ ბილი და ჰილარი ხელიხელჩაკიდებული მხოლოდ ობიექტივის წინაშე არიან, ხოლო როგოც ობიექტის სამიზნეში აღარ ჩანან, მაშინვე შორდებიან ერთმანეთს და ცალ-ცალკე მიდიან.

ასევე ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცნობილი ინგლისელი მკვლევარი ელერო სემპსონი იმიჯის სხვა ტიპებთან ერთად გამოყოფს **საჭირო იმიჯს,** რადგან საჭირო იმიჯი ყურადღებას ამახვილებს ინდივიდის გარეგნობაზე (ჩაცმულობა, ვარცხნილობა და ა.შ) (Г. Г. Почепцов, 2002).

ჰილარი გამოირჩევა კლასიკური სტილით. იგი ზაფხულის ფერების ქალბატონია და საკმაოდ მარჯვედ იყენებს ზაფხულის ფერთა გამის უპირეტესობებს.

დამატებითი აქცენტებისათვის ქალბატონი კლინტონი ირჩევს ბორდოსფერს, ნაცრისფერ-ვარდისფერს ან იასამნისფერს. სპეციალისტებს მის ჩაცმულობაში ყველაზე ხშირ შეცდომად თეთრი და შავი ფერების კომბინაცია მიაჩნიათ. უნდა აღიშნოს, რომ შავი პიჯაკის და თეთრი პერანგის შეთანხმება გარკვეულწილად ძველმოდურია და არაფერი აქვს საერთო „შანელის სტილთან" და "პატარა შავ კაბასთან". ასევე, გასათვალისწინებელია, რომ შავ-თეთრის ამგვარი კომბინაცია ქალს ასაკს მატებს და მეტად დაღლილ გამომეტყველებას სძენს.

ყველა ცნობილ ადამიანს აქვს განმასხვავებელი შტრიხი, რაც საბოლოოდ მის სავიზიტო ბარათად იქცევა. სწორედ ასე ვეღარ წარმოვიდგენთ ჰილარი კლინტონს პიჯაკების, ჟაკეტებისა და დამდგარი საყელოიანი პერანგების გარეშე.

ქალის გარდერობში ასევე დიდი ადგილი უჭირავს სამკაულს. ამ შემთხვევაშიც ჰილარი ხაზს უსვამს თავის ვირტუოზურ მოზომილობას. მასზე არასოდეს შეგვინიშნავს ორზე მეტი სამკაული. როგორც წესი, ქალბატონი კლინტონი ტრადიციულად ატარებს ბროშებს, ხოლო საზეიმო ცერემონიებზე ის უფრო საყურეებს ანიჭებს უპირატესობას. ერთიც და მეორეც, ხშირ შემთხვევაში, არის უბრალო გეომეტრიული ფორმის, რომელიც დამზადებულია თეთრი ოქროსგან ან პლატინისგან და მორთულია მარგალიტებით ან გამჭვირვალე ძვირფასი ქვებით.

როგორც ვხედავთ, ეს ჰილარისათვის სავსებით საკმარისია, რათა საკუთარ იმიჯს მეტი ქალურობა შემატოს და ხაზი გაუსვას თავის სოციალურ სტატუსს.

ამერიკული პრესა ხშირად განიხილავს ჰილარი კლინტონის გარეგნულ იმიჯსაც. ადგილობრივი დიზაინრები ხშირად აქებენ მის თავშეკავებულობასა და ახალი იდეებისადმი გახსნილობას, მაგრამ არცთუ იშვიათად აკრიტიკებენ კიდეც. დონატელა ვერსაჩემ აღნიშნა, რომ ჰილარის არანაირი შანსი არა აქვს გახდეს შეერთებული შტატების პრეზიდენტი მანამ, სანამ შარვლების ნაცვლად ქვედაბოლოების ტარებას არ დაიწყებს. *„მე მესმის, რომ შარვლის ტარება გაცილებით კომფორტულია, მაგრამ ის ქალბატონი გახლავთ და ამის დემონსტრირება უნდა მოახდინოს“*, - განაცხადა დონატელამ ინტერვიუში გერმანულ გაზეთ „Die Zeit“-თან ინტერვიუში (109). ვერსაჩეს არც ის მოსწონს, რომ კლინტონი უპირატესობას ანიჭებს ლურჯი ფერის ტანისამოსს. იტალიელი დიზაინერი ცალსახად შავი ფერის ტარებას ქადაგებს.

იმიჯისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თავად ტანსაცმელს, ასევე, ვარცხნილობასაც. სწორად შერჩეული ვარცხნილობა და თმის ფერი ჰილარის სწორად შერჩეულ პოლიტიკურ პროგრამაზე არანაკლებ დაეხმარა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებები ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, თუმცა მისი ვარცხნილობა სრული სიზუსტით ახსოვთ.

ქალი პოლიტიკოსისათვის ოპტიმალური არჩევანია კარეს სხვადასხვაგვარი ვარიანტი. 2007 წელს ჰილარიმ არჩევანი შეაჩერა მოგრძო კარეზე, რომელიც იძლეოდა საშუალებას თმა სხვადასხვაგვარად დაეყენებინა. ეს ვარცხნილობა არის იმ ქალბატონებისათვის, რომლებიც ცდილობენ „განსხვავებულად გამოიყურებოდნენ“ ყოველ ჯერზე.

ასევე ბევრი სტილისტი ამბობს, რომ კარგია, რომ ჰილარის თმის დახვევა არ უყვარს, რადგან მას საკმაოდ უხეში სახის ნაკვთები აქვს და მის სახეზე მსუბუქი ლოკონები საკმაოდ კომიკურად გამოჩნდებოდა. რაც შეეხება წინამოს, რომელსაც ის საპრეზიდენტო კამპანიისას ატარებდა, ის ქალების უმრავლესობას უხდება, რადგან ეს არის სქელი და სიმეტრიული თმის ნაწილი, რომელიც შუბლს არ ფარავს.

თმის ფერიც ჭკვიანურად არის შერჩეული. ბევრი ქალბატონი, რომელთაც ბუნებრივად მუქი თმა აქვთ და ცდილობენ ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ, იტოვებენ ბუნებრივ თმის ფერს და მას ოდნავ შეურევენ თბილ თაფლისფერ ტონებს. აღსანიშნავია, რომ ჰილარი კლინტონი ყოველთვის არ იყო ასეთი. თუ მისი ახალგაზრდობის ფოტოებს დავათვალიერებთ, აღმოვაჩენთ, რომ იქიდან გვიმზერს მაღალყელიან სვიტერში გამოწყობილი, ძველმოდური, სათვალეებიანი და მუქლოკონებიანი რიგითი ამერიკელი დიასახლისი.

ჰილარი კლინტონის იმიჯი ერთგვარად აღმაფრთოვანებელი იყო პირველი ლედობისა და პრეზიდენტობის კანდიდატობის პერიოდში.

შეიძლება უცნაურია, მაგრამ მისი ფოტოები ამტკიცებს, რომ სილამაზე, უპირველეს ყოვლისა, არის ძალიან დიდი შრომა, რომელსაც ძალისხმევა სჭირდება. ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა. შრომატევადია იყო ლამაზი, შრომატევადია იყო ჰილარი კლინტონი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ყველაფერი მიღწევადია, მაგრამ ამისათვის დიდი შრომისმოყვარეობაა საჭირო, რაც ჰილარი კლინტონს ნამდვილად არ აკლია.

ჰილარი კლინტონის **სასურველი იმიჯი** შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ. ჰილარის სურს ყურადღების ცენტრში ყოფნა. გამუდმებით აჩვენებს, რომ მასაც შეუძლია ყველაფრის მიღწევა, სწორედ ისე, როგორც მის მეუღლეს. მას ხიბლავს იმიჯი ქალისა, რომელმაც მეუღლე პრეზიდენტად აქცია, ხოლო შემდეგ იმპიჩმენტისგან იხსნა. ის

ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ რამდენად ბევრი შეუძლია და რამდენად ცენტრალური როლი შეასრულა ბილ კლინტონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჰილარი კლინტონის სასურველი იმიჯი არის ბილ კლინტონის ცხოვრების შემოქმედის როლი, ქალის, რომელმაც ამერიკას ამ რანგის პრეზიდენტი მოუვლინა, ქალი, რომელსაც პრეზიდენტი ყოველ ნაბიჯს უთანხმებდა. ქალი, რომელიც გახდა „თანაპრეზიდენტი", როგორც მას ბეი ბიუქენენი უწოდებს. ის იყო პირველი პირველი ლედი, რომლის კაბინეტი თეთრ სახლში პრეზიდენტის კაბინეტის გვერდზე მდებარეობდა. ამით ჰილარიმ სწორედ ის იმიჯი შეიქმნა, რომელიც მისთვის მეტად სასურველი იყო. ეს იყო თითქოს ერთგვარი მესიჯი ამერიკული საზოგადოებისადმი, რომ ის ყოველივეს აკონტროლებს და მის გარეშე პრეზიდენტი არაფერს მოიმოქმედებდა. მისი და ბილ კლინტონის წინასაარჩევნო ლოზუნგი - „ერთს აირჩევ და ერთი უფასოდ" სწორედ ამის დამადასტურებელია. ლოზუნგის ქვეტექსტია - *„ჰილარის გარეშე არაფერი კეთდება".* ის იმ დროიდანვე ამზადებდა საკუთარ თავს პრეზიდენტად, თითქოს ამბობდა: *„ხომ ხედავთ ახლა რამდენს ვაკეთებ, ხოლო, როცა პრეზიდენტი გავხდები, რამდენის გაკეთების საშუალება მექნება".* თავის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში, სახელმწიფო მდივნის რანგში, ჟურნალისტის კითხვაზე, რას ფიქრობს ბილ კლინტონი ამჟამინდელ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ჰილარი წონასწორობას კარგავს და ამაღლებული ტონით პასუხობს ჟურნალისტს - „სახელმწიფო მდივანი მე ვარ და არა ბილ კლინტონი", ხოლო შემდეგ ისევ ნერვიულად იმეორებს: „ბილ კლინტონი არ არის სახელმწიფო მდივანი, არამედ მე ვარ" (110). ამ სიტყვებით ის სასურველ იმიჯს ამკვიდრებს. ჰილარი ხაზგასმით გვაუწყებს, რომ ბილს სჭირდებოდა ჰილარი, ხოლო ჰილარის გადაწყვეტილებების მიღებასა და პასუხისმგებლობის აღებისას ბილ კლინტონი არაფერში სჭირდება. ის ხომ ჰილარი კლინტონია.

**უარყოფითი იმიჯი** ჰილარი კლინტონის შემთხვევაში ფიქსირდება მისი და ბარაკ ობამას პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლის დროს. ჰ. კლინტონმა მოაწყო ბრიფინგი, სადაც ბარაკ ობამა დაადანაშაულა ოჰაიოს შტატში, მისი რეიტინგის დაწევის მიზნით, უარყოფითი ხასიათის მასალის გავრცელებაში. ბრიფინგზე წითელ პიჯაკში გამოწყობილი ჰილარი ჟურნალით ხელში საკმაოდ განერვიულებული ჩანდა, თუმცა თავდაჯერებულადაც საუბრობდა. მან განაცხადა: *„მხოლოდ ის, რომ ობამამ არ*

*წარმოადგინა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, არ აძლევს მას უფლებას ჩემზე თავდასხმა განახორციელოს“* (111). ჰილარიმ განმარტა, რომ ობამას გუნდი არასწორ ინფორმაციას უგზავნის ოჰაიოს შტატის მოსახლეობას კლინტონის ჯანდაცვის პროგრამაზე და სრულებით სხვაგვარ ინტერპრეტაციას უკეთებს მას. საუბრის ბოლოს კი ქალბატონმა კლინტონმა მოურიდებლად წარმოთქვა: *„გრცხვენოდეს შენ, ბარაკ ობამა* (111)*!“.*

უარყოფითი იმიჯის კიდევ ერთ შემთხვევად შეიძლება დასახელდეს ბენგაზიში მომხდარი ტერაქტი, რომლის შედეგად საჯარო ჩვენების მიცემისას კონგრესის წინაშე ოპონენტებმა ჰილარი კლინტონის იმიჯი მეტად უარყოფითი მხრიდან წარმოაჩინეს. მათ გარკვევით თქვეს, რომ ჰილარიმ მთელი ამ „ტალახის“ საკუთარი თავიდან მოცილება სცადა. ის საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა ჯონ მაკკეინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ჰილარი ვალდებულია სიმართლე უთხრას ამერიკელ ხალხს, რომ ამერიკა ამ ტყუილებს არ იმსახურებს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ კადაფის გადაგდების შემდეგ შეერთებული შტატები ლიბიელ ხალხს გვერდით არ ამოსდგომია და არანაირი დახმარება მათთვის არ გაუწევია (112). სენატორი რენდ პოლი ქალბატონი კლინტონის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოკითხვის შემდეგ მოურიდებლად გადავიდა კრიტიკაზე, სადაც აღნიშნა: *„კარგია, რომ თქვენ გრძნობთ მომხდარზე პასუხისმგებლობას, რადგან თქვენ გარდა არც არავინ არ არის ამაზე პასუხისმგებელი* (112) *“.*

**შედარებითი იმიჯისათვის** საინტერესო იქნება ორი პრეზიდენტობის კანდიდატის, ჰილარი კლინტონისა და ბარაკ ობამას, იმიჯების შედარება.

<u>ბარაკ ობამა</u>

<u>შეგნებულობა:</u> ის არკვევს პრობლემებს, უსმენს ყველა მხარეს, ხოლო შემდეგ არჩევს ყველაზე მისაღებ გადაწყვეტილებას. მას შესწევს უნარი აარჩიოს კომპეტენტური გუნდი, ის ყოველთვის სწორ ადამიანებს არჩევს კონკრეტული საქმისათვის და არა აქვს მნიშვნელობა ეს ადამიანები ადრე სხვა პოლიტიკური ხედვის იყვნენ თუ არა. (მაგალითად: ჰილარი კლინტონი, ჯო ბაიდენი). ის ყოველთვის ცივი გონებით აზროვნებს და მუდამ სიმშვიდეს ინარჩუნებს. იმ დროსაც კი, როდესაც საქმე

რთულდება, ყოველთვის ცივი გონებით აზროვნებს. მან იცის, რომ ყველა ადამიანი განსხვავდება და ყველა უშვებს შეცდომებს. მას არასოდეს აშინებს არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება (ჯანდაცვის პროგრამა, ბინ ლადენი). ასევე ობამა ქარიზმატული და კომუნიკაციის უნარის მქონე პიროვნებაა: მას შეუძლია ადამიანებთან ურთიერთობა. ის ნებისმიერ ისტორიას ორატორული ნიჭით მოგიყვებათ. მას ყოველთვის ესმის ნიუანსის მნიშვნელობა და ყოველთვის სწორ მომენტში აკეთებს პაუზას. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ მას საჯარო პირებისათვის უჩვეულო თვისება ახასიათებს - პატიოსნება. ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მიცემული პირობა შეასრულოს (ერაყში ომის დამთავრება, ტერორისტებზე უფრო გაძლიერებული ომის წარმოება, გუანტანამუს ციხის გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხები).

რაც შეეხება ჰილარი კლინტონს, ის ძლიერი ქალბატონია, რომელიც მისდამი მიმართულ კრიტიკას სიმშვიდით ხვდება. ამის ნათელი მაგალითია ბენგაზიში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან მომხდარი ტერაქტი, რომელშიც ოთხი ამერიკელი დიპლომატი დაიღუპა, ხოლო პასუხისმგებლობა მთლიანად ჰილარი კლინტონზე გადავიდა, როგორც სახელმწიფო მდივანზე. ჰილარის დიდი სურვული აქვს გულწრფელად ემსახუროს თავის ქვეყანას. მისი ერთ-ერთ დადებითი თვისებაა შეგნებულობა. ასევე, ის ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი ადამიანის საუკეთესო მაგალითია. როგორც ბარაკ ობამას, ასევე ჰილარი კლინტონსაც ახასიათებთ ცივი გონებით მოქმედების უნარი (მონიკა ლევინსკის სკანდალი). ის არის საკმაოდ მიზანმიმართული ადამიანი, რომელმაც კარგად იცის რა უნდა ცხოვრებაში. ცდილობს გაუფრთხილდეს საკუთარ იმიჯს. ბარაკ ობამასგან განსხვავებით, ნაკლებსავარაუდოა გვერდით განსხვავებული პოლიტიკური ხედვის ადამიანი იყოლიოს. ჰილარი ძლიერი სულისკვეთებისა და ნებისყოფის ქალბატონია. ის საკუთარი წარმოსახვების სამყაროში ცხოვრობს, სადაც ადგილის პოვნა მისთვის ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს.

**პოზიციონერების** საუკეთესო მაგალითად ჰილარი კლინტონის ცხოვრებიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ, მისი ჩასვლა პეკინში ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე. მან უპირატესობა მიანიჭა იმ საკითხებს, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდათ ქალბატონებს. პოზიციონირება ყველაზე კარგად გამოიხატება ამა თუ იმ ლოზუნგში. ამ

შემთხვევაში ფრაზა, რომელიც შემდეგ ლოზუნგად იქცა, საკმაოდ საყურადღებო გახდა მთელი მსოფლიოსათვის. ჰილარიმ 1995 წლის 5 სექტემბერს წარმოთქვა: *„ადამიანის უფლებები ქალთა უფლებებია, ხოლო ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია, დაიმახსოვრეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ* (113) *“.* ამ სიტყვების გასაჟღერებლად ჩინეთი შემთხვევით არ იყო შერჩეული. ეს არის ქვეყანა, სადაც საკმაოდ ხშირად ირღვევა ქალთა უფლებები. ქალბატონი კლინტონი საკმაოდ გამბედავად წარსდგა ჩინელი ხალხის წინაშე, თავს უფლება მისცა მწვავედ გაეკრიტიკებინა ჩინელები და მათთვის თითიც კი დაექნია.

**მანიპულირების** მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2008 წლის საპრეზიდენტო კამპანიისას ჰილარი კლინტონის ერთ-ერთი გამოსვლა, სადაც ის ცდილობს ახსნას, თუ რატომ წამოაყენა თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში. თუ რამდენად ბევრის გაკეთება შეუძლია მას თავისი ქვეყნისათვის და არ უნდა, მისმა სამშობლომ უკუსვლა დაიწყოს. ამ დროს ჰილარი იწყებს ტირილს, ეს კადრი უჩვეულოა მისი პერსონისთვის. მას აქცენტი გადააქვს, შეიძლება ინტუიციურადაც, თავის ემოციებზე (114).

**ემოციონალიზაციის** მაგალითისათვის საუკეთესო შემთხვევაა ბენგაზის საკითხთან დაკავშირებული მოსმენები. ჰილარი ცრემლების გარეშე ვერ საუბრობს მომხდარ ტერაქტში დაღუპულ ამერიკელებზე. იმიჯის ერთ-ერთი განშტოება _ ემოციონალიზაცია, რომელსაც ჰილარი უიშვიათეს შემთხვევაში მიმართავს, აბსოლუტურად სწორად არის გამოყენებული მოცემულ შემთხვევაში, რადგან სრული სიზუსტით ხდება ინფორმაციის მიწოდება იმ იმედით, რომ ის ნაკლებად მკაცრ ფილტრს გაივლის. თუმცა ზედმეტია საუბარი, იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მდივანი არაგულწრფელია, ჩვენ უბრალოდ მოცემულ შემთხვევას იმიჯის ხელოვნების გამოყენების კუთხიდან განვიხილავთ (115).

რაც შეეხება იმიჯის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს - **მითოლოგიზაციას** ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მითი თავისთავად საინტერესო შემთხვევაა, რადგან არ ჰყავს ავტორი და ჰყავს მხოლოდ მსმენელი. მაგალითად, შექმნილია მითი იმის შესახებ, რომ ჰილარი კლინტონი დაუმარცხებელია. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რას

მოკიდებს ქალბატონი კლინტონი ხელს, ყველა შემთხვევაში გამარჯვებულია. ამის დასტურად მოვიყვანოთ სტენი ჰოიერის სიტყვები, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელი მერილენდის შტატში: *„არ მგონია საპრეზიდენტო არჩევნებში ვინმე წინ აღუდგეს ჰილარის, თუ მან წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა, მეტოქეებისაგან მინდორს გაათავისუფლებს* (116)*"*. ეს მითი ჰილარის გარშემო საკმაოდ დიდი ხნის წინ შეიქმნა და დღესაც მეტად აქტუალურია. ასევე, არ შეიძლება არ მოვიყვანოთ მაგალითად მითი იმის შესახებ, რომ ჰილარი კლინტონმა შექმნა ბილ კლინტონის პოლიტიკური კარიერა. შეერთებულ შტატებში არავის ეპარება ეჭვი, რომ ჰილარი კლინტონი მიზანმიმართული ქალბატონია და პირველ ლედობასთან ერთად „თანაპეზიდენტობასაც" ადვილად ითავსებდა. ჰილარის გარშემო უამრავია მითია, რომელიც დღესაც ქმნის პოლიტიკურ ამინდს. ასევე, მეტად პოპულარულია მითი იმის შესახებ, რომ ჰილარიმ იხსნა ბილი იმპიჩმენტისაგან. ყველა ამ მითს საბოლოოდ იმ ერთ მითამდე მივყავართ, რომ ჰილარი კლინტონი დაუმარცხებელია და ხშირ შემთხვევაში ეს მისი არაპროგნოზირებადი ბუნებითაა გამოწვეული.

**ფორმატის** შემთხვევაში საკმაოდ საინტერესოა გადაცემა 60 წუთის განხილვა, სადაც ჰილარი კლინტონის ყოფნა ბილ კლინტონის გვერდზე აბსოლუტურად გადამწყვეტი აღმოჩნდა გადაცემის წარმატებულად დასრულებისათვის. ჰილარი ფორმატის ის ნაწილი არმოჩნდა, რომელიც აუცილებელი იყო ბილ კლინტონისათვის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატისათვის, ხოლო ჰილარისათვის, როგორც მომავალი პირველი ლედისათვის. გადაცემა ეძღვნებოდა ბილ კლინტონისა და ჟურნალისტ ჯენიფერ ფლაუერის ურთიერთობებს, სადაც ჰილარის გვერდში დგომა გადაცემის მსვლელობისას შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მაყურებელზე ძალიან მძაფრად მოქმედებს სწორად შერჩეული ფორმატი. ასევე ჰილარი საკმაოდ წარმატებულად გამოიყურება ყველა იმ კადრში, სადაც ის ქალთა უფლებებზე საუბრობს, სადაც მისი თითოეული სიტყვა ტაშის გრიალით სრულდება. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ: 1995 წლის 5 სექტემბერი, გაეროს ქალთა კონფერენცია, 1996 წლის 25 აგვისტო, დემოკრატების ეროვნული კონვენტი, 2008 წლის 7 ივნისი, საპრეზიდენტო კამპანიისას წარმოთქმული სიტყვა, 2008 წლის 26 აგვისტო, დემოკრატების ეროვნული კონვენტი, 2009 წლის 9 ოქტომბერი, გაეროს სხდომა, 2009

წლის 22 აპრილი, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი, 2010 წლის 12 მარტი, გაეროს კონფერენცია (148). თითოეული ფორმატი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჰილარისათვის, რადგან თითოეული გამოსვლის შემდეგ შეიმჩნეოდა მისი რეიტინგის მკვეთრი აწევა. ასევე, საუკეთესო ფორმატში იყო ჰილარი წარმოჩენილი ბარაკ ობამასთან ერთად ტექსასის დებატებში, რომელიც მის ერთ-ერთ საუკეთესო გამოსვლად აღიარეს. ჰილარი ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს ობამას გვერდით და არც ერთი მოქმედებით არ დაუმჩნევია ნერვიულობა, რომელიც ასეთი შემთხვევებისათვის აბსოლუტურად დამახასიათებელია. ის საკმაოდ გულწრფელი ჩანს, კარგად აიყოლია აუდიტორია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე მისმა სიტყვებმა: *„მე ბევრი კრიზისი და სირთულე გადამიტანია ცხოვრებაში* (აქ ის ხაზს უსვამს, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანია და ერთ-ერთი მათგანია), *მაგრამ ის, რაც მე გადავიტანე, არაფერია იმასთან შედარებით, რაც რიგით ამერიკელებს გადააქვთ ყოველდღიურ ცხოვრებაში* (118)*“,* - ამით იგი მიანიშნებს, რომ თავისი საზრუნავი არაფრად მიაჩნია ხალხის რთულ ცხოვრებასთან შედარებით.

ასევე საუკეთესო ფორმატად შეიძლება ჩაითვალოს ჰილარის გამოსვლა, როდესაც ის ორი პრეზიდენტობის კანდიდატიდან ბარაკ ობამას გულშემატკივრობს. ფორმატი ისევ და ისევ მომგებიანია. საღამოს ხსნის მისი ქალიშვილი ჩელსი სიტყვებით: „ქალბატონებო და ბატონებო, ძალიან ამაყი ვარ დღეს წარმოგიდგინოთ ჩემი გმირი და ჩემი დედა - სენატორი ჰილარი როდემ კლინტონი“. ჩელსის გამოყვანა და მისი მიმართვა აუდიტორიისადმი ნამდვილად კარგად გათვლილი პიარ-კამპანიის ნაწილი იყო და აბსოლუტურად სწორი ფორმატი. ასევე, საკმაოდ საინტერესოდ ჩნდება ეკრანზე ბილ კლინტონის ცრემლიანი სახე, რომელიც სიამაყით უცქერს საკუთარ მეუღლეს. ამით იმიჯმეიკერთა გუნდი ხაზს უსვამს ოჯახის დიდ მხარდაჭერას ჰილარის კარიერული წინსვლისას.

ეს გამოსვლა შესაძლებლობას გვაძლევს განვიხილოთ იმიჯის კიდევ ერთი ასპექტი - **ვერბალიზაცია**. ვერბალიზაციას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ სპექტრში და ის ძალიან ფრთხილად უნდა განხორციელდეს. ზემოთხსენებულ გამოსვლაში მეტად საინტერესოა ჰილარის სიტყვები: *„No Way, No How, No McCain*

*(„არანაირი მაკ-კეინი და არც მკითხოთ, რატომ“)* (119)“. ის პირდაპირ აცხადებს იმას, რაც მისი პარტიისათვისაა პრიორიტეტული და ამავე დროს ეს სიტყვები თითქოს იმ დროისათვის პარტიის მთავარ სიმბოლოდ აქცია, რაც ზუსტად ერგება ვერბალიზაციის მოთხოვნებს. ერთგვარი ლოზუნგი, რომელმაც ააფორიაქა დამსწრე საზოგადოება ჰილარის სასარგებლოდ. ამ დროს ოპერატორს ობიექტივი მიმართული აქვს დარბაზში მჯდომი ბილ კლინტონისადმი, რომლის სახეზეც აშკარა გაკვირვება შეიმჩნევა. ამით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ლოზუნგი იყო ექსპრომტად მოფიქრებული და აშკარად გააოცა ოჯახის წევრებიც კი. ბილ კლინტონის სახის გამომეტყველება პირდაპირ მიუთითებდა, რომ ჰილარის ეს მასთან არ შეუთანხმებია, თუმცა შეუძლებელია ექსპრეზიდენტ მეუღლეს მსგავსი ხმამაღალი ლოზუნგები არ შეუთანხმო. ეს იყო ან საოცრად დიდი პროფესიონალიზმით დადგმული სცენარი ან ჰილარის, შეცდომის თავიდან აცილების თვალსაზრისით, არ განუხილავს გამოსვლის მთავარი ღერძი შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტთან და მის მეუღლესთან. ვერბალიზაციის მეორე წარმატებული შემთხვევა ფიქსირდება იგივე გამოსვლაში: *„მე ვარ ამაყი დედა, ამაყი დემოკრატი, ამაყი სენატორი ნიუიორკის შტატიდან, ამაყი ამერიკელი და ბარაკ ობამას ამაყი მხარდამჭერი* (120)“. ეს არის სწორედ ის შემთხვევა, როდესაც გამოყენებულია ვერბალიზაციის მთავარი კანონი - ისაუბრო ლამაზად და საუცხოოდ. ჰილარი გარკვევით ამბობს, რომ ის და ბარაკ ობამა ერთი გუნდია და მათ ერთი მიზანი აქვთ. ამ შემთხვევაში, ყურადღება მახვილდება ისევ და ისევ ქვეყნის და მოსახლეობის ბედზე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ვერბალიზაციის კანონისათვის. ჰილარი ამბობს: *„ ჩვენ ვართ ერთნი, ერთი მიზნის გარშემო* (120)“. სწორედ ესაა ეფექტურად შერჩეული ვერბალური ლოზუნგი. დიდი ვერბალური დატვირთვის მქონეა მისი შემდეგი სიტყვები: *„მე განათლება მივიღე, რათა დავხმარებოდი ბავშვებს, კამპანიას ვაწარმოებდი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებისათვის, ვეხმარებოდი მშობლებსა და ოჯახებს და ვიბრძოდი ქალთა უფლებებისათვის, როგორც სახლში, ასევე მთელ მსოფლიოში* (120)”. ამ სიტყვებით ჰილარი კლინტონი პირდაპირ ააშკარავებს ჩვენი დროის პრობლემებს, რაც ისევ და ისევ ვერბალიზაციის გვერდაუქცეველი კანონია.

**დეტალიზაცია** მეტად მნიშვნელოვან ატრიბუტთა სიაში შედის, რადგან ადამიანები ყველაზე უკეთ დეტალებს იმახსოვრებენ. ამის გათვალისწინებით, ჰილარი მეტად

საინტერესოდ ჩნდება პეკინის ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მოგრძო ქერა ლოკონებში და ვარდისფერ პიჯაკში. ის ამით თავის ქალურობას უსვამს ხაზს და მკაფიოდ უშვებს იმის სიგნალს, რომ ის ერთ-ერთი მათგანია. ის ისეთივე ქალია, როგორც ყველა დანარჩენი. თავისი სასიამოვნო ვარდისფერი პიჯაკით ის ხაზს უსვამს ქალურ სინაზეს და ხმამაღლა აცხადებს, რომ მათ წინაშე დგას ერთი ჩვეულებრივი ქალი, რომელიც უკან არ დაიხევს სხვა ქალების ცხოვრებისა და პირობების გასაუმჯობესებლად. მისი სიტყვები ამბობს, რომ ქალური სინაზე მისი ერთი მხარეა, ხოლო არაქალური სიძლიერე, რომლითაც ამ ქალებს დაიცავს - მეორე. სიგნალი საკმაოდ თვალშისაცემია და აბსოლუტურად სწორად აღქმადი. მისი ჩაცმულობა და მისი სიტყვები მკვეთრ კონტრასტში მოდის ერთიმეორესთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ მასში ორივე ერთად არის გაერთიანებული, სინაზეც და სიძლიერეც.

**ინფორმაციის აქცენტერების** კარგ მაგალითად გვევლინება 2009 წლის 15 ივლისის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის გამოსვლა. ქალბატონი კლინტონი მეტად კატეგორიული ტონით საუბრობს ირანის შესახებ. მისთვის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლისათვის აბსოლუტურად მიუღებელია ის, პოლიტიკა, რომელსაც ირანი ახორციელებს. ის მწვავედ რეაგირებს ირანის პოლიტიკაზე და მთელი ყურადღება ამ საკითხზე გადააქვს. იგი ამბობს: *„არც მე და არც პრეზიდენტს არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ირანთან მოლაპარაკებების დაწყება წარმატების გარანტი იქნება* (121) *“.* სწორედ აქ გამოყენებულია ინფორმაციის აქცენტირების უმთავრესი წესი - მოწინააღმდეგეთა შესახებ უარყოფითი ინფორმაციის შექმნა და გავრცელება. ის ამბობს: *„ჩვენ გვესმის, რომ ირანთან პოლიტიკური ურთიერთობების გაწყვეტა ვერც წარმატებამდე, ვერც ირანული ტერორის შემცირებამდე მიგვიყვანს და ვერც ირანის დამოკიდებულებას გამოასწორებს საკუთარი მოქალაქეების მიმართ* (121) *“.* ამ სიტყვებში მკვეთრად ჩნდება ის ურყოფითი აქცენტები, რასაც ჰილარი კლინტონი ირანის მიმართ იყენებს. მისი მიმიკები, სახის გამომეტყველება, დასმული მახვილები და წარმოთქმული სიტყვა აშკარა დამაჯერებლობით გამოირჩევა და საკმაოდ ლოგიკური შესატყვისობით. მწვავედ წარმოთქმული სიტყვა კარგად ესადაგება მის მიერ შერჩეულ ჟესტებსა და მოძრაობებს. ინფორმაციის აქცენტირება ხდება წესების სრული დაცვით და აქაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმიჯმეიკერთა ჯგუფს ურიგოდ არ უმუშავია. შემდეგ იგი

აგრძელებს მახვილების სრული სიზუსტით დასმას, სადაც ამბობს, რომ ამერიკა აძლევს ირანს საშუალებას გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი, თუმცა ირანზეა დამოკიდებული დათანხმდება ის, თუ იზოლაციას აირჩევს. ქალბატონი კლინტონი მკაფიოდ აცხადებს, რომ *„ირანს არა აქვს ატომური იარაღის წარმოების არავითარი უფლება და ჩვენ განსაზღვრული გვაქვს ამის თავიდან აცილება* (121)*". ირანს შეუძლია რეგიონში წამყვანი ადგილის დაჭერა, თუ კი ის შეწყვეტს სამხედრო ატომური იარაღის წარმოებასა და ტერორიზმის მხარდაჭერას. მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებებზე, არჩევანი ნათელია* (121)*."* ამ გამოსვლაში ინფორმაციის აქცენტირების მწვერვალი მიღწეულია მის სიტყვებში - *„მოქმედების დრო ახლა არის, ეს შესაძლებლობა მუდამ ხელმისაწვომად არ დარჩება, ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს* (121)*."*

**დისტანცირების** თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ჰილარის სიტყვები კადაფის სიკვდილის გამო ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბრისას. ის საკმაოდ უტაქტოდ იცინის და ამბობს: *„მივედით, ვნახეთ, მოკვდა* (122)*".* ამ ფრაზით ის ცდილობს შეგვიქმნას იულიუს კეისრის სიტყვების ასოციაცია - „მივედ, ვნახე, დავამარცხე". თუმცა ერთი და მეტად მნიშვნელოვანი განსხვავებით, ამ შემთხვევაში ჰილარი მთლიანად ითავისუფლებს თავს პასუხისმგებლობისაგან და მომხდარი ფაქტისგან საკუთარი პერსონის დისტანცირებას ახდენს. თუკი კეისრის ფრაზაში ნათლად ჩანს მთქმელის ფაქტთან კავშირი, ჰილარისთან პირიქითაა. მისი შეუფერებელი სიცილი თითქოს იმის დასტურია, რომ კადაფის სიკვდილი იმდენად უმნიშვნელოა მისთვის, რომ მას ვერც კი წარმოუდგენია, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერთან. ისევ და ისევ თვალსაჩინოა იმიჯის ერთ-ერთ საინტერესო და გარკვეულწილად აუცილებელი ატრიბუტი – დისტანცირება, რომელიც ზედმიწევნით არის გამოყენებული აღნიშნულ ინტერვიუში.

**ვიზუალიზაცია** ჰილარის ცხოვრების ყველა პერიოდს მოიცავს. ეს იმიჯის ის ნაწილია, რომელიც ყველაზე მეტად ხიბლავს საზოგადოებას და ამავდროულად კარგად დასამახსოვრებელია. ჰილარის ცხოვრებაში ვიზუალიზაციის ყველაზე ნათელი მაგალითია ბილ კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდი. პირველი, რაც ჰილარიმ მოიმოქმედა, ეს იყო საკუთარ იმიჯზე ზრუნვა. მან დიდი დრო დაუთმო

ვიზუალურ მხარეს. თმა შეიჭრა, თმის ფერი შეიცვალა, სათვალე ლინზებით ჩაანაცვლა. თავისუფალი ბლეიზერების ნაცვლად მოკლე, ტანზე მომდგარ პიჯაკებში გამოეწყო, ქვედაბოლო დაამოკლა, დაბალქუსლიან ფეხსაცმელს დაემშვიდობა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მან მეუღლესაც კი შეუცვალა ჩაცმის სტილი. ბილ კლინტონმა კლასიკური სპორტული ტანსაცმელი მოირგო. მოგვიანებით ჰილარი კლინტონმა გარეგნული იმიჯის სრულყოფილებისადმი ინტერესი დაკარგა, რაც სათანადოდაც შეფასდა.

საკმაოდ საინტერესოა **მეტაფორიზაცია**, რასაც ხშირად მიმართავენ პოლიტიკოსები. იგი კარგად მუშაობს და წარმატების მომტანიცაა. ჰილარი კლინტონის შემთხვევაშიც არ ვუჩივით ამ ატრიბუტის ნაკლებობას.

*„მე ვიქნები საუკეთესო ტრენერი, რაც კი შეიძლება ჰყავდეს ქვეყანას“,* _ თქვა ქალბატონმა კლინტონმა 2008 წლის აპრილში დემოკრატების სადილზე, პიცბურგში. *„ჩვენ უნდა დავიწყოთ კარგი მოთამაშეების ძიება“,* _ ხოლო შემდეგ თქვა: *„ჩვენ უნდა დავარღვიოთ თამაშის წესები, რათა თავდაცვაზე ვიფიქროთ* (123)*“.* ამგვარი გამონათქვამები კარგად ინახება საზოგადოების მეხსიერებაში და ასრულებს კიდეც თავის ფუნქციას.

მთელ ამ დიალოგში აშკარად ჩნდება საგარეო პოლიტიკის ნიუანსები, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ქალბატონი კლინტონი საუბრობს „თამაშის წესების“ დარღვევაზე, რათა განახორციელოს თავდაცვა.

ასევე, მეტაფორიზაციის კარგი მაგალითია „ბურთების სტადიონიდან მოსროლის“ მეტაფორა. ის ამბობს: *„ვაპირებთ მოვისროლოთ რამდენიმე ბურთი სტადიონიდან და ჩვენი ქვეყნის სტადიონიდანაც“,* _ მან ეს სიტყვები წარმოთქვა მაშინ, როდესაც 2008 წელს მოედანზე მოიქნია ბეთი (კრიკეტის, ბეისბოლის ჯოხი) (123).

**აღქმის მოდელირების დანერგვა** არის ასევე, იმიჯის მეტად საჭირო ასპექტი, რომელიც საშუალებას აძლევს, განსაკუთრებით, პოლიტიკოსს კარგად წარმოჩნდეს, საზოაგადოებას დეტალებში გააგებინოს თავისი მოღვაწეობის შედეგები. ეს არის ეფექტური ფორმა. დაუფარავად გააგებინო ყველას საკუთარი ღვაწლის შესახებ. ამ

შემთხვევაში შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ დემოკრატების ეროვნულ კონვენტზე ჰილარი კლინტონის პირველი ლედის ამპლუაში გამოსვლა, სადაც ის წარადგინა მერი ელიზაბეტ გორმა, რომელიც იყო ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ლედი (ვიცე-პრეზიდენტ ალ გორის მეუღლე). მერი გორი საუკეთესო სიტყვებით ამკობს ჰილარი კლინტონს სცენაზე გამოსვლამდე. მისი მონოლოგი სასიამოვნო და საინტერესო მოსასმენია. ის შეეხო ყველა იმ საქმიანობას, რასაც ჰილარი ეწეოდა. კერძოდ: *„პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ ქალი, რომელმაც თავი მიუძღვნა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ყველა ამერიკული ოჯახისათვის; ქალი, რომელსაც ეყო გამბედაობა გადაელახა სიძნელეები; ქალი, რომელიც დაჯილდოებულია დიდი ჭკუითა და გულისხმიერებით, ქალი, რომელსაც აქვს ძლიერი და ურყევი ხმა, ის ხმა, რომელიც შესაძლოა ყველას ჯერ არ უპოვია. ქალი, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს ღირსებისა და იუმორის გრძნობას, თუნდაც, როდესაც აწყდება წარმოუდგენელ არაადამიანობას. ეს არის ქალბატონი, რომელსაც მეამაყება ვუწოდო ძვირფასი მეგობარი; ქალი, რომელსაც მშობლები და ბავშვები საკუთარ ჩემპიონს უწოდებენ; ქალი, რომელსაც ამერიკა სიამაყით უწოდებს თავის პირველ ლედის* (124)*“*. მერი გორი იმდენად დამაჯერებლად წარმოთქვამდა თავის სიტყვას, რომ დარბაზმა მას საუბარი ტაშით გააწყვეტინა. ვიცე-პრეზიდენტის მეუღლემ, თქვა ის, რასაც ჰილარი საკუთარ თავზე ვერ იტყოდა. გორის მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა კარგად იყო დამუშავებული და გათვლილი საშუალო ამერიკელებზე და იმ ადამიანებზე, ვისაც დაცვა სჭირდება. გამოსვლაში ყურადღება გამახვილდა ქალებზე. თითოეულ ფრაზაში ის ხაზს უსვამდა, რომ ჰილარი, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა ამერიკელი ხალხისათვის, ღირსეული ქალბატონია.

შემდეგი იმიჯისათვის მნიშვნელოვან საფუძვლად გვევლინება ჰილარი კლიტონის **წარსული.** როდესაც ქალბატონი კლინტონის წარსულზე ვიწყებთ საუბარს პირველი, რასაც უნდა შევეხოთ, არის მისი პირველი საჯარო სიტყვა, რომელიც მან 1969 წელს მასაჩუსეტში, უელსლის კოლეჯის დამთავრების დღეს წარმოთქვა. მის ამ საჯარო სიტყვას წლების მერეც იხსენებენ, როგორც საუცხოო მაგალითს, თუ როგორი გამბედავი შეიძლება იყოს კურსდამთავრებული ახალგაზრდა გოგონა. ამ საჯარო სიტყვამ ჰილარი წარმოაჩინა არა იმდენად, პატივსაცემ პერსონად, რამდენადაც მეტად გულწრფელ ადამიანად. მას ეყო გამბედაობა და სითამამე გაეკრიტიკებინა მასაჩუსეტსის შტატის

ყოფილი სპიკერი, სენატორი ედვარდ ბრუკი და განეცხადებინა მისთვის, რომ ის ძალიან შორსაა იმ ყველაფრისგან, რისკენაც ჰილარის თაობა მიილტვის. ამ ტიპის სითამამე ბევრისათვის უცხოა, მაგრამ ჩვენ ჰილარი კლინტონზე ვსაუბრობთ, რომელმაც სწორედ ამ დღიდან დაიწყო საკუთარი პოლიტიკური კარიერის მშენებლობა. ეს მაგალითი მისი წარსულიდან მის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი იყო, რადგან ავტორიტეტის მოპოვება ადრეული ასაკიდანაა საჭირო. მეტად საგულისხმოა, რომ ქალბატონმა კლინტონმა თავის წიგნში _ „ცოცხალი ისტორია“ თავისი ცხოვრების ამ პერიოდს ერთი თავი დაუთმო სახელად _ „Class of ’69”.

რაც შეეხება **ოჯახს**, აქ ქალბატონი ჰილარი კლინტონი ნამდვილად დიდ როლს ასრულებდა. ის მეუღლის საპრეზიდენტო კამპანიაში მოიხსენებოდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. ბილ კლინტონის წარმატებული კარიერა ჰილარი კლინტონის დიდი დამსახურებაა. ნათელია, რომ ჰილარის ამ ოჯახში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა, ხოლო პირველი ლედობის პერიოდში, როგორც ამბობენ, ის იყო „თანაპრეზიდენტი“ მეუღლე. ზემოთხსენებულის დასტურად მოგვყავს ბილ და ჰილარი კლინტონების დიალოგი:

ჰილარი: - შენ ლამაზი ჭკვიანი და განათლებული ხარ, - ჰილარიმ ჩაახველა,- შესაბამისად, ბევრად მეტი გეკუთვნის, ვიდრე დღეს გაქვს.

ბილი: - რას გულისხმობ?

ჰილარი: შენ პოლიტიკური კარიერა უნდა გაიკეთო! ჯერ კონგრესმენი გახდები, შემდეგ - გუბერნატორი, შემდეგ კი - პრეზიდენტი.

ბილი: - მაშაყირებ?

ჰილარი: - შენ ეს შეგიძლია! - ჰილარიმ ქმარს ყელზე ხელი მოხვია, - გესმის? შეგიძლია! [გულახდილი საუბრები, 2012, გვ. 47]

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰილარი კლინტონს უპრეცენდენტოდ დიდი როლი ეჭირა ოჯახში, რომლის მართვის მექანიზმებიც ბილთან თანაბრად ჰქონდა გადანაწილებული.

რაც შეეხება **სპორტს,** ჰილარი კლინტონი ბავშვობაში იყო გატაცებული ცურვითა და ბეისბოლით. თავისი იმიჯის ამაღლებისათვის ის ნამდვილად არ გამოირჩეოდა სპორტული აქტივობით. ამის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალბატონი კლინტონის იმიჯმეიკერთა გუნდს არ გამოუყენებია სპორტი რეიტინგის აწევის მიზნით.

სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მოღვაწეობისას ჰილარი კლინტონი **ჯანმრთელობის** კარგი მდგომარეობით ნამდვილად არ გამოირჩევა. ქალბატონი კლინტონი უეცრად ჰოსპიტალიზირებულ იქნა და მას თავში ტვინთან ახლოს დაუდგინდა სისხლის შედედება, ხოლო 2013 წლის 7 იანვარს სახელმწიფო მდივანი თვენახევრიანი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა თავის უფლება-მოვალეობათა შესრულებას. ძალიან ბევრმა მისი ავადმყოფობა შერაცხა, როგორც ბენგაზიში დაღუპულ ამერიკელ დიპლომატთა სიკვდილზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა (125).

როგორც ყველა პოლიტიკოსისათვის **შინაური ცხოველები** ჰილარი კლინტონის ცხოვრებაშიც ფიგურირებს. ჰილარი ძირითადად კლასიკური ვარიანტით შემოიფაგლა - ძაღლები და კატები. იმიჯმეიკერებს არც ის გამოჰპარვიათ მხედველობიდან, რომ ჰილარი კლინტონის მსგავსი პერსონის რეიტინგს მეტად აწევდნენ შინაური ცხოველები. საზოგადოებას ძალიან სიამოვნებს მსგავსი კადრების ყურება ან მოსმენა. შინაური ცხოველების ყოლა კი ყოველთვის გათვლილია საზოგადოების სენტიმენტალურ წარმომადგენლებზე და მარტოხელა ადამიანებზე, რომლებიც ძირითადად შინაურ ცხოველებთან ერთად ცხოვრობენ. მათი რაოდენობა კი ამერიკაში მოსახლეობის 50 % აჭარბებს.

რაც უნდა გასაკვირად გვეჩვენოს, ჰილარი კლინტონისათვის ქალთა საკითხები შეგვიძლია გამოვყოთ, როგორც **ჰობი.** ჰილარის იმიჯი მეტად მომხივლელად გამოიყურება ამ კუთხიდანაც, რადგან მოგეხსენებათ მოსახლეობის რამდენ პროცენტს შეადგენენ ქალები. ქალთა საკითხებისადმი გაეროს ან სხვა ორგანიზაციის მიერ მოწყობილი კონფერენციები რომელშიც ჰილარი სიტყვით გამოვიდა მეტად წაადგა მის იმიჯს. ჰობიდ ქცეული პასუხისმგებლობა ისევ და ისევ მომნუსხველად გამოიყურება, რადგან ჩნდება იმის განცდა, რომ ის, რისი კეთებაც ადამიანს ნამდვილად უყვარს, -

კარგად გამოსდის, ხოლო საზოგადოებას სწორედ ამის დანახვა სჭირდება. საყვარელ საქმედ ქცეული ქალთა უფლებების დაცვა აბსოლუტური სიზუსტით ახდენს ზემოქმედებას ყველა იმ ადამიანზე, ვისაც მსგავსი პრობლემები აწუხებს. ჰილარი აკეთებს იმას, რაც უყვარს, ხოლო როდესაც აკეთებ იმას, რაც გიყვარს, აკეთებ დიდი ენთუზიაზმით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენთუაზიაზმი პოლიტიკოსებისათვის ნაკლებად დამახასიათებელია, ხოლო ამომრჩევლისათვის ხმის მიცემისას გადამწყვეტ როლს ასრულებს. ენთუზიაზმი ყველა გასაკეთებელი საქმის წინაპირობაა.

**სისუსტეები** - ჰილარის დიდ სისუსტეებად, როგორც ბევრი მიიჩნევს, შეიძლება ჩაითვალოს მისი ამპარტავნება და ტყუილები. როგორც ამერიკული პრესა ამბობს, ჰილარის შეუძლია ისეთი ტყუილების თქმა, რაც საკმაოდ აშკარაა. მაგალითისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ უაით უოთერის სკანდალი. პრესის თანახმად, ჰილარი არ აჩენდა რამდენიმე დოკუმენტს, რომელიც უცებ „შემთხვევით აღმოაჩინა“. ასევე, მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ პრესა ჰილარი კლინტონს თეთრი სახლის დაცლისას ბევრი ნივთის გატანაში სდებდა ბრალს, ხოლო ჰილარი აცხადებდა, რომ ეს ნივთები მათ საკუთრებაში იყო (129).

**ლიდერები და ცნობილი ადამიანები** - ჰილარი კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიაში ბევრი და საკმაოდ ცნობილი ადამიანი იყო ჩართული. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ: ევა ლონგორია, სტივენ სპილბერგი, ჯენეტ ჯექსონი, ბარბარა სტრეიზანდი და სხვ. ამ ადამიანთაგან თითოეულს ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს და საზოგადოების აღიარებაც არ აკლია. ჰილარი კლინტონის იმიჯისათვის მსგავსი სტატუსის ადამინებთან გამოჩენა ერთგვარი წარმატების გარანტიაა. საზოგადოებისათვის მისაღები ადამიანების მხარდაჭერა ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება სულაც არ მოსწონდეთ ჰილარი კლინტონი, მაგრამ თუ კი მოსწონთ ის მომღერალი, მსახიობი, თუ რეჟისორი, ვისაც ჰილარი მოსწონს, ეს, რიგ შემთხვევაში, აბსოლუტურად საკმარისი ხდება, რომ შეიცვალონ ჰილარიზე წარმოდგენა. იმიჯის ეს სახეობა გათვლილია ამა თუ იმ ცნობილი სახის თაყვანისმცემლებზე.

## §2.2 ჰილარი კლინტონის „ცოცხალი ისტორია“

ჰილარი კლინტონის მემუარის „ცოცხალი ისტორიის“ პირველივე გვერდი იწყება მისი წიგნის დახასიათებით სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის მიერ. მაგ. „ვაშინგტონ მანსლი“ წერს: *„სასიამოვნოდ იკითხება, კარგად დაწერილია და დეტალებით გაჯერებულია კლინტონის ისტორიული პერიოდის შესახებ, რომელიც მან თეთრ სახლში გაატარა და რომელსაც მან ამ წიგნში თავი სოლიდურად მოუყარა* [H. Clinton, 2003, 4] *“.* „კანზას სითი სთარი“: *„დაივიწყეთ რეკლამა და წაიკითხეთ ჰილარის წიგნი, რადგან ეს ამად ღირს.....* [H. Clinton, 2003, 4] *“.*

ჰილარი კლინტონის მემუარები საკმაოდ საინტერესო წიგნია. იგი საინტერესოა მრავალი კუთხიდან. ჩვენ უკვე გავეცანით ჰილარი კლინტონზე დაწერილ მონოგრაფიებს, ვიცით, თუ რას ფიქრობენ მასზე სხვები. ახლა კი დადგა დრო გავიგოთ რას ფიქრობს თავად ჰილარი კლინტონი საკუთარ თავზე ან რომელი კუთხიდან სურს, მკითხველისთვის თავის წარმოჩენა.

წიგნი 500 გვერდს აღემატება და 41 თავისაგან შედგება. ავტორი მემუარებს საყვარელ ადამიანებს უძღვნის: *„მშობლებს, ჩემს მეუღლეს, ჩემს ქალიშვილს, მსოფლიოში ყველა კარგ ადამიანს ვისმა შთაგონებამ, ლოცვამ, მხარდაჭერამ და სიყვარულმა ჯანმრთელობა მომიტანა და ძალა შემმატა ცოცხალი ისტორიის წლებში* [H. Clinton, 2003, 5] *“.*

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადამიანები მემუარების წერისას ცდილობენ იყვნენ გულწრფელნი, რათა მკითხველმა ირწმუნოს მათი. თუ გავითვალისწინებთ ფაქტს რა პერიოდშია დაწერილი აღნიშნული მემუარები, მაშინვე ვხვდებით, რომ შეუძლებელია ეს წიგნი ჰილარის გულზე ხელდადებით დაეწერა. წიგნი მოიცავს პერიოდს დაწყებული მისი ბავშვობიდან და დამთავრებული პირველი ლედობით. ეს ჰილარი კლინტონის კარიერის დასასრული არაა, პირიქით. წიგნი კარგად გათვლილი პიარნაბიჯია სამომავლოდ კარიერის ზენიტში ასასვლელად. ძირითადად, მემუარები კარიერის დასრულების შემდეგ იწერება, როდესაც აღარავის აშფოთებს საზოგადოების თუნდაც

მკაცრი მიდგომა, მაგრამ ჰილარი კლინტონთან საქმე სულ სხვანაირადაა. წიგნის წაკითხვისას გეუფლება შეგრძნება, რომ ეს პერიოდი ჰილარისათვის მხოლოდ ხანმოკლე პაუზაა. მან საკუთარი მემუარებით საზოგადოებას ჩააბარა ანგარიში, ოღონდ, ერთი განსხვავებით, ჩააბარა ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნია და შეფუთა ისე, როგორც მისთვის ყველაზე კომფორტული იქნებოდა. შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ მის ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა. ჰილარი ვერ დაუშვებდა დაუფიქრებელ შეცდომებს და ვერ შეუქმნიდა საფრთხეს საკუთარ იმიჯს, მით უმეტეს, რომ სერიოზული სამომავლო გეგმები ჰქონდა, რომლებმაც ჩვენ თვალწინ ჩაიარა კიდეც, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჰილარი კლინტონი მაინც არ ცხრება. დიდი ალბათობით ის შესაძლოა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტადაც კი მოგვევლინოს.

ავტორის შენიშვნაში, რომლითაც იწყება წიგნის ძირითადი ნაწილი, ჰილარი ამბობს: *„მე მაშინვე მივხვდი, რომ ვერ აღვწერდი ჩემს ცხოვრებას პირველი ლედობის პერიოდში, თუ არ დავბრუნდებოდი უკან წარსულში* [H. Clinton, 2003, 13,]". ქალბატონი კლინტონი ხაზგასმით გვაუწყებს, რომ ის საკუთარ წარსულს დიდი მოწიწებით ეპყრობა. რასაც მიაღწია, ეს მისი წარსულის დამსახურებაა.

საგულისხმოა თავად ფაქტი, როდესაც ჰილარი ამბობს: *„თითოეული თავისათვის გაცილებით ბევრ რამეზე მსურდა საუბარი, გაცილებით მეტი ადამიანი მინდოდა მომეცვა, გაცილებით მეტი სახელი მეხსენიებინა და გაცილებით მეტი ადგილი ამეღწერა, რომელიც მოვინახულე. მე, რომ ყველა ის ადამიანი მომეხსენიებინა, ვინც შთამაგონა, შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მასწავლა და დამეხმარა, მაშინ ამ წიგნის გამოსაცემად ტომეულები დამჭირდებოდა* [H. Clinton, 2003, 13]". ამ შემთხვევაში, ჰილარი კლინტონი ისევ და ისევ საკუთარ იმიჯზე ფიქრობს, რათა უმადური ადამიანის ამპლუაში არ გამოჩნდეს. იგი მის ცხოვრებაში მყოფ ყველა ადამიანს ემადლიერება და გარკვეული სიმპატიით იგონებს.

ასევე, ჰილარი ხშირად აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი სკოლა გაიარა, როგორც პირველმა ლედიმ. იგი ამბობს: *„პირველი ლედობის პერიოდში უკეთ გავიგე, თუ როგორ ემსახურება სახელმწიფო ადამიანებს; სინამდვილეში როგორ მუშაობს კონგრესი; როგორ აღიქვამენ ადამიანები პოლიტიკას და როგორ აღიქვამენ ისინი მედიის ფილტრში*

*გატარებულ პოლიტიკას. ამერიკული ღირებულებები შეიძლება ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესად იქცეს. მე გავაცნობიერე ამერიკის მსოფლიოში ჩართულობის მნიშვნელობა, უცხოელ ლიდერებთან დავამყარე ურთიერთობები, გავიზიარე უცხოური კულტურა, რომელიც დღეისათვის ძალიან გამოსადეგია. ასევე, ვისწავლე ვიცხოვრო კონცენტრირებულად შტორმის პირობებშიც* [H. Clinton, 2003, 14]*“.*

საკმაოდ საინტერესო მანერით აღწერს ჰილარი კლინტონი საკუთარ ბავშვობას. ყოველი შემხვედრი ადამიანი ახალგაზრდა ჰილარის ცხოვრების სკოლაში ახალი გაკვეთილი იყო. მის მემუარებში ყველა არაჩვეულებრივი ადამიანი საოცრად ჩვეულებრივი ხდება, ხოლო ყველა ჩვეულებრივი ადამიანი საოცრად არაჩვეულებრივი. სენატორი კლინტონის მიერ დაწერილი მემუარები გვახსენებს, რომ თანამედროვე ამერიკაში აუცილებელია დაგროვილი გამოცდილების მორალიზაცია. მემუარებში კლინტონი ძალიან ცოტა დროს უთმობს მეუღლის ადმინისტრაციის საქმიანობის განხილვას.

ასევე, ავტორის შენიშვნაში ჰილარი ძალიან მნიშვნელოვან ფრაზას ამბობს: *„მე ყოველთვის ვიცოდი, რა როლს ასრულებს ამერიკა დანარჩენი მსოფლიოსათვის; ჩემმა მოგზაურობამ კი მაჩვენა, რა როლს თამაშობს დანარჩენი მსოფლიო ამერიკისათვის* [H. Clinton, 2003, 14]*“.*

ჰილარი არც თავად ერიდება „ორი კლინტონის“ გამოთქმას, რომლითაც დაუფარავად ამბობს, რომ ისინი ერთად მართავდნენ ქვეყანას: *„ორი კლინტონის პერიოდი მოიცავს არა მხოლოდ ჩემი ცხოვრების გარდამავალ პერიოდს, არამედ ამერიკის ცხოვრებისაც* [H. Clinton, 2003, 15]*“.*

ავტორის შენიშვნა მთავრდება შემდეგი აბზაცით: *„თეთრ სახლში გატარებულმა 8 წელმა განამტკიცა ჩემი რწმენა, პოლიტიკური მრწამსი, ჩემი ქორწინება და ჩვენი ერის კონსტიტუცია.... ეს წიგნი ისტორიაა იმისა, როგორ გავატარე 8 წელი პირველი ლედისა და პრეზიდენტის მეუღლის ამპლუაში* [H. Clinton, 2003, 15]*“.*

საკმაოდ შთამბეჭდავია უკვე თავად წიგნის პირველი თავის „ამერიკული ამბავის“ დასაწყისი: *„მე არ დავბადებულვარ პირველ ლედიდ ან სენატორად. მე არ*

*დავბადებულვარ დემოკრატად. არ დავბადებულვარ ადვოკატად; ქალთა ან ადამიანის უფლებების დამცველად. მე არც მეუღლედ და არც დედად დავბადებულვარ. მე დავიბადე ამერიკელად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, იღბლიან დროს და ადგილას* [H. Clinton, 2003, 1]“. დასაწყისიდანვე ჰილარიმ მილიონობით ამერიკელის გული მოიგო. ეს აბზაცი მესიჯია, რითაც ის ამბობს, რომ ერთი ჩვეულებრივი ადამიანია და რომ არაფრით განირჩევა სხვებისაგან. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას დაბადებისას არავითარი პრივილეგია არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ დაიბადა ამერიკელად.

ასევე საკმოად საინტერესოა მის მიერ საკუთარი მშობლების აღწერა, რაც საკმაოდ პირადულია. დედამისი დოროთი ჰოუელ როდემი, რომელიც აღიზარდა საკმაოდ მკაცრი მშობლების ოჯახში, მუშაობდა ძიძად თოთხმეტი წლის ასაკში. მამამისი კი ხელმომჭირნე შუადასავლეთელი იყო, რომელთანაც მისი ურთიერთობა ყმაწვილქალობის პერიოდში გადაიზარდა სრულ სიჩუმესა და უთანხმოებაში. შემდეგ ის ხვდება ბილ კლინტონს, რომლის მომხიბვლელობამ, ენთუაზიაზმმა რაღაც ახალი შემატა ჰილარის ცხოვრებას. მშობლბზე საუბრისას ის ამბობს: *„ჩემი მშობლები იმ თაობას განეკუთვნებოდნენ, რომელსაც ამერიკის უსასრულო შესაძლებლობების სჯეროდა* [H. Clinton, 2003, 2]. “

„ცოცხალი ისტორია“ გვიქმნის პორტრეტს, რომელშიც სენატორი კლინტონი უკვე სენატორის პოზიციიდან დაბალანსებულად წარმოაჩენს იმიჯის პირად და პოლიტიკურ კომპონენტებს. ყველაფერი სრული სიზუსტით არის გათვლილი, რადგან მემუარების ზედმეტი პრივატიზაცია ავტორისათვის შეიძლებოდა მაკომპრომეტირებელი გამხდარიყო, ხოლო ზედმეტი პოლიტიზება წინასაარჩევნო პოსტერად ქცეულიყო. სენატორი კლინტონის მემუარების მთავარი „ნერვი“ პირადი და პოლიტიკური ცხოვრების ბალანსია და არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად მისი მოღალატე ქმრისა და მონიკა ლევინსკის ისტორიის მოგონებას.

„ცოცხალი ისტორია“ საკმაოდ ფრთხილად შედგენილი წიგნია. ნიშანდობლივია, რომ 570 გვერდიან წიგნში მონიკა ლევინსკისა და ბილ კლინტონის სასიყვარულო ისტორიას მხოლოდ 3 გვერდი ეთმობა. წიგნში დეტალების დამალვამ გამოიწვია ამერიკელი ჟურნალისტებისა და კრიტიკოსების სკეპტიციზმი. მედია და კრიტიკოსები

ჰილარის ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი საკუთარ ქორწინებას პოლიტიკურ ჭრილში განიხილავდა. მედიის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მათი ქორწინება მხოლოდ და მხოლოდ ცინიკური ფასადი იყო.

საკმაოდ საგულისხმოა ისიც, რომ სენატორი კლინტონის მემაუარები არ მოიცავს ჭორებს, ის არავის არაფერში სდებს ბრალს, არავისზე ამბობს აუგს და არავის უწოდებს მტერს. მემუარებში ჰილარისათვის ადამიანები სამ კატეგორიად იყოფა: მეგობრები, კარგი მეგობრები და სანდო ადამიანები.

სენატორი კლინტონის მემუარები დღემდე იწვევს დაუკმაყოფილებლობის განცდას, რომ ჰილარიმ ბევრი რამ დამალა. მაგრამ ჩნდება კითხვა: რატომ უნდა ყოფილიყო ქალბატონი ჰილარი კლინტონი ვალდებული ყველასათვის ყველაფერი მოეყოლა? ძლიერი სქესის წარმომადგენლები მასზე უფრო გულწრფელნი არიან? საუბრობენ კი ისინი საკუთარ გულისტკივილზე, იმედგაცრუებებზე, მაშასადამე, მან რატომ უნდა ისაუბროს?

საკმაოდ საინტერესოა თავად წიგნის სახელწოდება - „Living History", რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ცოცხალი ისტორია", მიუთითებს იმაზე, რომ ჰილარი იყო საჯარო პირი, რომელმაც გაიარა ეს გზა.

„ნიუ-იორკ თაიმსის" საკმაოდ ცნობილ კრიტიკოს მიჩიკო კაკუტანის აზრით, ჰილარი საკუთარ როლს გადაჭარბებულად აფასებს და გრანდიოზულ ეგოიზმსაც ავლენს. სხვათა აზრით, ჰილარი კლინტონი საკუთარ მემუარებშიც კი გაურბის გარკვეულ პასუხისმგებლობას და ცალკეულ შემთხვევაში შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით.

ჰილარი აღიზარდა მკაცრი პოლიტიკური ხედვებით, რათა სამყარო საცხოვრებლად უკეთეს ადგილად ექცია. ამგვარი ხედვა და იდეალები იშვიათად შველის თანამედროვე პოლიტიკური პარტიების მწვავე კონფლიქტებს და პრაგმატულ რეალობას. მან აღმოაჩინა, რომ იყო ვიღაცის შემცვლელად სრულ განაკვეთზე, იცხოვრო ვალდებულებებით და გამუდმებით იხადო ხარკი სხვისი შეცდომების გამო, იმაზე გაცილებით რთულია, ვიდრე პასუხი აგო საკუთარი შეცდომებისთვის და აღიარო

საკუთარი წარუმატებლობა. ეს გახლავთ ჰილარი როდემ კლინტონის „ცოცხალი ისტორიის“ რეალური მესიჯი.

## §2.3 ჰილარი კლინტონი ორი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის ფონზე (შედარებითი ანალიზი)

ჰილარი კლინტონმა სახელმწიფო მდივნის პოსტი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული იმიჯის მქონე პოლიტიკოსი ქალბატონისაგან მიიღო. ამ სამი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის იმიჯის განსახილველად და შესადარებლად, პოლიტიკოსის იმიჯისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშნების გამოყენებით, შევადგინეთ ვრცელი სქემა, რომელიც, ვფიქრობთ, მათი იმიჯის მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენას გაგვიადვილებს.

### წარსული

**მედელინ ოლბრაიტი** (1997- 2001, ამერიკის შეერთებული შტატების 64-ე სახელმწიფო მდივანი). ბებია და ბაბუა, მისი ახლო მრავალრიცხოვანი ნათესავები, ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში - ოსვენციმი დაიღუპნენ. იგი წარმოშობით ჩეხი-ებრაელია, გვარად კორბელი მეორე თაობის ემიგრანტი. 1948 წელს მამამისი, ჯოზეფ კორბელი დაინიშნა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლად გაეროს კომისიაში, მან მოითხოვა აშშ-სგან პოლიტიკური თავშესაფარი, რომელიც ოჯახთან ერთად მიიღო. ამ გარემოებებს ოლბრაიტი შეგნებულად „ივიწყებდა“, რადანაც კარგად იცოდა, რომ ეს მისი, როგორც სახელმწიფო მდივნის, იმიჯისათვის, არც თუ პოზიტიური ასპექტი იყო [ტ. დენისოვა, 2003; 235-236]. ოლბრაიტი ამერიკის მოქალაქე 1957 წელს გახდა.

**კონდოლიზა რაისი** (2005-2009წწ) ამერიკის შეერთებული შტატების 66-ე სახელმწიფო მდივანი). ალაბამას შტატის ქ. ბირმინჰემის მკვიდრი, რასისტული დისკრიმინაციის

მომსწრე. მამამისს, როგორც შავკანიანს, დემოკრატებმა არ მისცეს ხმის უფლება. საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით გახდა რესპუბლიკელი.

**ჰილარი კლინტონი** (2009-2013წწ) ამერიკის შეერთებული შტატების 67-ე სახელმწიფო მდივანი). 1947 წელს დაიბადა ჩიკაგოში, საშუალო კლასის ოჯახში. მამას - ჰიუ როდემს უელსელი და ინგლისელი წინაპრები ჰყავდა. იგი დაკავებული იყო მცირე ტექსტილის ინდუსტრიით, დედას - დოროტი ჰოუელს კი ინგლისელი, ფრანგი, კანადელი და შოტლანდიელი წინაპრები ჰყავდა. დედა იყო დიასახლისი. ჰილარი სკოლის წლებიდანვე საკმაოდ აქტიური გოგონა იყო და ის მასწავლებლების დიდ სიმპატიას იმსახურებდა. განსაკუთრებით უყვარდა სპორტი: ბეისბოლი, ცურვა და სხვ.

## ოჯახი

**მედელინ ოლბრაიტი** - მეუღლეს, ჯოზეფ მედილ პატერსონ ოლბრაიტს, გამომცემელთა გვლენიანი ოჯახის მემკვიდრეს, გაეყარა 1983 წელს. მას ჰყავს სამი ქალიშვილი. ოჯახი ნაკლებად განიხილებოდა, როგორც იმიჯის შემადგენელი ელემენტი [ტ. დენისოვა, 2003; 237].

**კონდოლიზა რაისი** - არ არის გთხოვილი; არ ჰყავს შვილები;

**ჰილარი კლინტონი** - ჰყავს მეუღლე - აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბ. კლინტონი და ერთი ქალიშვილი - ჩელსი. ის მეუღლეს საპრეზიდენტო კამპანიაში მოიხსენებოდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. ბილი ყოველთვის უსვამდა ხაზს ჰილარის უნარს და იმ ფაქტსაც, რომ ამ ქალბატონს ჭკუა ნამდვილად მოეკითხება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ბილ კლინტონის პოლიტიკური კარიერა ჰილარი კლინტონის დიდი მონდომებისა და მოთმინების ხარჯზეა შექმნილი, მაშინ ნათელი ხდება, რომ ჰილარი ამ ოჯახის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, ხოლო პირველი ლედობის პერიოდში, როგორც ამბობენ, ის თანაპრეზიდენტი მეუღლე იყო.

## განათლება და პროფესიული გამოცდილება

### მედელინ ოლბრაიტი

- ჟურნალისტი, გაზეთი *Denver Post*-ი;
- სადოქტორო დისერტაცია - „პრესის როლი 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის მოვლენებში“;
- სენატორ ედმუნდ მასკის (მენის შტატი) მრჩეველი იურიდიულ საკითხებში (1976);
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი (1978 -1981);
- სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრში საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკის მკვლევარი (1978 -1981);
- უნივერსიტეტის პროგრამის „ქალები დიპლომატიურ სამსახურში“, დირექტორი, ეროვნული პოლიტიკის ცენტრის პრეზიდენტი;
- ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის ჯერალდინ ფერაროს მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში (1984წ);
- პრეზიდენტობის კანდიდატის მაიკლ დუკაკისის მთავარი მრჩეველი (1988წ);
- ბ. კლინტონის მრჩეველი (1992წ);
- გაეროში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენელი (1993წ);
- აშშ-ს რიგით 64-ე სახელმწიფო მდივანი (1997- 2001წწ) [ტ. დენისოვა 2003]

### კონდოლიზა რაისი

პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრი; ნოტრდამის უნივერსიტეტის მაგისტრი (1975წ);

- დოქტორის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (დენვერის უნივერსიტეტი, 1981წ)
- ეროვნული უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (1989წ);
- საბჭოთა რეჟიმის ექსპერტი, რაც დასტურდება მისი ნაშრომებით: „საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკიის არმია“ „გორბაჩოვის ერა“, „გერმანიის გაერთიანება და ევროკავშირის გარდაქმნა“ და სხვ.;

- რამდენიმე საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელი: ტრანსამერიკული კორპორაციის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, ნოტრდამის უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს წევრი;
- ამერიკის უშიშროების მე-20 მრჩეველი, პირველი ქალი;
- **თანამშრომლობა:** კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ცენტრი, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ეროპის ქვეყნების შემსწავლელი ეროვნული საბჭო. [თ. მაისაშვილი, 2003]

**ჰილარი კლინტონი**

- 1969 წელს დაამთავრა უელსლის უნივერსიტეტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საუკეთესო აკადემიური მოსწრებით;
- 1969 წელს კრიტიკული გამოსვლით მიიპყრო ყურადღება უელსლის კოლეჯში წლის დასაწყისის მიმართვისას;
- კარიერა დაიწყო, როგორც ადვოკატმა 1973 წელს იელის იურიდიული სკოლის დასრულების შემდეგ;
- 1975 წელს არკანზასში გადავიდა, სადაც ბილ კლინტონს გაჰყვა ცოლად და კარიერა კონგრესის იურიდიულ კონსულტანტად გააგრძელა;
- 1979 წელს ის პირველი ქალი პარტნიორი გახდა როუზის ადვოკატთა ფირმაში, ხოლო 1988-1991 წლებში ქვეყნის ას ყველაზე გავლენიან იურისტთა სიაში მოხვდა. 1979-81 და 1983-92 წლებში არკანზასის პირველი ლედი იყო, აქტიურობდა რამდენიმე ორგანიზაციაში, რომელთა მიზანი ბავშვების კეთილდღეობის ამაღლება იყო, ასევე უოლ-მარტისა და სხვა კორპორაციული საბჭოების წევრი იყო;
- აშშ-ის პირველი ლედობის პერიოდში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკის საკითხებში. მისი მთავარი ინიციატივა, კლინტონის ჯანდაცვის გეგმა, 1994 წელს კონგრესის მიერ არ დამტკიცდა, თუმცა 1997 წელს მისი დახმარებით დაფუძნდა სახელმწიფო ბავშვთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა და შვილად აყვანისა და უსაფრთხო ოჯახის აქტი. მისი ქორწინება ბილ კლინტონთან საზოგადოების განხილვის საგანი გახდა 1998 წელს, ლევინსკის სკანდალის შემდეგ;
- ნიუ-იორკში გადასვლის შემდეგ კლინტონი აირჩიეს აშშ-ის სენატში 2000 წელს - ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ამერიკელი პირველი ლედი საზოგადოებრივ სამსახურში

ჩადგა და პირველი სენატორი ქალი გახდა ამ შტატიდან. აქ ის თავდაპირველად მხარს უჭერდა ჯორჯ ბუშის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ასევე მოიცავდა ერაყის ომის რეზოლუციაზე თანხმობას. შემდგომში ის განუდგა ბუშის ადმინისტრაციას ერაყის ომისა და საშინაო საკითხებში განსხვავებული პოზიციების გამო. 2006 წელს ხელახლა აირჩიეს სენატში;

- ჰილარი კლინტონი პირველი ქალია აშშ-ის ისტორიაში, რომელსაც პრეზიდენტად არჩევის დიდი შანსი ჰქონდა. 2007 წლის განმავლობაში სამოქალაქო გამოკითხვებში ის მუდამ წინ იყო დემოკრატთა ნომინანტთა შორის. მაგრამ 2008 წლის პრაიმერებში დაამარცხა ბარაკ ობამამ. 2009-2013 წლებში იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში, აშშ-ის სენატორი ნიუ-იორკიდან 2001-09 წლებში, პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან - 2008 წლის არჩევნებში, აშშ-ის პირველი ლედი 1993-2001 წლებში ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს. [თ. მაისაშვილი, 2003].

## პოლიტიკური კარიერის შექმნის სტრატეგია

### მედელინ ოლბრაიტი

- მშობლებისა და საკუთარი სიყვარულის გამო დემოკრატიისადმი ჩამოვიდა ამერიკაში;
- „ამერიკული სუპერპატრიოტიზმი“ (მიმზიდველი პოზიციაა რიგითი ამერიკელისათვის).
- ხელმძღვანელისადმი ლოიალურობა, რის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მისი პასუხი ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე აშშ-ს პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთ ტიმორში კონფლიქტის განსამუხტად. მ. ოლბრაიტის პასუხი: „პრეზიდენტი კლინტონი გრძნობდა, რომ ის, რაც აღმოსავლეთ ტიმორში ხდებოდა, დანაშაული იყო. ის ამის შესახებ რეგიონში ჩასვლამდე საუბრობდა. მან ეს ახალ ზელანდიაშიც განაცხადა, სადაც აღნიშნა, რომ ამერიკამ მათ დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ სფეროებში, რომლებშიც ყველაზე ძლიერია - ტექნიკური და სამხედრო სტრატეგიული მხარდაჭერა, კომუნიკაცები, აი, რაში მდგომარეობს ჩვენი როლი“ [ტ. დენისოვა, 2003, 238].

კონდოლიზა რაისი

შავკანიანთა უკეთესი ცხოვრებისა და მომავლისათვის, საკუთარი თავის დასამკვიდრებლად განსაზღვრა სტრატეგია: ცოდნა, თავდაჯერებულობა და ღვთისადმი უდიდესი რწმენა, რაც მისი იმიჯისათვის საუკეთესო ასპექტი აღმოჩნდა [თ. მაისაშვილი, 2003, 259].

ჰილარი კლინტონი

- ჰილარი კლინტონის სტრატეგია მდგომარეობს მოთმინების უნარში, რომელიც მას საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული [127].
- ასევე, დემოკრატი სტრატეგის პიტერ ფენის აზრით, ჰილარი 6 თვით იმიტომ, განეშორა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ ძალა მოიკრიბოს და ახალი ძალებით ჩაებას 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს თამაშამდელ სტრატეგიად მიიჩნევა [128].
- ზევრის აზრით, იმისათვის, რომ ხელახლა მოვიდეს, ჰილარი ხანდახან წასვლის სტრატეგიას ირჩევს;
- *„თუ კი ქალბატონებს და ქალიშვილებს, როგორც მამაკაცებს ისე მოვეპყრობით, უფლებებში, ღირსების საკითხსა და შესაძლებლობებში, მაშინ ყველგან დავანიხავთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრესს. ასე რომ, ეს არ გახლავთ, მხოლოდ მორალური საკითხი, თუმცა უდავოდ მორალურია. ეს არის ეკონომიკური საკითხი და უსაფრთხოების საკითხი და ეს გახლავთ 21-ე საუკუნის დაუმთავრებელი საქმე* [129]“.
- „მოეკიდე კრიტიკას სერიოზულად, მაგრამ არ აღიქვა ის პირადად შენკენ მომართულად. თუ კი ეს კრიტიკა სიმართლეს შეიცავს, გაიზიარე ის, ხოლო თუ კი არა - მაშინ მოიშორე [130]“.

## გარეგნული მხარე

### მედელინ ოლბრაიტი

ჩაცმის სტილი მკაცრად  განსაზღვრული: გრძელი მკვეთრი ფერის პიჯაკები. მოკლე ქვედაბოლო (კაბა), კლასიკური სტილის ფეხსაცმელი. აქსესუარებიდან ფუნქციურად სამკაულები, სამშვენისები (ე.წ ბროში), რომლებიც ოქროსა და ძვირფასი ქვებით არის დამზადებული.

### კონდოლიზა რაისი

ძირითადად შემოიფარგლება კლასიკური პიჯაკებით. ატარებს გრძელმკლავიან სხვადასხვა ფერის პიჯაკებს, მათ შორის, მწვანეს, წითელს, ყვითელს და სხვ. სამკაულების ტარების თვალსაზრისით გახლავთ მეტად მოკრძალებული. ძირითადად უყვარს ყელსაბამისა და საყურეების ტარება. რაც შეეხება მაკიაჟს, ხშირ შემთხვევაში, ატარებს წითელ ტუჩსაცხს. ახალგაზრდობიდან დღემდე ატარებს ერთსა და იმავე ვარცხნილობას (მოგრძო კარე).

### ჰილარი კლინტონი

სამოსის შერჩევისას ჰილარი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს კლასიკას. ყველაზე ხშირად ჩვენ მას ვხედავთ საჯარო გამოსვლებსა და ოფიციალურ შეხვედრებზე, ამიტომაც ჰილარის ჩვეულებრივი „უნიფორმა“ არის - კლასიკური პიჯაკი. პრიალა ქსოვილი, კონსერვატორული ფერი ზედმეტი სიბრჭყვიალის გარეშე,  კრემისფერი ან ნაცრისფერი, ტანზე მოყვანილი, სწორი თარგი.  მასზე საკმაოდ ხშირად ვხედავთ ნაცრისფერი ფერის ფერთა გამას (ყველაზე ღია  მარგალიტისფერიდან დაწყებული გრაფიტისფერით დამთავრებული).  მეორე ფერთა გამა, რომელიც აშკარად, ასევე, პრიორიტეტულია - ღია კრემისფერია. ამ შემთხვევაში ჰილარი არ ირჩევს ყავისფერი, ქვიშისფერი და  რძისფერი შოკოლადის თბილ ფერთა გამას, პირიქით ის ირჩევს ისეთ ცივ ფერებს, როგორიცა: კაკაოსფერი და მწარე შოკოლადისფერი. უყვარს სამშვენისები და საყურეები.

## ხასიათის თვისებები

### მედელინ ოლბრაიტი

- მიზანმიმართული - ამერიკაში ჩავიდა 11 წლის ასაკში და ბევრი იშრომა, რომ ბრიტანული გამოთქმა ამერიკულით ჩაენაცვლებინა;
- კომუნიკაციის უნარი - უპირატესობას ანიჭებს არაფორმალურ შეხვედრებს და კულუარულ საუბრებს კოლეგებთან (ტ. დენისოვა, 2003წ).
- სახელი გაითქვა, როგორც ენამწარე დიპლომატმა; გამოსვლებში უხეშად ხუმრობდა, იყენებდა არადიპლომატიურ გამოთქმებს, რითაც გარკვეულწილად არღვევდა მკაცრ ეტიკეტს;
- საკუთარი თავის პოპულარიზაციისა და დემოკრატიულობის საპირისპირო ქმედებები, რაც პრესის მიმართ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. პრესასთან კონტაქტები მკვეთრად შეზღუდა, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში ჟურნალისტობდა და საერთაშორისო ჟურნალისტის მეუღლე იყო. ოლბრაიტმა თავის გუნდის წევრებს პრესასთან ურთიერთობის გაწყვეტა მოსთხოვა. მუდმივად იკვლევდა და იძიებდა საიდან გაჟონა ინფორმაციამ. მისი წინამორბედი კორექტული უორენ კრისტოფერისაგან განსხვავებით, სხვა იმიჯი აირჩია - საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პოპულარიზაცია, პროფესიული ტერმინოლოგიის ნაცვლად უბრალო, საყოველთაო, ხალხისათვის გასაგები ენით საუბარი [ტ. დენისოვა, 2003, 240-241].

### კონდოლიზა რაისი

მიზანმიმართული, კარიერისტი ქალბატონი, რომელმაც ჯერ კიდევ ბავშვობიდან დაისახა მიზნად თეთრ სახლში შესვლა. ამერიკელები ხშირად ამბობენ, რომ ის გაცილებით უფრო „მამაკაცურია“, ვიდრე მის გარშემო მყოფი მამაკაცები.

### ჰილარი კლინტონი

- არაპროგნოზირებადი, საოცრად მშვიდი ქალბატონი, რომელსაც ცხოვრების რთულ სიტუაციებშიც კი შეუძლია თავის ხელში აყვანა და სიმშვიდის ბოლომდე შენარჩუნება.

- ჰილარი არის საოცრად გაწონასწორებული, მიზანმიმართული ადამიანი. მემუარებში დაუფარავად წერს, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში მშობლებს განუცხადა, რომ უნდა გამხდარიყო შეერთებული შტატების პრეზიდენტი. აგრეთვე, იგი ძალიან შრომისმოყვარეა, ამას მისი მტრებიც კი აღიარებენ (მაგ., ბ. ბიუქენენი: „ჰილარი როდემ კლინტონის მკვეთრად შეცვლილი იმიჯი“).

## პრიორიტეტები

### მედელინ ოლბრაიტი

საიმიჯო სლოგანი: „ყველაფერი ამერიკისა და ამერიკელი ხალხის ინტერესებში“. *„ამერიკა დაინტერესებულია, რომ მსოფლიოში, რაც შეიძლება მეტი დემოკრატიული ქვეყანა იყოს, რადგანაც „დემოკრატები ერთმანეთს თავს არ ესხმიან* [ტ. დენისოვა, 2003, 241] *“.*

### კონდოლიზა რაისი

- კონდოლიზა რაისის ცხოვრებაში განათლებას ძალიან დიდი ადგილი უჭირავს: *„განათლება თილისმის მსგავსია; ის ყველაფერი ცუდის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენება. შეიძლება ადამიანებს არ უყვარდეთ, მაგრამ ისინი აუცილებლად გცემენ პატივს* (131) *“.*
- ასევე, მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია ანტიტერორისტული კამპანია, რომელსაც ის აქტიურად ეწეოდა. იგი აბობდა: *„ჩვენ ვიმყოფებით ახალ სამყაროში, ჩვენ ვიმყოფებით სამყაროში, რომელშიც ტერორიზმის შესაძლებლობები გადაიხლართა ტექნიკის ახალ შესაძლებლობებთან და რომელიც გვანანებს, რომ არაფერი მოვიმოქმედეთ* (132)*.“*

### ჰილარი კლინტონი

- ეკონომიკის მნიშვნელობა;
- ამერიკის კრედიტუნარიანობის აღდგენა;

- დიპლმატია ეროვნული უსაფრთხოებაა;
- ადამიანებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- მისი პრიორიტეტები - ჯანდაცვის პროგრამა, ქალთა, ბავშვთა და გეების უფლებების დაცვაა;
- *„რეალური სტაბილურობა მოდის დემოკრატიული ჩარევის შედეგად, რაც დაანახებს ხალხს, რომ მათი ესმით“,* - განუცხადა კლინტონმა ABC-ს ჟურნალისტს ეგვიპტელი ხალხის მხარდაჭერის თვალსაზრისით (133);
- *„ყველა ამერიკელს სჭირდება ჩემპიონი და მე მინდა, ეგ ჩემპიონი ვიყო“* (139);

**ჰობი**

**მედელინ ოლბრაიტი**

საკმაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მედელინ ოლბრაიტი სამშვენისების (ე.წ ბროშების) კოლექციონერი იყო.

**კონდოლიზა რაისი**

კითხვაზე, რა თანამდებობას დაიკავებდა მომავალში, იგი პასუხობდა, რომ მისი ოცნება იყო ეროვნული ფეხბურთის ლიგის წევრობა.

**ჰილარი კლინტონი**

ქალთა საკითხები და ჯანდაცვის პროგრამა, რომელსაც ჰილარი კლინტონი პირველი ლედობიდან მოყოლებული ძალიან ბევრ დროს უთმობდა.

გასათვალისწინებელია, რომ მედელინ ოლბრაიტის სახელმწიფო მდივნობის დროს, ჰილარი კლინტონი პირველი ლედი იყო. მას შეეძლო მუდმივად ედევნებინა თვალყური მისი საქმიანობისათვის, გაეანალიზებინა აშშ-ს პირველი ქალი სახელმწიფო მდივნის მოღვაწეობის შინაარსი და სტილი. ცხადია, იგი გონიერი მოსწავლე აღმოჩნდა, რის გამოც ბევრი პარალელი შეიძლება მოვძებნოთ ჰილარი კლინტონის, სახელმწიფო მდივნის რანგში მყოფი ქალბატონის, იმიჯში მედელინ ოლბრაიტის იმიჯიდან.

მედელინ ოლბრაიტთან ჰილარი კლინტონს საერთო აქვს წარმატებული კარიერის გაკეთების წყურვილი. ორივე ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა საკუთარი ოცნებებისაკენ და დიდი სიმშვიდითა და მოთმინებით გადიოდა ცხოვრების არც თუ ისე მარტივ გზას. (ჰილარი: პრეზიდენტობაზე, ხომ მე ვოცნებობდი, ბავშვობიდან ვოცნებობდი! პრეზიდენტი კი ჩემი მეუღლე გახდა. მეც ბედნიერი ვარ) [გულახდილი საუბრები; 2012, 48]. ორივე საკმაოდ განათლებული ქალბატონია და ორივეს მდიდარი პროფესიული გამოცდილება აქვს. კლინტონსა და ოლბრაიტს ჩაცმის მოზომილი სტილიც საერთო აქვს. არც ერთს არ უყვარს ბევრი აქსესუარის ტარება და ორივე ჩაცმის კლასიკური სტილით გამოირჩევა. თუმცა, ჰილარისაგან განსხვავებით, მედელინ ოლბრაიტის ვარცხნილობა ან ჭარბი წონა არასოდეს დამდგარა დღის წესრიგში, რადგან მედელინს მსგავსი შეცდომები არასოდეს დაუშვია (134).

პირველი განსხვავება ისაა, რომ მედელინი მკვიდრი ამერიკელი არ არის, ჰილარისგან განსხვავებით, რომელსაც ეს ბუნებრივად ერგო. მათ რადიკალურად განსხვავებული წარსული აქვთ. ორივესათვის, ჰილარისათვისაც და მედელინისათვისაც ოჯახი ერთსა და იმავე ღირებულებას არ წარმოადგენდა. ოჯახის ფენომენი აბსოლუტურად სხვადასხვაგვარდ გამოიყურება ამ ორი ადამიანის შემთხვევაში. მედელინი დაშორდა მეუღლეს, როდესაც ჰილარისათვის ეგ წარმოუდგენელი ამბავი იყო. ჰილარის ბევრი რამის მოთმენა მოუწია, იმისათვის, რომ არ გაჰყროდა ბილ კლინტონს. მას მკაფიოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ის ამას არასოდეს გააკეთებდა. ჰილარის და ბილის დიალოგიდან:

- ადრე გაყრაზე სერიოზულად ვფიქრობდი, ახლა ეს გამორიცხულია.
- რატომ?
- იმიტომ, რომ აქამდე ამერიკის არც ერთი პრეზიდენტი ცოლს არ გაშორებია! ეს სკანდალია, გაუგონარი სკანდალი, მე კი არ მინდა ისტორიაში ასე შეხვიდე.
- გმადლობთ, - ჩაიჩურჩულა კლინტონმა [გულახდილი საუბრები; 2012, 48].

ჰილარი კლინტონი აგრეთვე, არც ხისტი გამონათქვამებით გამოირჩევა, თუმცა, ოლბრაიტის მსგავსად, უყვარს ყველასათვის გასაგებ ენაზე საუბარი. მისი თითოეული საჯარო გამოსვლა საკმაოდ საინტერესოა და აბსოლუტურად სასიამოვნოდ ისმინება. ქალთა საკითხები ოლბრაიტისათვისაც საინტერესო თემა იყო, რადგან უნივერსიტეტში პროგრამას - „ქალები დიპლომატიურ სამსახურში" - ხელმძღვანელობდა. არც ჰილარის და არც მედელინს არ უყვარდათ ჟურნალისტები, მეტიც ჰილარი ცდილობდა საკუთარი ქალიშვილი ყველანაირად დაეცვა მედიის წარმომადგენლებისაგან. ჩელსისათვის ჟურნალისტებთან ურთიერთობა მიუწვდომელი იყო.

ჰილარის საკუთარ წარსულთან არ აქვს არავითარი პრობლემა. მას არაფერი აქვს ისეთი, რაც დისკომფორტს შეუქმნიდა ან რისი „დავიწყება" მოუნდებოდა. პირიქით, ის საკმაოდ თამამად საუბრობს წარსულზე მემუარებში „ცოცხალი ისტორია" და ბავშობის საკმაოდ პირადულ დეტალებსაც ეხება. სწორედ ის უდგას გვერდში ბარაკ ობამას, როგორც მედელინ ოლბრაიტი - ბილ კლინტონს. ქალბატონი მედელინ ოლბრაიტისათვის და ქალბატონი ჰილარი კლინტონისათვის დემოკრატია ერთსა და იმავე ღირებულებასა და პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც ნათლად აისახა მათ ინტერვიუებში. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ქალბატონი გენეტიკური ამერიკელია, ხოლო მეორე - ჩამოსული ემიგრანტი, მათი სიყვარული, თავდადება და ქვეყნის იმიჯზე ზრუნვა ამით ნამდვილად არ განისაზღვრებოდა, რასაც მათი საქმიანობა ნათლად მიუთითებს.

საკმაოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეორე სახელმწიფო მდივანი ქალბატონი, კონდოლიზა რაისი, თეთრკანიანი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოღვაწეობდა, ხოლო ქალბატონი ჰილარი კლინტონი, პირიქით, - აფროამერიკელი პრეზიდენტის ადმინისტაციაში. ეს სულაც არ არის შემთხვევითი ფაქტი, რადგან ამით ამერიკა გამუდმებით აფიქსირებს თავის დამოკიდებულიბას რასიზმისადმი. სახელმწიფო მდივანი ქალბატონები ამით ხაზს უსვამენ, რომ კანის ფერს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ადამიანებს, განსხვავებული კანის ფერითაც, ქვეყნისათვის არაჩვეულებრივი ამინდის შექმნა შეუძლიათ.

რასაკვირველია, რაისსა და კლინტონს მსგავსი წარსული არ ჰქონიათ. ორივე პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრია, ხოლო შემდეგ სხვადასხვა დარგი აირჩიეს. ოჯახის ფენომენი ამ შემთხვევასც არავითარ როლს არ თამაშობს, რადგან კონდიმ, როგორც მას ახლო წრეში ეძახიან, და როგორც თავად პრეზიდენტი ბუში უმცროსი მიმართავდა, ოჯახის შექმნაზე უარი განაცხადა. მისთვის გაცილებით პრიორიტეტული კარიერა აღმოჩნდა.

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ წინა ორი სახელმწიფო მდივნისაგან განსხვავებით, ჰილარი კლინტონის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ბავშვებზე ზრუნვა, რასაც ის ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა. ასევე, განსხვავება სამ სახელმწიფო მდივანს შორის არის ჰილარი კლინტონის გამორჩეულად ფემინისტური შეხედულებები. ოლბრაიტისა და რაისისგან განსხვავებით, ის ამერიკის შეერთებული შტატების 67-ე ფემინისტი სახელმწიფო მდივანი ქალბატონია. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალბატონი რაისი აბსოლუტურად არ გამოირჩეოდა ქალური სინაზით, მასში ნამდვილად შეიმჩნეოდა მამაკაცური, მკაცრი მიდგომა თავისი თანამდებობისადმი.

სხვა სახელმწიფო მდივნებისაგან განსხვავებით, კონდოლიზა რაისი ბევრ დროს უთმობდა ანტიტერორისტულ კამპანიას და ძალიან დიდ საფრთხეს ხედავდა როგორც ტერორიზმში, ისე კიბერტერორიზმში.

სამივე ქალბატონს დოქტორის ხარისხი აქვს მინიჭებული. ოლბრაიტი და რაისი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს ატარებენ, ხოლო კლინტონი იურისპრუდენციის დოქტორია. დოქტორის აკადემიური ხარისხი გარკვეულ როლს ასრულებს მათი იმიჯის შექმნაში.

ასევე, აუცილებლად უნდა გამოვყოთ მათი მემუარები, რომლებიც **საიმიჯო წიგნებად** იქცა, რომლის საშუალებითაც საზოგადოებაზე ირიბი ზემოქმედება ხორციელდება. წიგნის წაკითხვის შემდეგ აუცილებლად ვიცვლით აზრს და ხშირ შემთხვევაში ავტორის იმიჯის სასიკეთოდ. საიმიჯო წიგნზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ მედელინ ოლბრაიტმა და კონდოლიზა რაისმა მემუარები სახელმწიფო მდივნის

პოზიციიდან წასვლის შემდეგ დაწერეს, ხოლო ჰილარი კლინტონმა პირველი ლედობის ვადის დასრულების შემდეგ.

ქალბატონი მედელინ ოლბრაიტის საიმიჯო წიგნად შეგვიძლია დავასახელოთ მისი ცნობილი წიგნი **„წაიკითხეთ ჩემი სამშვენისები“** (2009წ), რომელშიც დეტალურად აღწერს, რომელი სამშვენისი რას ემსახურებოდა და რისი მატარებელი იყო. ის მათ იმის და მიხედვით არჩევდა, სად მიდიოდა და ვის ხვდებოდა. სამშვენისი იყო მისი არავერბალური კომუნიკაციის მთავარი ატრიბუტი. ქალბატონი ოლბრაიტი საკმაოდ ორიგინალური ე.წ. ბროშით გვიმზერს წიგნის გარეკანიდან. სამშვენისში თვლების ნაცვლად ორი საათია ჩადგმული. ერთ საათს სწორი დროის ჩვენებით უყურებს თავად მფლობელი, რომელიც სხვისთვის გადმობრუნებულია; ხოლო იგივე დროს სწორად აჩვენებს სხვისთვის მეორე საათი, რომელიც ამავდროულად მეპატრონისთვისაა გადმობრუნებული. ანუ ერთი და იგივე დროს სხვადასხვაგვარად უყურებენ ადამიანები. ამავდროულად, ისინი მას აკონტროლებენ. ოლბრაიტის მესიჯის შინაარსი ასეთი იყო: „შეხვედრა დროზე უნდა დასრულდეს“.

ოლბრაიტის მეორე საიმიჯო წიგნის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მისი მემუარები - **„ქალბატონი სახელმწიფო მდივანი“** (2003წ), რომლის გარეკანი ასევე გამოირჩევა ცნობილი სამშვენისით. სამშვენისზე გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი, რომელიც, როგორც ცნობილია, იყო რომის იმპერიის სიმბოლო. მედელინ ოლბრაიტი მსოფლიოს უგზავნის მესიჯს ამერიკის შეერთებული შტატების ძლევამოსილებისა და მისი ზესახელმწიფოობის შესახებ.

კონდოლიზა რაისის საიმიჯო წიგნია მისი მემუარი - **„არ არსებობს უფრო დიდი პატივი“**(2011წ), რომლის გარეკანი ასევე საინტერესოდ გამოიყურება. ქალბატონი რაისი, როგორც ყოველთვის წითელი ტუჩსაცხითა და ქათქათა მარგალიტის ყელსაბამით გვიღიმის გარეკანიდან. კონდოლიზას სიყვარული მარგალიტის ყელსაბამისადმი სულაც არაა ახალი საზოგადოებისათვის, რადგან ის ხაზგასმით გამოყოფს მის დამოკიდებულებას კლასიკური სტილისადმი. შეუძლებელია ეს სტილი შემთხვევით იყოს შერჩეული, რადგან მარგალიტის ყელსაბამი პირდაპირ ასოციაციას იწვევს დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ მინისტრთან, მარგარეტ ტეტჩერთან (1979 –1990),

რომელიც ბევრი პოლიტიკოსი ქალბატონისათვის მისაბაძი მაგალითი იყო. ყველაფრის მიუხედავად, შავი და თეთრი ფერების კომბინაცია შეუძლებელია მხოლოდ კლასიკას მიაწერო. ქალბატონი რაისი მისი ვიზუალური იმიჯით აგზავნის მესიჯს ჰარმონიული დამოკიდებულების შესახებ კანის ფერისადმი.

ჰილარი კლინტონის შემთხვევაში საიმიჯო წიგნი უდავოდ მისი მემუარებია _ „ცოცხალი ისტორია" (2003წ), რომლის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. მასში ძირითადი აქცენტები გამახვილებულია პირველი ლედობის პერიოდზე. წიგნის გარეკანი საკმაოდ სადაა და არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული დეტალებით. ჰილარი გაბრწყინებული თვალებითა და ნიკაპქვეშ ამოდებული ხელით გულწრფელი ღიმილით გვიღიმის.

ასევე, უნდა აღინიშნოს ის, რომ სამ სახელმწიფო მდივან ქალბატონს შორის მედელინ ობრაიტი ყველაზე მეტად გამოირჩეოდა არავერბალური კომუნიკაციის უნარით, რაზეც მისი წიგნები მეტყველებს.

საკმაოდ საინტერსოა ამ სამი ქალბატონის მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა. სამივე მათგანს ფენომენალური ადგილი უჭირავთ ამერიკის ისტორიის ფურცლებზე. იმ დროს, როცა ჰილარის ქალთა, გეებისა და ბავშთა უფლებების დაცვა იზიდავს, ხოლო ოლბრაიტი სამშვენისებს აგროვებს, კონდი ერთი გოლის გატანაზე ოცნებობს. აი, ასეთი ერთნაირები და მეტად განსხვავებულები არიან თავისი დროის ყველაზე გავლენიანი ქალბატონები - ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნები.

## §2.4 სოციოლოგიური კვლევა

ჰილარი კლინტონის იმიჯის შესასწავლად ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევა. გამოვკითხეთ 300- მდე, ორივე სქესის, პროფესიისა და ეროვნების რესპონდენტი 18-დან 50 წლამდე. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 40% მეტი მეტ-ნაკლებად ადევნებს თვალყურს ჰილარი კლინტონის მოღვაწეობას. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართველი რესპონდენტების 64.35% ჰილარი კლინტონს გონებამახვილ ქალბატონად მიიჩნევს, ხოლო 41.61% - გემოვნებიანად მიიჩნევს.

საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა 62. 84% ფიქრობს, რომ ჰილარი კლინტონს საქართველოში დადებითი იმიჯი აქვს. 50.99% _ გამოყოფს ჰ. კლინტონის ორატორულ ნიჭს, მეტიც 62. 02% _ აბსოლუტურად ინფორმირებული აღმოჩნდა ქალთა უფლებებისათვის ჰილარის ბრძოლის შესახებ.

**ცხრილი 2.4.1**

| 1. ადევნებთ თუ არა თვალყურს ჰილარი კლინტონის საზოგადოებრივ მოღვაწეობას? | პროცენტი |
|---|---|
| ა) დიახ | 19.90% |
| ბ) არა | 35.45% |
| გ) მეტნაკლებად | 40.64% |
| 2. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ ბილ კლინტონი ჰილარი კლინტონს უნდა უმადლოდეს გაპრეზიდენტებას? | |
| ა) დიახ | 29.19% |
| ბ) არა | 27.16% |
| გ) არ ვიცი | 42.38% |
| 3. როგორ აღიქვამთ კლინტონების ქორწინებას? როგორც: | |
| ა) საქმიან და პოლიტიკურ ურთიერთობებს | 33.69% |
| ბ) სიყვარულით შექმნილ ოჯახს, რომელსაც პრობლემები აქვს | 9.52% |
| გ) ქორწინებას ქვეყნის საკეთილდღეოდ | 10.25% |
| დ) ქორწინებას შვილის საკეთილდღეოდ | 2.59% |

| | |
|---|---|
| | |
| ე) არ ვიცი | 43.09% |
| **4. გაგიგიათ თუ არა პრეზიდენტ კლინტონის და მონიკა ლევინსკის ურთიერთობების შესახებ?** | |
| ა) დიახ | 35.42% |
| ბ) არა | 62.86% |
| **5. როგორ შეფასებას მისცემდით მომხდარს?** | |
| ა) ჰილარიმ ამ ურთიერთობის შესახებ თავიდანვე იცოდა | 25.70% |
| ბ) ჰილარიმ ამის შესახებ არაფერი იცოდა | 9.96% |
| გ) არ ვიცი | 63.22% |
| **6. როგორ ფიქრობთ გახდება თუ არა ჰილარი კლინტონი შეერთებული შტატების შემდეგი პრეზიდენტი?** | |
| ა) დიახ | 35.12% |
| ბ) არა | 22.07% |
| გ) არ ვიცი | 41.94% |
| **7. თქვენი აზრით, ჰილარი კლინტონი არის** | |
| ა) გონებამახვილი ქალბატონი | 64.35% |

| | |
|---|---|
| ბ) მისაბაძი ახალგაზრდა ქალბატონებისათვის | 6.06% |
| გ) მეტად ლიბერალური, ვიდრე მისი მეუღლე | 12.38% |
| დ) ადამიანი, რომლითაც აღფრთოვანებული ვარ | 2.59% |
| ე) მეტისმეტად მკაცრი | 2.59% |
| ვ) ადამიანი, რომელიც საკმარის დროს არ უთმობს ოჯახს | 10.98% |
| 8. უნდა დაშორებოდა თუ არა ჰილარი კლინტონი ბილ კლინტონს მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებული სკანდალის გამო | |
| ა) დიახ | 22.27% |
| ბ) არა | 32.93% |
| გ) არ ვიცი | 44.51% |
| 9. 5- ბალიანი სისტემით შეაფასეთ ჰილარი კლინტონი, როგორც პირველი ლედი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 60.00% | 5 | 30% | 4 | 8% | 3 |

| | |
|---|---|
| 10. 5- ბალიანი სისტემით შეაფასეთ ჰილარი კლინტონი, როგორც სახელმწიფო მდივანი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 40% | 5 | 28% | 4 | 26% | 3 | 3% | 2 |

| | |
|---|---|
| 11. როგორ ფიქრობთ, როგორი იმიჯი აქვს ჰილარი კლინტონს საქართველოში? | |

| | |
|---|---|
| ა) დადებითი | 62.84% |
| ბ) უარყოფითი | 8.65% |
| გ) არ ვიცი | 23% |
| **12. როგორია ჰ. კლინტონის იმიჯი პირადად თქვენთვის?** | |
| ა) დადებითი | 51.50% |
| ბ) უარყოფითი | 5.19% |
| გ) თავს შევიკავებ | 36.88% |
| **13. როგორ შეაფასებდით ჰილარი კლინტონის ჩაცმულობას?** | |
| ა) გემოვნებიანად იცვამს | 41.61% |
| ბ) უგემოვნოდ იცვამს | 5.62% |
| გ) არ ვადევნებ თვალს მისი ჩაცმის სტილს | 52.77% |
| **14. როგორ ფიქრობთ, რამდენად გამოირჩევა ჰილარი კლინტონი ორატორული ნიჭით?** | |

| | |
|---|---|
| ა) უდავოდ გამოირჩევა | 50.99% |
| ბ) არ გამოირჩევა | 7.12% |
| გ) არ ვიცი | 32% |
| 15. ხართ თუ არა ინფორმირებული მისი საქმიანობის შესახებ ქალთა უფლებებისათვის ბრძოლაში? | |
| ა) არა | 62.02% |
| ბ) დიახ | 37.25% |
| შეგიძლიათ თუ არა გამოყოთ ჰილარი კლინტონის რომელიმე საჯარო გამოსვლა და რატომ? | |
| ა) დიახ | 6.49% |
| ბ) არა | 41.55% |
| • ბოლო ვიზიტი საქართველოში; | |
| • გამოვყოფდი საქართველოში ვიზიტს როდესაც მან მკაცრად დაგმო რუსეთის აგრესი; | |
| • ყველა მისი გამოსვლა ემოციურია; | |
| • 2008 წლის ვიზიტი საქართველოში; | |
| • კორეაში ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, სადაც ისაუბრა გენდერულ თანასწორობაზე; | |
| • რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან | |

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ ჰილარი კლინტონის საჯარო გამოსვლებს მეტ-ნაკლებად ადევნებენ თვალყურს და რამდენიმე ცალკეულ შემთხვევაში კლინტონი რაისში აერიათ, ქალბატონი ჰილარი კლინტონი საკმაოდ რეიტინგული აღმოჩნდა დღევანდელ საქართველოში, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოში ქალბატონი კლინტონის მაღალ რეიტინგს ცხადჰყოფს ჩვენი კვლევა, სადაც კლინტონის პირველი ლედობის პერიოდი 5-ბალიანი სისტემიდან 60%-მა შეაფასა 5- ით, ხოლო სახელმწიფო მდივნობის პერიოდი იგივე მაჩვენებლით 40 %-მა (იხ. 2.4.1).

## §2.6 ინტერვიუ

კვლევის ობიქტის - ჰილარი კლინტონის იმიჯის თავისებურებების გასაანალიზებლად ინტერვიუ ჩამოვართვით პიარექსპერტს - ელდარ პირმისაშვილს.

პირმისაშვილი არის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კომუნიკაციების სპეციალისტი. მას ამ სფეროში 10 წლიანი გამოცდილება აქვს. იგი არის საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მფლობელი. ის კონსულტანტაციას უწევდა ისეთ ბრენდებს, როგორიცაა: Coca-cola, Goodwill, Ioli Group, UNDP, USAID, UNICEF, Johnson & Johnson.

1. **ზოგადად, როგორ აფასებთ ჰილარი კლინტონის პოლიტიკურ იმიჯს?**

ძალიან აქტიური იმიჯი აქვს, ის იყენებდა და ითვალისწინებდა პიარსპეციალისტების შეთავზებულ სტრატეგიებს, მისი იმიჯი შეიძლება შევაფასოთ როგორც იმიჯი-ქამელეონი, რომელიც საზოგადოების ინტერესებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე იცვლება და ფორმირდება, რაც პოლიტიკისთვის დამახასითებელია. მის იმიჯს განვიხილავთ, როგორც ვირტულაურს, რადგან ამერიკელი პოლიტიკოსებისთვის ეს ცნება აქტიური და მნიშვნელოვანია. იმიჯი 3 კომპონეტისაგან შედგება. ეს არის ვიზუალი, რომელიც მოიცავს დრესკორდსა და ინდივიდუალურ გარეგნობას, რაც სტანდარტიზებულია კლინტონის შემთხვევაში. მასზე დიდი ყურადღება მახვილდება.

როდესაც პირველი ლედი იყო, ხოლო შემდეგ ეს მიმართულება შესუსტდა. შემდეგი კომპონენტი არის ჟესტიკულაცია, რომელიც მნიშვნელოვანწილად მოქმედებს აუდიტორიაზე და ჰილარი ეფექტურად იყენებდა მას ანუ სხეულის ენას, ხოლო, რაც შეეხება ბოლო კომპონენტს, ანუ საუბარს – მეტყველებისას ის გამოირჩევა მესიჯებითა და საუბრის მანერით, მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების მოსახდენად. ის არის ქარიზმატული.

2. **როგორ შეაფასებდით ჰილარი კლინტონის იმიჯს პირველი ლედის ამპლუაში?**

   პირველი ლედის იმიჯი აშშ- ში უკვე ჩამოყალიბებულია და ძირითადად ისინი ერგებიან იმ სტრეოტიპულ იმიჯს, რომელიც გავლენას ახდენს სამიზნე ჯგუფებზე. შესაბამისად, ჰილარი კლინტონიც ამ იმიჯს გაჰყვა ანუ ფაქტობრივად გააგრძელა წინამორბედების იმიჯი და დაამატა გარკვეული კომპონეტები მაგ., ის ასოცირდებოდა განათლებულობასთან (მისი დოქტორის ხარისხი ხშირად იყო ხაზგასმული) და მიტევებასთან (ლევინსკის სკანდალის შემდეგ).

3. **ჰილარის იმიჯის დადებითად ან უარყოფითად შესაფასებლად, მისი ცხოვრების რომელ ეტაპს გამოყოფდით?**

   პირველი ლედის პერიოდი ყველაზე საინტერესოა და შედეგ ნელ-ნელა იკლებს მისი რეიტინგი.

4. **რას ფიქრობთ ჰილარის ვიზიტზე საქართველში ?**

   საინტერესო ვიზიტი იყო, თუმცა ეს ვიზიტი კონტროლისა და მხარდაჭერის მესიჯი იყო.

   5. **ჰილარი კლინტონის საქმიანობის რომელი ასპექტი მიგაჩნიათ მისი იმიჯის არსებით განმსაზღვრელად და რატომ ?**

   ყველა იმიჯი მნიშვნელოვანია, თუმცა იურისტის იმიჯი გადამწყვეტი აღმოჩნდა მისთვის.

5. **რამდენად შეუწყობს ხელს საკუთარი იმიჯი ჰილარი კლინტონს გაპრეზიდენტებაში?**

   რა თქმა უნდა, შეუწყობს.

ჰილარი კლინტონი ის ქალბატონია, ვის იმიჯზეც დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. იმიჯის თეორიული ასპექტების გათვალისწინებით, საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ქალბატონი ჰილარი კლინტონის იმიჯის ტიპების (სასურველი, მიმდინარე სარკისებური) და მათი მიღწევის მეთოდების (მანიპულაცია, ვიზუალიზაცია, აღქმის მოდელირების დანერგვა და სხვ.) განხილვა მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე.

საკითხის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ჰილარი კლინტონის იმიჯის შესაქმნელად საკმაოდ ბევრი დრო და ძალისხმევა იხარჯება. მისი იმიჯის ტიპების განხილვისას საკმაოდ თვალსაჩინო იყო იმიჯმეიკერთა გუნდის მიერ გაწეული სამსახური. კვლევამ ასევე გვაჩვენა, რომ შეუძლებელია ჰილარი კლინტონის რანგის პოლიტიკოსი სპონტანური და დაუგეგმავი საჯარო შეხვედრებით იფარგლებოდეს. მისი თითოეული საჯარო გამოსვლა იყო წინასწარ კარგად მოფიქრებული, გაწერილი და დახვეწილი, ხოლო არავერბალური კომუნიკაცია (მიმიკები, ჟესტები და მოძრაობები) - კარგად გათვლილი თემატიკისა და აუდიტორიის შესაბამისად.

შევეცადეთ წარმოგვედგინა ჰილარი კლინტონის იმიჯის მთავარი მახასიათებლები მისი ცხოვრების სამ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე.

**ჰილარი - ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედი** (1983 წლის 11 იანვარი - 1992 წლის 12 დეკემბერი). ამ პერიოდში თვალსაჩინო ხდება ქალბატონი კლინტონის მიმდინარე იმიჯი, სადაც ის მუდამ გვერდში უდგას ბილ კლონტონს და მუდამ მზრუნველი მეუღლის როლშია. ასევე, ჰილარი კლინტონის ცხოვრების ამ პერიოდში ხშირად ხდება სასურველი იმიჯის დემონსტრირება. ის ამერიკას გამუდმებით აჩვენებდა, რომ მხოლოდ ბილ კლინტონი არ მართავდა ქვეყანას.

ცალკეულ შემთხვევაში იყო საშიშროება პირველი ლედის იმიჯს არ გადაეფარა პრეზიდენტის იმიჯი. ამ პერიოდის იმიჯის განსაკუთრებული შტრიხია „თანაპრეზიდენტობისა“ და ერთგული მეუღლის იმიჯი. გამორჩეული გახდა მონიკა ლევინსკის ეპიზოდი, რომელმაც იგი მსოფლიოს ყურადღების

ცენტრში მოაქცია. მიუხედავად განსხვავებული შეფასებისა, მან მეუღლის დამცველის სტატუსი მოიპოვა და ნობელის პრემიის ლაურეატის გაბრიელ გარსია მარკესის ყურადღებაც დაიმსახურა. ბილ კლინტონისადმი მიძღვნილ პორტრეტულ ჩანახატში „შეუმდგარი საყვარული“, მარკესი პირველ ლედის მხოლოდ ერთი ფრაზით მოიხსენიებს: „ბოლოს და ბოლოს ეს პირადი დრამა მხოლოდ მისი და ჰილარის საშინაო საქმეა. ამ უკანასკნელმა კი მთელი მსოფლიოს წინაშე ჰომეროსული ღირსებით დაიცვა მეუღლე [გ. გ. მარკესი, 2008, 3-5].“

პირველი ლედობის პერიოდში გამოიყენებოდა იმიჯის ტექნოლოგიის შემდეგი ფორმები: დეტალიზაცია, აღქმის მოდელირების დანერგვა, ვიზუალიზაცია და ა.შ.

**ჰილარი - სენატორი** (2001 წლის 3 იანვარი – 2009 წლის, 21 იანვარი) ეს პერიოდი საკმაოდ საინტერესოა და გამოირჩევა ჰილარის ცხოვრებაში, რადგან მან სწორედ სენატორის პოზიციაზე ყოფნისას გამოიცვალა პრიორიტეტები: ბუნების დაცვა, ჯანმრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, შრომა, ეკონომიკა და ეროვნული უსაფრთხოება, სამხედრო კომიტეტში მუშაობა. ამ პერიოდის იმიჯის პოზიციონირებისას იმიჯმეიკერები უპირატესობას ანიჭებენ მეტაფორიზაციას, ვერბალიზაციას, მანიპულირებასა და უარყოფითი იმიჯის ასპექტებსაც.

**სახელმწიფო მდივანი** (2009 წლის 21 იანვარი – 2013 წლის 1 იანვარი). ამ პოზიციაზე მუშაობისას ჰილარი აქტიურად იყენებს სასურველ იმიჯს. მისი ცხოვრების ამ პერიოდში ასევე ვლინდება ემოციონალიზაცია, რომელიც მანამდე ჰილარის იმიჯში ნაკლებად ფიგურირებდა. ამ პერიოდის იმიჯის თავისებურებებში შეიძლება გამოვყოთ ინფორმაციის აქცენტირებისა და დისტანცირების მოდელები, რომლებიც საჯარო გამოსვლებით დასტურდება.

ჰილარი კლინტონზე დაწერილი მონოგრაფიების შესწავლამ გვაჩვენა, რომ პოლიტიკოსისადმი ავტორთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, თუმცა ხშირ შემთხვევაში კეთილგანწყობა ნაკლებად შეიმჩნევა.

ჰილარი კლინტონი არ იყო პირველი სახელმწიფო ქალი-მდივანი, ამიტომაც განვიხილეთ, მისი იმიჯის მახასიათებლები წინამორბედი სახელმწიფო მდივანი ქალბატონების - მედელინ ოლბრაიტისა და კონდოლიზა რაისის - ფონზე. ამ შემთხვევაშიც, ბევრი საინტერესო ასპექტი გამოიკვეთა, რამაც მოგვცა შედარებითი ანალიზის გაკეტების საშუალება, რომელიც მოიცავდა სამი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის შედარებას მათი წარსულის, ოჯახის, განათლებისა, პროფესიული გამოცდილების, პოლიტიკური კარიერის შექმნის სტრატეგიის, გარეგნული მხარის, ხასიათის თვისებების, ჰობის, პრიორიტეტებისა და საიმიჯო წიგნების მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რამდენად განსხვავებულები და, ამავე დროს, რამდენად მსგავსი არიან ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი პოლიტიკოსი ქალები.

სოცილოგიური კვლევა, ემსახურებოდა საქართველოში ქალბატონი ჰილარი კლინტონის იმიჯის შესწავლას და იმის გარკვევას, რამდენად იცნობენ ქალბატონ კლინტონს, რამდენად ადევნებენ თვალყურს მის პირად და პროფესიულ ცხოვრებას და ა.შ. კვლევამ თვალსაჩინო გახადა ფაქტი, რომ ქალბატონი კლინტონი საკმაოდ რეიტინგული ფიგურაა საქართველოში და მას, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეტად საინტერესო ქალბატონად მიიჩნევენ.

ჰილარი როდემ კლინტონის ფიგურა უპრეცენდენტოდ საინტერესო აღმოჩნდა იმიჯის საკითხების შესწავლისათვის. ეს არის ქალბატონი, რომელიც ვითარებიდან გამომდინარე, ყველა ტიპის იმიჯს აბსოლუტური სიზუსტით ირგებს.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა თვალსაჩინო პიარექსპერტმა ელდარ პირმისაშვილმა მეტაფორულად განაზოგადა ჰილარი კლინტონის იმიჯი. მისი აზრით ჰილარის იმიჯი - ქამელეონი იმიჯია.

ვიზიარებ ექსპერტ პირმისაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ჰილარი კლინტონის იმიჯის შესახებ. ქალბატონი კლინტონი ნამდვილად გამოირჩევა ქამელეონი იმიჯით, ხოლო მისი ვიზუალური იმიჯი გაცილებით

მეტ ინტერესს იწვევდა პირველი ლედობის პერიოდში, ვიდრე შემდგომ წლებში. ჰილარი კლინტონისათვის მეტად დამახასიათებელია საზოგადოებასთან მოკლე ლოზუნგებითა და მესიჯებით ურთიერთობა, რაც ასევე მისი არასტანდარტული იმიჯის ნაწილია. მისი პრესტიჟული განათლება და დოქტორის აკადემიური ხარისხი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. ჰილარი რიგითი იურისტი არასოდეს ყოფილა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ის მთელი ქვეყნის მასშტაბით იურისტთა ასეულში შედიოდა. ქალბატონი კლინტონი ბევრი ღირსებითაა შემკული და ერთ-ერთი მათგანი მისი დამოკიდებულებაა პრობლემისადმი, მისი პატიების უნარი (თუნდაც მხოლოდ საზოგადოების თვალის ასახვევად).

ჰილარი კლინტონი არის ქალბატონი, რომელსაც უდიდესი ქარიზმა აქვს. მას იმჯმეიკერთა გუნდთან ერთად შესანიშნავად აქვს გათვლილი თითოეული დეტალი. ქარიზმა ადამიანებს ობიექტზე დაკვირვებას აიძულებს. საზოგადოება ქარიზმატული ადამიანის თითოეულ დეტალს ამჩნევს. მისი თითოეული ნაბიჯი თავისებურად აღიქმება საზოგადოების მიერ და, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული სომბოლური დატვირთვაც ენიჭება.

ჩანაფიქრი გვქონდა, თუნდაც ცალკეული ასპექტით, პარალელი გაგვევლო ჰილარი კლინტონისა და პოსტსაბჭოური საქართველოს პოლიტიკოსი ქალების იმიჯს შორის. ცხადია, ჩვენი განზრახვა განუხორციელებელი აღმოჩნდა, თუმცა ვფიქრობთ, მაინც გვაქვს ერთგვარი პარალელის გავლების საფუძველი.

თანამედროვე დასავლური იმიჯი, ტრადიციების ერთგულება, სოციალური პრობლემებით დაინტერესება და ქველმოქმედება პოლიტიკოსის მეუღლის საუკეთესო იმიჯია, რაც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეუღლეს - სანდრა ელიზაბედ რულოვსსაც ახასიათებდა. მან დააფუძნა საქველმოქმედო ფონდი SOCO. ამასთან, რულოვსი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კეთილი ნების ელჩი იყო, მუშაობდა მედდად თბილისის ერთ-ერთ სამშობიარო სახლში, ზრუნავდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაზე და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაზე.

იმიჯის შექმნის ძირითადი სტრატეგია პოზიციონირებაა. ჰილარი კლინტონის პოზიციონირებისას ყოველთვის იქმნებოდა ისეთი წარმოდგენა, რომელიც აუდიტორიის ინტერესს მაქსიმალურად აკმაყოფილებდა. პოზიციონირება ცალკეულ შემთხვევაში ეპატაჟურიც იყო, მაგრამ კლინტონი ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებდა პოპულარობას.

პოლიტიკოსის იმიჯის განმსაზღვრელი ფაქტორებია: კვალიფიკაცია, რეპუტაცია, ენერგიულობა, წარსული, ოჯახის ერთგულება - ის გაუხუნარი ბერკეტები, რაც ყოველთვის გაამყარებს კლინტონის იმიჯს და საფუძველს გვაძლევს დადებით კონტექსტში მოვიაზროთ იგი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბუკია, ს. „კლინტონის პოლიტიკური გზავნილები“, ლიბერალი, №39, 2010, 13;
2. გიორგობიანი, ა. „ჰილარი კლინტონი შეერთებული შტატების სენატორი“, ამერიკის შესწავლის საკითხები III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემოლბა, თბილისი 2005, 475-480;
3. გუნია, ი. „ბირმული გაზაფხული“, ტაბულა, №82, 2011, 44;
4. დენისოვა, ტ. „მედელინ ოლბრაიტის ფენომენი“, ამერიკის შესწავლის საკითხები II, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემოლა, თბილისი, 235-24;
5. დენისოვა, ტ. მეძმარიაშვილი. ე. „ქალის როლი თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში“, ამერიკის შესწავლის საკითხები, 2005;
6. თევზაძე, ნ. „ჰილარი კლინტონის სიყვარულის ისტორია“, გულახდილი საუბრები, 2012, №8, 47;

   კაპანაძე, ლ. ე. ხახუტაშვილი, „საზოგადოებასთან ურთიერთობა“, თბილისი, 2003, 366;
7. ლომიძე, მ. კაჭარავა, ხ., „კავკასიის პოლიტიკოსთა იმიჯის ძირითადი; აქცენტები“, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომები, თბილისი, 2010, 123-132;
8. ლომიძე, მ. „პოლიტიკური რეკლამის ზოგიერთი ასპექტი ამერიკულ მედიაში“, ამერიკის შესწავლის საკითხები III, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემოლბა, თბილისი, 2005, 178-183;
9. ლომიძე, მ. „პოლიტიკური რეკლამის მთავარი შტრიხები“, ჟურნალისტური ძიებანი VI, თბილისი, 2005, 92-99;
10. მაისაშვილი, თ. „კონდოლიზა რაისის გზა ძალაუფლებისაკენ“, ამერიკის შესწავლის საკითხები, 2. თბილისი უნივერსიტეტის გამომცემოლა, თბილისი, 2003, 259-262;
11. მარკესი, გ. გ. „შეუმდგარი საყვარული“, ჩვენი მწერლობა, 2008, 3 -5;
12. მეძმარიაშვილი, მ. „ამერიკელი ქალების ბრძოლა ოფისისათვის“, ამერიკის შესწავლის საკითხები, 2005, 267- 270;
13. ნადარეიშვილი,მ. „პრესა და პოლიტიკური სიმბოლოები“, ჟურნალისტური ძიებანი III, თბილისი, 2002, 88-91;
14. ნადარეიშვილი,მ. „შუქ-ჩრდილები პრეზიდენტის გარშემო“, ჟურნალისტური ძიებანი IV, თბილისი, 2003, 57-64;
15. ნადარეიშვილი,მ. „ჰილარი კლინტონი და ამერიკული მედია“, ჟურნალისტური ძიებანი V, თბილისი, 2003, 59-62;
16. ნადარეიშვილი,მ. „ბილ კლინტონის „ჩემი ცხოვრება“, ჟურნალისტური ძიებანი VI, თბილისი 2004, 89-95;

17. შუბითიძე, ვ. „რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს“, (იმიჯმეიკერი და პოლიტიკოსის იმიჯი), გამომცემლობა „ელფი“, თბილისი 2000,;
18. შუბითიძე, ვ. დავითაშვილი, ო., „პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გამომცემლობა, თბილისი, 2002.
19. უილკოკსი, დ.ლ. კამერონი, გ. ტ., საზოგადოებასთან ურთიეთობა (სტრატეგია და ტაქტიკა), , გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2011, 612;
20. ქორიძე, ა. „სტრატეგიული დიალოგის დასაწყისი“, ტაბულა, №64, 2011, 13;
21. ჯოხაძე, შ. „საქართველოში ჰილარი კლინტონი ჩამოდის“, გუმბათი, №52, 2011, 6;
22. Гуревич П.С. Приключения имиджа. Типология телевизионного образа и парадоксы его восприятия. М., 1991;
23. Кузин, Ф. А. "Современньй Имидж" (делового человека, бизнесмена, политика), 2002, 505;
24. Мехлер, Г. Власть и Магия PR, (PR правит миром, краткая взрывоопасная история, PR о PR), издателький дом "Питер", Санкт- Петербург, 2004, 171;
25. Олбрайт, М. “Религия и мировая политика”; Альпина, Москва, Бизнес букс 2007, 352;
26. Ольшанский, Д. В. "Прикладная политическая психология", издательство "Питер", Санкт- Петербург, 2002;
27. Ольшанский Д. В. "Психология Масс", Издательский дом «Питер», Санкт-Петербург 2002, 351;
28. Потемкина, О.Ф. "Что такое политический имидж?, Московский государственный
университет культуры и искусств, Москва, 2002, 99;
29. Почепцов, Г. Г. Паблик рилейшнз для профессионалов, Издательство: РЕФЛ-бук, Ваклер: Киев, 2005, 640;
30. Почепцов, Г. Г. "Имиджелогия", Рефл-бук, Москва, 2002, 698;
31. Почепцов, Г. Г. Профессия: имиджмейкер, Алетейя, Санкт-Петербург, 2001, 236;
32. Почепцов, Г. Г. *Паблик рилейшнз, или как успешно управлять общественным мнением* Москва, 1998;
33. Резепов И. Психология рекламы и PR, Издательство: Дашков и Ко, 2009, 224;
34. Шепель, В. М. "Имиджелогия. Как нравиться людям", 2002, 635;
35. Шепель, В. М. Имеджелогия: секреты личного обаяния. М., 1994, 320;
36. Busby, R. *Defending the American Presidency: Clinton and the Lewinsky Scandal,* Palgrave, New York, 2001, 264;
37. Albright, M. *Madam Secretary,* Hyperion, New York, 2003, 562;

38. Albright, M. *Read my Pins,* (Stories from a Diplomat's Jewel Box), Harper Collins Publisher, New York, 2009, 176;
39. Buchanan, B.,*Extreme Makeover of Hillary Rodham Clinton,* Eagle Publishing Company, Washington D.C, 2006, 264;
40. Podhoretz, J. Can She be Stopped? (Hillary Clinton will be the next President of the United States), Crown Publishing Group, USA, 2006, 272;
41. Rice, C. *No Higher Honor* (A Memoir of My Years in Washigton), Crown Publishing Group, New York, 2011, 765;
42. Sheehy, G. *Hillary's Choice,* New York, 1999, 416;
43. Tench, R. Yeomans, L. *Exploring Public Relations,* Licensing Agency Ltd, 90 Tottenham Court Road, London Licensing Agency Ltd, 90 Tottenham Court Road, London, 2006, 631
44. Clinton, H. *Living History,* Simon & Schuster, New York, 2003, 567;
45. Clinton. B. *My Life*, Alfred A. Knopf, New York, 2004, 957;
46. Lawrence, R. G. Rose, M., *Hillary Clinton's Race for the White House,* (Gender Politics and the Media on the Campaign Trail), Lynne Riener Publisher's Inc. USA, 2009, 277;
47. Alvarez, L. *Hillary Clinton: Popular, and Hardly in Hiding* , http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A150150536&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
48. *Appearances Do Matter: Hillary Clinton's Hair Clip Controversy;* http://www.forbes.com/sites/raquellaneri/2010/09/24/appearances-do-matter-hillary-clintons-hair-clip-controversy/;
49. Barringer, F. *The1992 Campaign: Hillary Clinton; From Lawyer to Mother; Now, Both of the Above.* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A174952389&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
50. Broder, J. M. *The devil and political fund-raising,* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A67828288&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
51. Kingon, C. *Where are Hillary Clinton's critics now?,* http://www.washingtonpost.com/blogs/post-partisan/wp/2013/01/01/where-are-hillary-clintons-critics-now/ ;
52. Walsh, K. T. *Can She Save Him?,* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=ae47f6c3-a58d-4118-9b7d-

3884f276987e%40sessionmgr113&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=1080608;

53. Carlson M. *A Different Kind of First Lady,* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=97510f81-241d-469f-a58d-23e12e99fa9a%40sessionmgr114&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=9211160987;
54. Carlson, M. Painton, P., *Hillary Eyes the Future,* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A53468168&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;

55. Clift, E. *The Re-Selling of the First Lady,* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=a75de749-ecf0-4a3f-bc27-2d595ddde12a%40sessionmgr110&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=36335679;
56. Cordi, J. *Hillary Clinton 2016: Why This Would Be the Best and Worst Choice For Democrats* , http://www.policymic.com/articles/22024/hillary-clinton-2016-why-this-would-be-the-best-and-worst-choice-for-democrats;

57. Corn, D. *Slick Hilly?* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A17864461&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
58. Cottin Pogrebin L; *Give Hillary a Break* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A174899695&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
59. Dowd, M. *Hillary, more or less?* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A62032915&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
60. Dowd, M. *The Real Hillary*, http://www.nytimes.com/2003/06/29/books/the-real-hillary.html?pagewanted=all&src=pm;
61. Durocher, D. *The first lady as columnist*, http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A18216406&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
62. Ehrenreich, B. *A Term of Honour*, http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=3e2460f0-f5e2-4514-bfd5-

a746291a6fbc%40sessionmgr111&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=9501177881;

63. Friedman, E. *Is Clinton Scrutinized About Her Looks Too Much?,* http://abcnews.go.com/Politics/Vote2008/story?id=4193461&page=1;
64. Gibbs N. *The Trials of Hillary* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=f8b931b8-dace-4f29-8b9e-b906d6b7681d%40sessionmgr110&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=9403167507;

65. Glasser, S. B. *Head of State* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=68b426ac-b0ff-4ec6-afcc-6b5b105378f8%40sessionmgr114&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=77721288;

66. Halperin, M. Carney, J., *Still in to Win it* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=3c76ccc4-81f1-406c-bc4e-24bc28e2d5ec%40sessionmgr115&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=31483747;
67. Healy, P. *Lessons From a Former First Lady* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A181654673&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
68. Hernandez, R. *On Podium, Some Say, Mrs. Clinton Is No Mr. Clinton* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A141981322&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
69. Katz, C. Lee, K. A *Hillary Clinton is the people's choice for 2016: poll* http://www.nydailynews.com/news/politics/hillary-clinton-people-choice-2016-poll-article-1.1213798;
70. Liasson, M. *Hillary Clinton Leaving the Stage — At Least For Now — And On A High Note* http://www.npr.org/blogs/itsallpolitics/2013/02/12/170776848/hillary-clinton-leaving-the-stage-at-least-for-now-and-on-a-high-note;

71. Swinth, K. *Hillary Clinton, cookies and the rise of working families, CNN* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A283213003&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
72. *Hillary Clinton's natural appearance scrutinized;* http://www.cbsnews.com/8301-505267_162-57430731/hillary-clintons-natural-appearance-scrutinized/;

73. Isikoff, M. Klaidman, D. Hillary's Other Side http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=77193e96-773f-4486-a1ea-00ecba53bb10%40sessionmgr104&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=9606257539;
74. *Hillary's best hope, The Economist,* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A65019785&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
75. *Hillary's book signing is icing on the cake* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=c41e08a9-2967-4d7f-bd3a-e9c7f8bd46cb%40sessionmgr115&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=10134363;
76. Erica, J. *Hillary's husband re-elected: the Clinton marriage of politics and power* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A18893133&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
77. Homans, J. *Hill of Dreams,* http://nymag.com/nymetro/arts/books/reviews/n_8806/
78. Darman, J. *How She Would Govern*; http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A168590557&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
79. Johnson P. *A Job Waiting for a Woman?* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=5bda6d48-43f6-4d79-b5d1-6be6d4434ac0%40sessionmgr114&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=44343166;
80. Junod, T. *Hillary happy: she has lived the most extraordinary American life. Now she lives in extraordinary exile--from the two men she is most loyal to, from politics, from controversy and it has freed her* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A227652663&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
81. Klein, E. *Hillary Clinton 'Overweight* http://www.huffingtonpost.com/2012/06/06/hillary-clinton-overweight-ed-klein-fox-news_n_1574195.html;
82. Kolbert, E. *The Student* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A108832049&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;

83. Lippert, B. *The Rise and Fall of Brand Hillary* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A176269221&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
84. Nagourney, A. *Mrs. Clinton vows fight on issues and image* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A59213123&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
85. Newport, F. *Hillary's Image; Public rates Clinton* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A168891553&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
86. Packer, G. *The Choice* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A173951312&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
87. Patterson, O. *The Red Phone in Black and White* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A176450945&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
88. Pope, V. Whitman; D., Hammel S., Cohen W., Roebuck K., *For love or loyalty?* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=709ac169-c334-4b8d-97b5-278e2d3e4e9f%40sessionmgr112&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=1080611;
89. Ryan L. *The Iron Lady* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A176801653&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
90. *Secretary Clinton Delivers the Keynote Address and Receives the Century Award at the New York Women's Foundation Breakfast, States News Service* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A289219297&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
91. Stanley, A. *DEMOCRATS IN NEW YORK; A Softer Image for Hillary* Clinton, http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A174924668&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
92. Stephen, A. *Hating Hillary: the ugly truth about American Sexism* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A179990789&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
93. Tabor, Mary B.W. *Meet Hillary Rodham Clinton, the Traditional First Lady* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A155453071&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;

94. Templin, C. *Hillary Clinton as Threat to Gender Norms: Cartoon Images of the First Lady,* http://jci.sagepub.com/content/23/1/20.short
95. *The Better Half. During her husband's greatest crisis, Hillary has come into her own,* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=4f29cd05-8bfb-41c8-8c80-f1d5ee862b82%40sessionmgr112&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=13806450;
96. *The merry wives of Washington, The Economist* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A12535219&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
97. *Marton, K. The Once and Future Hillary* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=8b52badc-3b6a-4cf8-8f0a-483282ba86ef%40sessionmgr104&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=1423412;
98. *The Political Wife* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=5daae7fd-8adc-464a-86d2-e2647ffd647c%40sessionmgr113&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=9208172479;
99. Deirdre, M. *The White House in Her* Grasp http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A315564220&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;
100. Burrell., B. C., *Hillary Rodham Clinton as First Lady: The People's Perspective* http://web.ebscohost.com.vlib.interchange.at/ehost/detail?sid=332875fe-0a6d-462c-a44f-662d062711e9%40sessionmgr110&vid=1&hid=123&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=buh&AN=3928219;
101. Vann, B. *Hillary Clinton "tell-all" book leaves "right-wing conspiracy" in the shadows* http://www.wsws.org/en/articles/2003/06/clin-j10.html;
102. *What Happened to Hillary Clinton?, States News Service* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A294027027&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;

103. *What Hillary did next; American diplomacy, The Economist* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A283861364&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w ;

104. *Where's Hillary? Not in Charlotte, CNN Wire,*http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A301611557&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;

105. Woodward, B. *His Adviser, and her Guru* http://go.galegroup.com.vlib.interchange.at/ps/i.do?&id=GALE|A18424669&v=2.1&u=wash89460&it=r&p=AONE&sw=w;

106. Lee. A. Goodman, O*bama, Hillary Clinton, have '60 Minutes' love-in* http://www.tbnewswatch.com/entertainment/261046/Obama,-Hillary-Clinton,-have-'60-Minutes'-love-in;

107. http://www.youtube.com/watch?v=9lvKOfim32U; women rights

108. https://www.youtube.com/watch?v=U9uDUnywMu0

109. http://www.vogue.co.uk/news/history/2010/02/donatella-versace-said-hillary-clinton-should-give-her-femininity-a-chance;

110. https://www.youtube.com/watch?v=oJEMX_iuCXE

111. http://www.youtube.com/watch?v=7_X-RoRghAY;

112. https://www.youtube.com/watch?v=fQjnPeFRTLE

113. http://www.youtube.com/watch?v=9lvKOfim32U;

114. http://www.youtube.com/watch?v=pl-W3IXRTHU;

115. https://www.youtube.com/watch?v=mHl68Vro-nk

116. http://viraltemperature.com/top-democrat-hillary-clinton-would-clear-the-field-in-2016/

117. http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=6RP9pbKMJ7c#;

118. http://www.youtube.com/watch?v=gUKMWTO7RWI;

119. http://www.youtube.com/watch?v=gaUbFk4xp9A;

120. https://www.youtube.com/watch?v=TAUdbvVORyE

121. http://www.youtube.com/watch?v=FExM9rkXhOk;

122. http://www.youtube.com/watch?v=UtH7iv4ip1U;

123. http://politicalticker.blogs.cnn.com/2008/04/26/hillary-clinton-takes-a-swing-at-sports-metaphors/;

124. https://www.youtube.com/watch?v=hF3Ef_n9WTY

125. http://www.cbsnews.com/8301-34222_162-57562402-10391739/after-illnesses-hillary-clinton-back-at-work/;

126. http://www.rosbalt.ru/main/2013/01/29/1087373.html;
127. Shribman, D. *For Hillary Clinton, patience is a virtue and a political strategy* http://www.toledoblade.com/David-Shribman/2013/05/26/For-Hillary-Clinton-patience-is-a-virtue-and-a-political-strategy.html;

128. Frumin, A. *Hillary Clinton's pre-game strategy? Be cool, tread carefully* http://tv.msnbc.com/2013/06/23/hillary-clintons-pre-game-strategy-be-cool-tread-carefully/;

129. http://www.democraticunderground.com/1107277;

130. Wit and Wisdom of American First ladies, https://books.google.ge/books ;

131. *Protesters Disrupt Condoleezza Rice Appearance* http://www.ktvu.com/news/news/protesters-disrupt-condoleezza-rice-appearance/nKzFm/;

132. *Interview with Condoleezza Rice conducted by Wolf Blitzer, CNN Late Edition* http://edition.cnn.com/TRANSCRIPTS/0209/08/le.00.html;

133. Hillary Clinton calls for 'real democracy' in Egypt http://www.politico.com/news/stories/0111/48433.html#ixzz2XV7SrPQB;

134. Kelly, T. Hillary Clinton 'Overweight http://www.huffingtonpost.com/2012/06/06/hillary-clinton-overweight-ed-klein-fox-news_n_1574195.html;

135. http://www.youtube.com/watch?v=BF9LJw20bSc;
136. http://www.youtube.com/watch?v=5X-Xj5UdoT4;
137. http://www.youtube.com/watch?v=06QZyJY_eec;
138. http://www.youtube.com/watch?v=T8RYoKjbOZA;
139. http://www.dailymail.co.uk/news/article-3035748/Everyday-Americans-need-champion-Wealthy-Hillary-Clinton-enters-race-president.html
140. http://www.youtube.com/watch?v=8EGranwN_uk;
141. http://www.youtube.com/watch?v=1Tw8Tnr1VMs;
142. http://www.youtube.com/watch?v=6uUBOTjbeHA;
143. http://www.youtube.com/watch?v=BkL74Zw3uHo;
144. http://www.youtube.com/watch?v=d81RehD6nOs;
145. http://www.youtube.com/watch?v=fpCv-UT2yCU;
146. http://www.youtube.com/watch?v=MudnsExyV78;

147. http://www.forbes.com/2007/08/30/women-power-speech-biz-07women-cz_em_0830speak.html
148. https://www.youtube.com/watch?v=9lvKOfim32U